



ავტორის სტილი დაცულია

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტი

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პრობლემა  
სამოქალაქო სამართალწარმოებაში

ხათუნა სხირტლაძე

დისერტაცია

წარდგენილია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი

სამართლის დოქტორი, პროფესორი შალვა ქურდაძე

თბილისი

2024

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის  
უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის  
სამართლის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს,  
პროფესორ გიორგი გოგიაშვილს

## განცხადება

მე, სხირტლაძე ხათუნა, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი ვაცხადებ, რომ ჩემი სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების პრობლემა სამოქალაქო სამართალწარმოებაში“, რომელიც წარმოდგენილია დაცვისათვის/საჯარო პუბლიკაციისთვის, არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს და ორიგინალურია. სხვა ავტორთა მოსაზრებები, დებულებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები. ყველა გამოყენებული ნაბეჭდი და ელექტრონული წყარო მითითებულია დადგენილი წესით.

ვადასტურებ, რომ გაცნობილი ვარ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის დებულებას სამეცნიერო ნაშრომში პლაგიატის გამოვლენის შესახებ და ინფორმირებული ვარ შესაძლო მისი აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების შესახებ.

ხელმოწერა

თარიღი

## სარჩევი

შესავალი.....	6
<b>თავი 1. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნება.....</b>	<b>16</b>
1.1. სარჩელის უზრუნველყოფის არსი, ფუნქცია და მიზანი.....	16
1.1.1. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც საპროცესო გარანტია.....	16
1.1.2. საჩელის უზრუნველყოფის არსი.....	27
1.1.3. საჩელის უზრუნველყოფის ფუნქცია.....	31
1.1.4. საჩელის უზრუნველყოფის მიზანი.....	34
1.2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის იურიდიული ბუნება.....	38
1.3. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის განსხვავება იძულებითი აღსრულების ღონისძიების ინსტიტუტისაგან.....	42
1.4. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გავლენა მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებზე.....	46
1.5. სხვა საქმეში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გავლენა დავის გადაწყვეტაზე.....	48
<b>თავი 2. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და წინაპირობები.....</b>	<b>55</b>
2.1. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი ....	55
2.1.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის იურიდიული ბუნება.....	55
2.1.2. განცხადება, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი ..	64

2.2. სამოსამართლო სამართლის როლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებისას .....	73
2.3. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები	78
2.3.1. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების სისტემური ანალიზი.....	78
2.3.2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა .....	79
2.3.3. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გართულება .....	83
2.3.4. მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების საფრთხე .....	85
2.3.5. სარჩელის იურიდიული მართებულობა .....	86
2.4. სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფის თავისებურებანი .....	88
2.5. სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ განჩინების აღსრულება.....	93
2.6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ბედი სარჩელის მიუღებლობისას .....	95
<b>თავი 3. უფლებების დაცვის გარანტიები სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმში .....</b>	<b>98</b>
3.1. თანაზომადობის პრინციპის დაცვის ვალდებულება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას.....	98
3.2. შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმი .....	107
3.3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების ან უზრუნველყოფის საგნის შეცვლის უფლება.....	124
3.4. საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნება.....	129
3.5. სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერება მისი გასაჩივრებისას უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის პირობით .....	134

თავი 4. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებამოსილებათა განხორციელების გავლენა სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმზე .....	151
4.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება საქმის მორიგებით დამთავრებისას.....	151
4.2. სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინების გასაჩივრების თავისებურება.....	159
4.3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების საფუძველზე გაუქმებაზე უარის განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა .....	163
დასკვნა.....	166
ბიბლიოგრაფია .....	177

## შესავალი

სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტიანობის ინდიკატორს უდავოდ წარმოადგენს უფლებისა და კანონიერი ინტერესის უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, რამეთუ ამგვარი მექანიზმი გარდაუვალად უკავშირდება კრედიტორისათვის სასამართლო აქტების აღსრულების მნიშვნელობას.

2006 წელს ვაშინგტონში გამართულ XIX მსოფლიო კონგრესზე აღინიშნა, რომ წარმოდგენელი და შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა კანონის გარეშე, კანონისა - მოსამართლის გარეშე და სასამართლო გადაწყვეტილებისა - მისი აღსრულების გარეშე.<sup>1</sup> შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს სასამართლო და ადმინისტრაციული მექანიზმები, რათა ნებისმიერ სუბიექტს ჰქონდეს უზრუნველყოფილი დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა. ამასთან, ასეთი პროცედურები უნდა იყოს სწრაფი, სამართლიანი, არაძვირადღირებული და ხელმისაწვდომი.

უფლების უზრუნველყოფის მექანიზმი ეფუძნება როგორც კონსტიტუციურ, ისე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დანაწესებს. 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მიღებით, საქართველოს სახელმწიფომ დაადგინდა საერთაშორისო სამართლის პრიმატი შიდასახელმწიფოებრივი აქტების მიმართ, აღიარებული იქნა, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაო პრინციპები საქართველოში უშუალოდ მოქმედი სამართალია.<sup>2</sup> კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოში დაწყებული იქნა

---

<sup>1</sup> ჟაკ ისნარი, 2006 წელს ვაშინგტონში XIX მსოფლიო კონგრესის გახსნისას წარმოთქმული შესავალი სიტყვა. კონგრესის სახელწოდება გახლდათ Harmonization of Enforcement Procedures in an Area of Justice With No Boundaries (სააღსრულებო წარმოების ჰარმონიზაცია საზღვრების გარეშე მართლმსაჯულების სფეროში). Paris, EJT, coll, Paserelle, 2007. [https://uihj.com/archive-ujhj/en/ressources/21465/68/uihj-016-19e\\_congres\\_international\\_washington.pdf](https://uihj.com/archive-ujhj/en/ressources/21465/68/uihj-016-19e_congres_international_washington.pdf) [30.04.24].

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 - მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

სასამართლო რეფორმა საუკეთესო გამოცდილების და სამართლიანი სასამართლოს სტანდარტების დასამკვიდრებლად. ამავდროულად, საკანონმდებლო და ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებებმა ჯერჯერობით სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს რეფორმით დასახული რიგი მიზნის მიღწევა, მათ შორის, დიდ პრობლემად რჩება დარღვეული უფლების სწრაფად და ეფექტიანად აღდგენის, სასამართლო აქტის რეალურად აღსრულების უზრუნველყოფა.

უფლებებისა და თავისუფლებების სასამართლო წესით დაცვის კონსტიტუციის 31-ე მუხლით<sup>3</sup> გარანტირებული უფლება არარეალური და არაქმედითი იქნება, თუკი დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით გამოტანილი სასამართლო აქტი ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს აქტი დროულად არ აღსრულდება. სასამართლო აქტის აღსრულებლობას შედეგად მოსდევს სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მძიმე შედეგი - მართლმსაჯულების აღსრულებლობა. ჯეროვანი და ეფექტიანი მართლმსაჯულება მარტოდენ დავის საგნად ქცეული სამართლებრივი საკითხების სასამართლოს მიერ გადაწყვეტით როდი მიიღწევა. აღნიშნული მიზანი, უწინარეს ყოვლისა, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის დროული აღსრულების უზრუნველყოფით მიიღწევა.<sup>4</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პრაქტიკაში დამკვიდრებული პრეცედენტია, როცა სასამართლოსადმი მიმართვაში (საკონსტიტუციო სასამართლომ იგულისხმა ევროკონვენციის მე-6 მუხლი) გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაც იგულისხმება.<sup>5</sup> კონსტიტუციის 31-ე მუხლს შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის<sup>6</sup> (შემდგომში, ტექსტში შემოკლებით აღინიშნება - სსსკ) 199<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც თავის შინაარსში იმ დროის მონაკვეთსაც

<sup>3</sup> აღნიშნული ნორმა ეხება პირთა საპროცესო უფლებებს.

<sup>4</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება საქმეზე N ბს-727-771 (კ-12).

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N 1/4/181,228.

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997.

გულისხმობს, რომლის განმავლობაშიც უნდა შენარჩუნდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები. კონსტიტუციის 31-ე მუხლს შეესაბამება “სააღსრულებო წარმოებათა შესახებ” საქართველოს კანონის მე-17 მუხლიც, რომელიც სააღსრულებო დოკუმენტის აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ითვალისწინებს მოვალის უფლების შეზღუდვას მოვალის ქონებაზე. დასახელებული ნორმების მიზანია კანონიერ ძალაში შესული სასამართლო აქტის ეფექტიანი და სრული აღსრულება.<sup>7</sup> დასახელებული კონსტიტუციური ნორმის მსგავსი დებულებები ასახულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7, მე-8 და მე-10 მუხლებში,<sup>8</sup> სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის 1-ლ პუნქტში<sup>9</sup> და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-6 მუხლში.<sup>10</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი რიგი ხარვეზის გამო არ წარმოადგენს უფლების დაცვის ეფექტიან მექანიზმს. უზრუნველყოფის ღონისძიებების ინსტიტუტის მნიშვნელობა სამოქალაქო პროცესში იმაში მდგომარეობს, რომ ის სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტისათვის ფაქტობრივად უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობის განხორციელების ერთ-ერთი წონადი გარანტიაა. სასამართლოთა საქმიანობის ეფექტიანობა უშუალოდ არის დამოკიდებული სასამართლოთა აქტების რეალურად აღსრულებაზე. დავის გადაჭრა, თუკი ამას არ მოჰყვება სასამართლო აქტის აღსრულება, პრაქტიკულად უსარგებლოა იმ პირისთვის, ვინც თავისი უფლებისა და კანონიერი ინტერესის დასაცავად მიმართა სასამართლოს. დავის განხილვა ეფექტიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, როდესაც გადაწყვეტილება აღსრულდება. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის სწორი გამოყენება უზრუნველყოფს სასამართლო აქტების ჯეროვან და ეფექტიან აღსრულებას. ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი ნორმები

---

<sup>7</sup> გარდა ამისა, მოქმედი სამართლებრივი რეგულირების სისტემაში სსსკ-ის 1991-ე მუხლი არ ხელყოფს მოსარჩელის მატერიალურ უფლებებს, როდესაც მოსარჩელე იმავდროულად წარმოადგენს უზრუნველყოფილ კრედიტორს ვალდებულებით ურთიერთობაში. მას არ ერთმევა უზრუნველყოფის საგნიდან თავისი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება.

<sup>8</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948.

<sup>9</sup> საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, 1966.

<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950.



ცალკეულ შემთხვევაში წინააღმდეგობრივი დებულებებით გამოირჩევიან, რაც ართულებს პრაქტიკაში მათ გამოყენებას, საბოლოოდ კი, უფლება დაუცველი რჩება. პრობლემები თავს იჩენს ცალკეული საკანონმდებლო დანაწესის სასამართლოთა მიერ არასწორ გაგებასა და გამოყენებაშიც. აღსანიშნავია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მომწესრიგებელ ნორმათა ხასიათიც. ზოგიერთი მათგანი ზოგადი ხასიათის დათქმაა, შეფასებითი კატეგორიაა, რაც დისკრეციისთვის ფართო არეალს უხსნის სასამართლოს, რა დროსაც დიდია უკანონობის დაკანონების საფრთხე. კანონი თანაბრად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის უფლებებს, რაც მრავალ დანაწესში გამოიხატება. მათგან უმნიშვნელოვანესია თანაზომადობის პრინციპის დაცვა, რომლის ფარგლების განსაზღვრა მარტივი არ არის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისს. დღიდან ამოქმედებისა ანუ ძალაში შესვლისა, სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტმა მრავალი მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. სახელდობრ, გაფართოვდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლები, მოსარჩელისათვის მოსალოდნელი ზიანის მიყენების საფრთხის საფუძვლით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების ხარჯზე, დადგინდა თანაზომადობის პრინციპი (სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლი), შემოღებულ იქნა 199<sup>1</sup>-ე მუხლი და სხვა. გაანალიზებას მოითხოვს სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების საკითხი და შემხვედრი უზრუნველყოფის პრობლემა. დაინტერესებული პირის უფლება, ზოგიერთ შემთხვევაში, დაცული შეიძლება იქნეს სადავო ქონების მიმართ სწრაფი უზრუნველყოფითი ღონისძიებების მიღების გზით ჯერ კიდევ სარჩელის აღპვრამდე.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, (პირველი ინსტანციის) გადაწყვეტილების გამოტანა ძალიან გვიან ხდება. ამიტომ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სააღსრულებო ფურცელი მოსარჩელემ მიიღოს ხანგრძლივი პროცესის შემდეგ და მას რეალურად ღირებულება აღარ ჰქონდეს, რადგან ამასობაში მოპასუხე აღარ ფლობდეს

აქტივებს.<sup>11</sup> გარდა ამისა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა (თანხის გადახდა, ნივთის გადაცემა და სხვა) დამოკიდებულია არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, არამედ ასევე მოპასუხის (მოვალის) ნებაზე.<sup>12</sup> ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში კი, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება გადაწყვეტილების იძულებით აღსრულებაზე. თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის მოვალეს აღარ ექნება ქონება, რომლის რეალიზაციითაც შესაძლებელი გახდება კრედიტორის დაკმაყოფილება, გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი. სასამართლომ კი, უნდა უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება. დასახელებულ მიზანს ემსახურება სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ ისეთი ღონისძიებების გამოყენებას, რომლებიც გარანტირებულს ხდიან გადაწყვეტილების აღსრულებას, სასარჩელო მოთხოვნების განხორციელებას, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში. უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების არეალი ფართოა. მისი გამოყენება ეფექტიანად ხდება: პროცესების პატივისა და ღირსების, სახელის და ფირმის დასაცავად, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღსაკვეთად, დასაქმებულთა ინტერესების დასაცავად და სხვა.<sup>13</sup>

სსსკ-ის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამოქალაქო საქმის აღძვრა მხარეს არ უკარგავს დავის საგნის განკარგვის შესაძლებლობას. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო ბრუნვას მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვების დაწესება შეიძლება აფერხებდეს. მაშასადამე, სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენება

<sup>11</sup> Zeres T. Bürgerliches Recht: Allgemeiner Teil, Schuldrecht, Sachenrecht, Zivilprozessrecht. Berlin, Springer-Verlag, 2019, გვ. 573.

<sup>12</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 14648-12; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 მაისის განჩინება საქმეზე N 2/20980-19.

<sup>13</sup> Schilken E., Die Befriedigungsverfügung, Zulässigkeit und Stellung im System des einstweiligen Rechtsschutzes. Berlin, Duncker & Humblot, 1976, გვ. 139.

პირდაპირ კავშირშია კერძო უფლებების შეუფერხებლად განხორციელებასთან. უზრუნველყოფის ღონისძიების არსებობის პირობებში, შესაძლოა უამრავი ქონება უბრალოდ ვერ ჩაერთოს სამოქალაქო ბრუნვაში, რაც უკიდურესად დამაზიანებელია კერძოსამართლებრივი ურთიერთობებისათვის. განსაკუთრებით მტკივნეული პრობლემა სწორედ ამის გამო არის უზრუნველყოფის მექანიზმების სწორი გამოყენება. დასახელებული ფაქტორები ცხადყოფენ, რომ საკვლევი თემა აქტუალურია და მრავალი ასპექტით საჭიროებს შესწავლას.

**კვლევის აქტუალობა და სიახლე** - მოცემული თემა მონოგრაფიული წესით არ დამუშავებულა ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართლის დოქტრინაში. პრობლემის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტორი, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ერთი მხრივ, იცავს მოსარჩელეს, ხოლო მეორე მხრივ, ზღუდავს მოპასუხეს. სასამართლოებს საკმაოდ ხშირ შემთხვევაში უჭირთ მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსების საფუძველზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, რაც კანონმდებლობის არასრულყოფილებითა და სათანადო მეცნიერული ლიტერატურის არარსებობითაც აიხსნება. დღემდე არ არის დამუშავებული ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორებიც არის: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამიჯვნა იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისაგან; მომავალი სარჩელის უზრუნველყოფის თავისებურებები; მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის პრობლემა, როგორც სარჩელის საპირწონე ინსტრუმენტი; სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიმართება საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან; უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენების თავისებურებანი სასამართლო აქტის გასაჩივრებისას; არასწორი პრაქტიკა და დგენილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელთა დანაწესიც ბევრ უხერხულობას ქმნიან და ზოგჯერ, მათი გამოყენების პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის მე-6 მუხლთან. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს

თანაზომადობის პრინციპის დაცვა. მეორე მხრივ, გაფართოვდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები. ახალი დანაწესები სათანადო მეცნიერულ ანალიზს მოითხოვენ.

სამოქალაქო საპროცესო სამართლის დოქტრინის განვითარების აუცილებლობა განაპირობებს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მოდიფიცირებასაც. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოდიფიცირების ერთ-ერთი გარდაუვალი შედეგია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის დახვეწა. სხვადასხვა მითითებითი დებულებების არსებობის ფონზე უფლებების უზრუნველყოფის გარანტიათა სისტემა ჩაითვალა კომპლექსურ მექანიზმად და სწორედ მის შესახებ ამგვარი ხედვის გათვალისწინებით წარიმართა კვლევა. საკუთრივ სსსკ-ის XXIII თავის დასახელებაც სრულად ვერ გამოხატავს მასში გაერთიანებული ნორმების იურიდიულ ბუნებას. აღნიშნული ნორმები სცდებიან სარჩელის უზრუნველყოფის საზღვრებს, მათი მოქმედების გაცილებით ფართო არეალის გამო. შედარებისათვის, გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართალი არ იცნობს ქართულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსისთვის ნაცნობ „სარჩელის უზრუნველყოფის“ ცნებას. მსგავსი ფუნქციები სანივთო ყადაღას და დროებით განკარგულებას აქვს. ორივე საპროცესო მოქმედებას გამარტივებულად „დაჩქარებულ წარმოებასაც“ უწოდებენ.<sup>14</sup> როგორც ჩანს, გერმანულ სამართალშიც არ აღინიშნება ზუსტი ტერმინით უზრუნველყოფის ღონისძიებათა არსი.

**კვლევის მიზანი** - მრავალი საპროცესო ნორმა ხელს უშლის სწორი და თანმიმდევრული სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებას, სამართლიანი სასამართლოს თანამედროვე სტანდარტების დანერგვას. შესაბამისად, კვლევის მიზანია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგულირების და ნორმათა გამოყენების პრაქტიკაში არსებული პრობლემების შესწავლა, არსებული ხარვეზების

---

<sup>14</sup> ჰაგენლოხი უ., ალავიძე ბ., ბაქაქური ნ., ბერეკაშვილი დ., გასიტაშვილი ე., თოდუა მ., მესხიშვილი ქ., ქათამაძე პ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები (ელ ვერსია). თბილისი, 2020, გვ. 659. <https://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> [30.05.24].

გამოვლენა და ანალიზი. შესაბამისად კი, ამგვარი ანალიზის საფუძველზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება, გამოტანილი დასკვნების შედეგად, საკანონმდებლო დანაწესების თაობაზე წინადადებების შეთავაზება, საპროცესო-სამართლებრივი მოწესრიგების სრულყოფა და პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების ჩვენება. კვლევის მიზანი არ არის უზრუნველყოფის ყველა ასპექტის გაანალიზება. ეს შეუძლებელია ნაშრომის ფარგლებში. ამიტომ ნაშრომი შემოფარგლულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გაოყენების საფუძვლებისა და წინაპიობების კვლევით. კვლევის საგანი არ გამხდარა უზრუნველყოფის ცალკეული ღონისძიებების ანალიზი.

**კვლევის ამოცანები** - სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მეცნიერული შესწავლა, მათი გამოყენების სპეციფიკის განსაზღვრა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი; აღნიშნული ღონისძიებების ეფექტიანად გამოყენების ხელშემშლელი ფაქტორების გამოკვეთა; ცალკეული ქვეყნის საკანონმდებლო რეგულირების, ნორმატიული დანაწესების პრაქტიკაში გამოყენების თავისებურებების შესწავლა და გაანალიზება იმ დოზით, რაც მნიშვნელოვანია ქართულ სამართალში არსებული უზრუნველყოფის მექანიზმის იურიდიული ბუნების ანალიზისათვის; სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების ეფექტიანად გამოყენების საუკეთესო გზების მოძიება; არსებული დოქტრინისა და მეცნიერების შეხედულებების გაცნობა და ანალიზი, რათა ნათლად მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და სწორი ხედვის ჩამოყალიბება ხარვეზების აღმოფხვრელად.

**კვლევის მნიშვნელობა** - ზემოაღნიშნული პრობლემების გამოკვლევა, კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების წარმოჩენა და მათი გადაჭრის მეცნიერული გზების შემოთავაზება, საუკეთესო პრაქტიკის მოძიება, დასაბუთებულ თეორიულ საფუძველს ქმნის არა მხოლოდ სამოქალაქო საპროცესო, არამედ საადსრულებო წარმოებათა კანონმდებლობის უამრავი დანაწესის ახლებურად გააზრებისა და გამოყენებისათვის, რაც ხელს შეუწყობს არა მხოლოდ კანონმდებლობის

სრულყოფას, არამედ სასამართლო პრაქტიკის სწორად განვითარებას. კვლევაში ინტეგრირებულია როგორც ქართული, ისე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა. შესაბამისად, კვლევას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იგი განავითარებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის დოქტრინას.

**კვლევის მეთოდები** - კვლევაში გამოყენებულია შემდეგი მეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დედუქციური, შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდები. ანალიზისა და სინთეზის საშუალებით სიღრმისეულად გაანალიზდა თემასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმები, მათი ადგილი და მნიშვნელობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში, რელევანტური სასამართლო პრაქტიკა და არსებული სამართლის დოქტრინა. ამასთანავე, სწორედ აღნიშნული გაანალიზებული საკითხების სინთეზის შედეგად შემუშავდა წინადადებები და რეკომენდაციები. დედუქციური მეთოდის ფარგლებში განხორციელდა ზოგადი მიდგომების, განმარტებების კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემთხვევებზე მისადაგება და კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა კონკრეტული დასკვნების გამოტანა. შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხორციელდა საკვლევ თემასთან დაკავშირებული ინსტიტუტების ფუნქციური დანიშნულების შედარება სხვა ქვეყნებში არსებულ ანალოგიური ინსტიტუტების ფუნქციურ დანიშნულებასთან. უზრუნველყოფის მექანიზმის მარეგულირებელ ნორმათა არსის უკეთ წარმოჩენისა და კვლევის შედეგების დამაჯერებლად დასაბუთების მიზნით უცხოური დოქტრინა გამოყენებულია იმ ქვეთავებში, რომლებშიც მისი გამოყენება ჩაითვალა რელევანტურად. ყურადღების მიღმა არ დარჩა სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის შედარება როგორც გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმთან, ისე, სასამართლო აქტების გასაჩივრების დროს გამოყენებული უფლების უზრუნველყოფის რეგულირების წესებთან და იძულებითი აღსრულების ღონისძიებებთან.

**კვლევის შედეგები** - კვლევის შედეგად გამოვლინდა მრავალი პრობლემატური საკითხი, რომელიც საკმარისად არ არის გაანალიზებული ქართულ იურიდიულ

მეცნიერებაში. ამასთანავე, გამოვლინდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების პრაქტიკაში ეფექტიანად გამოყენებაზე ნეგატიური ზემოქმედების მომხდენი ფაქტორები. პრობლემების ანალიზის შედეგად მომზადდა მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის მიზნით, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის შემდგომ განვითარებასა და ეფექტიან ფუნქციონირებას, ერთიანი სასამართლო პრაქტიკის შემუშავებას და სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სტანდარტებისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპზე დაყრდნობით.

დისერტაცია შედგება შესავლისგან, 4 თავისგან, 19 ქვეთავისგან, დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისგან. ნაშრომის არსებითი ნაწილის მოცულობა შეადგენს 171 გვერდს.

# თავი 1. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნება

## 1.1. სარჩელის უზრუნველყოფის არსი, ფუნქცია და მიზანი

### 1.1.1. სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც საპროცესო გარანტია

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია და შესაბამისად, უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნების უკეთ წარმოსაჩენად მიზანშეწონილია, უწინარეს ყოვლისა, ტერმინოლოგიურ საკითხზე ყურადღების გამახვილება. კერძოდ, ტერმინი „გარანტია“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ხშირად „უზრუნველყოფის“<sup>15</sup> მნიშვნელობით გამოიყენება. თავის მხრივ, ეტიმოლოგიურად, სიტყვა „გარანტია“ გულისხმობს რაიმეს უზრუნველყოფის პირობას.<sup>16</sup>

მეცნიერებაში არსებული ერთ-ერთი განმარტების თანახმად, „გარანტია არის იმ პირობების სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ ადამიანის ინტერესების დაკმაყოფილებას“.<sup>17</sup> როგორც წესი, გარანტია მიჩნეულია ისეთ პირობად, რომელიც უზრუნველყოფს სააღბათო მოვლენას, რომელიც შესაძლოა რეალობად იქცეს. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლიტერატურაში გვხვდება განმარტება, რომლის მიხედვითაც გარანტია წარმოადგენს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ზნეობრივი, იურიდიული, ორგანიზაციული წინაპირობების, პირობების, ხერხებისა და

<sup>15</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - 57-ე, 58-ე, 375-ე, 402-ე და სხვა მუხლები.

<sup>16</sup> ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, განათლება, 1989, გვ.148. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3> [30.05.24].

<sup>17</sup> Кулапов В.Л., Матузов, Н.И., Малько, А.В. Теория государства и права: Курс лекций. Саратов, 1995, გვ. 237.



საშუალებების სისტემას, რომლებიც ქმნიან უფლების, თავისუფლებისა და პიროვნების ინტერესების განხორციელების თანაბარ შესაძლებლობას.<sup>18</sup>

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც ერთ-ერთი სახის საპროცესო გარანტიის ბუნებაში, შეიძლება გამოიკვეთოს ორი მიზანი: სათანადო პირობების შექმნა მართლმსაჯულების მიზნის განსახორციელებლად, რაც გამოიხატება ორივე მხარისათვის თაავიანთი უფლებების განსახორციელებლად და ვალდებულებების შესასრულებლად თანაბარი შესაძლებლობების შექმნაში (მაგალითად, უზრუნველყოფის ინსტიტუტთან ერთად კანონი ადგენს შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმს) და უზრუნველყოფილი უფლების რეალურად განხორციელება, თუკი საბოლოოდ ეს უფლება დადასტურებულ უფლებად გადაიქცევა. როდესაც საუბარია უფლების რეალურ განხორციელებაზე, არ იგულისხმება მისი უსათუოდ იძულებით განხორციელება (იძულებითი აღსრულება). რიგ შემთხვევაში საჭირო არ ხდება იძულებითი აღსრულების მექანიზმის გამოყენება. მაგალითად, უძრავ ქონებაზე (მითუმეტეს არარეგისტრაციაუნარიან მოძრავ ნივთზე) მესაკუთრედ მოსარჩელის აღიარების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საერთოდ არ მოითხოვება იძულებითი აღსრულების გზის გავლა.

სარჩელის უზრუნველყოფის იურიდიული ბუნების გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია გაირკვეს, არის თუ არა ტერმინი „უზრუნველყოფა“ კანონში ისეთი ტერმინის აზრით გამოყენებული, როგორც არის „უფლების დაცვა“. საინტერესოა გაირკვეს, დასახელებული კატეგორიები წარმოადგენენ თუ არა უფლების განხორციელების ერთიანი მექანიზმის შემადგენელ ნაწილს.

ისეთ სამართლებრივ ტერმინს, როგორც არის „უზრუნველყოფა“, საქართველოს კონსტიტუცია და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სხვადასხვა ადგილას და სხვადასხვა

---

<sup>18</sup> Мордовец А.С. Социально-юридический механизм обеспечения прав человека и гражданина. Саратов, 1996, гл. 168.

აზრით იყენებს. მაშასადამე, სხვადასხვა შინაარსის გამომხატველი ცნების აღსანიშნავად, გამოიყენება ერთი და იგივე ტერმინი. მაგალითად, სსსკ-ის XIV თავით გათვალისწინებულია მტკიცებულების უზრუნველყოფა, რომელშიც ტერმინი „უზრუნველყოფა“ გამოყენებულია ვიწრო მნიშვნელობით - მტკიცებულების შენარჩუნების აზრით, ვიდრე არის ტერმინი „უფლების დაცვა“, რომელიც უფრო ფართო კატეგორიაა.

შედარებისათვის, სარჩელის უზრუნველყოფის ანალოგიურ ინსტიტუტს გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში ეწოდება „უფლების წინასწარი დაცვა“. მაშასადამე, უზრუნველყოფის კატეგორიის ნაცვლად გამოყენებულია უფლების დაცვის კატეგორია. როგორც გერმანულ დოქტრინაშია აღნიშნული, გადაუდებელი შემთხვევებისათვის ... სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ყადაღას<sup>19</sup> და დროებით აკრძალვას, როგორც დროებითი დაცვის ღონისძიებებს. ყადაღის საშუალებით კრედიტორმა შესაძლოა უზრუნველყოს თავისი წვდომა მოვალის აქტივებზე.<sup>20</sup> ყადაღამ უნდა უზრუნველყოს შემდგომი იძულებითი აღსრულება. უზრუნველყოფა, როგორც წესი, ყადაღის დადებით ხორციელდება.<sup>21</sup>

ამრიგად, უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიებები, გერმანულ სამართალში ორად ჯგუფდება. პირველი ჯგუფი მოიცავს მოვალის კუთვნილ ქონებაზე ყადაღის დადებას (Arrest), მეორე - წინასწარ განკარგულებას (Einstweilige Verfügung).<sup>22</sup> ყადაღისგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი, ისეთ საქმეებზე გამოიყენება, რომელთა საგანიც არაფულადი მოთხოვნებია. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოწესრიგებულია წინასწარი განკარგულების ორი სახე: ე.წ. უზრუნველყოფის

---

<sup>19</sup> Die deutsche Zivilprozessordnung (ZPO), 1877 – 916-ე და შემდგომი პარაგრაფები.

<sup>20</sup> Gomille C., Zivilprozessrecht. Universität des Saarlandes, 2021, გვ. 276. [https://www.uni-saarland.de/fileadmin/upload/lehrstuhl/gomille/Allgemein\\_Team\\_Ver%C3%B6ffentlichungen/GOMILLE\\_ZPO\\_W\\_S2020-2021\\_gesamt.pdf](https://www.uni-saarland.de/fileadmin/upload/lehrstuhl/gomille/Allgemein_Team_Ver%C3%B6ffentlichungen/GOMILLE_ZPO_W_S2020-2021_gesamt.pdf) [30.05.24].

<sup>21</sup> Blomeyer, A. Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren. Heidelberg, Springer-Verlag, 1963, გვ. 658.

<sup>22</sup> Cumming G., Freudenthal M., Janal R. Enforcement of Intellectual Property Rights in Dutch, English and German Civil Procedure. Kluwer Law International, 2008, გვ. 254.

განკარგულება (Sicherungsferfugung - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 935-ე პარაგრაფი/მუხლი<sup>23</sup>) და ე.წ. მარეგულირებელი განკარგულება (Regelungsverfugung - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 940-ე მუხლი). პრაქტიკამ დაამკვიდრა მესამე სახის განკარგულებაც. ეს არის ე.წ. სააღსრულებო განკარგულება (Leistungsverfugung, Befriedigungsverfugung).<sup>24</sup>

წინასწარი განკარგულების ზემოაღნიშნული სახეების გამიჯვნა ძალზედ რთულია, რამეთუ საკანონმდებლო დანაწესები არ არის ნათლად ფორმულირებული.<sup>25</sup> გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 935-ე მუხლის შესაბამისად, სადავო საგნის მიმართ წინასწარი განკარგულებები დასაშვებია, თუკი არსებობს საფრთხე, რომ საგნის ამჟამინდელი მდგომარეობის შეცვლის შემთხვევაში მხარე ვეღარ შეძლებს უფლების განხორციელებას ან უფლების განხორციელება მნიშვნელოვნად გართულდება.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 940-ე მუხლის შესაბამისად, წინასწარი განკარგულების მიღება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შუალედური მოწერიგების მიზნითაც არის დასაშვები. სამართლებრივი ურთიერთობის შუალედური მოწესრიგების მექანიზმის გამოყენება განსაკუთრებით აქტუალური და აუცილებელია: განგრძობადი ვალდებულებით და სახელშეკრულებო ურთიერთობების ფარგლებში; არსებითი ზიანის პრევენციისათვის და მოსალოდნელი ძალადობის აღსაკვეთად. ამ მექანიზმის გამოყენება სხვა საფუძვლითად არის დასაშვები. აშკარაა, რომ წინასწარი განკარგულების მექანიზმი გერმანულ საპროცესო სამართალში, იმავე საფუძვლებით გამოიყენება, რა საფუძვლებითაც გამოიყენება ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში არსებული სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმი - ეს არის: აღსრულების

---

<sup>23</sup> გერმანული კანონმდებლობის ანალიზისას, ნაშრომში ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება როგორც მუხლი, ისე პარაგრაფი.

<sup>24</sup> NJW-Rechtsprechungs-Report. Zivilrecht, Band 16. C.H. Beck, 2001, გვ. 637.

<sup>25</sup> წინასწარ განკარგულებათა სახეების გამიჯვნას ეხება შემდეგი შრომები: Leipold D. Grundlagen des einstweiligen Rechtsschutzes im Zivil. Verfassungs und Verwaltungsgerichtlichen Verfahren. München, Beck, 1971, გვ. 105 და შემდგომი გვერდები; Teplitzky O. Arrest und einstweilige Verfügung. JuS, 1980, გვ. 882, 884 და შემდგომი გვერდები.

შეუძლებლობა, გამწვანება ან სამომავლო ზიანის საფრთხე. ამასთან, გერმანულ სამართალში წინასწარი განკარგულების მექანიზმის ფუნქცია გაცილებით ფართოა და უზრუნველყოფის ქართული მოდელისაგან განსხვავებით, სადავო მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ მოწესრიგებასაც ემსახურება და უზრუნველყოფს.

ისიც საყურადღებოა, რომ გერმანიის სასამართლოთა პრაქტიკაში განსაკუთრებულ როლს არ თამაშობს განკარგულების სახეთა გამიჯვნა, რამეთუ ზემოაღნიშნული მექანიზმის გამოყენების შესახებ აქტში სასამართლო თავის განკარგულებას რომელიმე სახის განკარგულებად კი არ მოიხსენიებს, არამედ მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რაში მდგომარეობს განკარგულების არსი, ხოლო განკარგულების მიღების სამართლებრივ საფუძვლად უთითებს ორივე მუხლს - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის როგორც 935-ე, ისე 940-ე მუხლს. ამიტომ, განმცხადებლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია სამართლებრივი დაცვის მიზნის მკაფიო განსაზღვრა.<sup>26</sup>

წინასწარი განკარგულების თუ რომელ კონკრეტულ ღონისძიებას შეარჩევს სასამართლო, ეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოკიდებულია უზრუნველყოფის მიზანზე (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 938-ე მუხლის 1-ლი პუნქტი).

უზრუნველყოფის განკარგულების მიზანია მოვალის კუთვნილი ქონების ხარჯზე განმცხადებლის ნებისმიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ქონების/ნივთის გადაცემის მოთხოვნა, გარანტიის წარმოდგენის მოთხოვნა, იპოთეკის საგნის წარმოდგენის ან ნივთზე საკუთრების

---

<sup>26</sup> Schuschke W., Walker W.D., Schmukle D. Vollstreckung und Vorläufiger Rechtsschutz. Kommentar zum Achten Buch der Zivilprozessordnung, §§ 916-945 ZPO. C. Heymanns, 2005, შენიშვნა 935-ე პარაგრაფზე; Dunkel H., Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3 Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999, ნაწილი A, აბზაცი 469.

უფლების გადაცემის მოთხოვნა, აგრეთვე უფლებათა გადაცემის ან შეცვლის მოთხოვნა, მოქმედების შესრულებისგან თავშეკავების ან თმენის მოთხოვნა და ა.შ.<sup>27</sup>

უზრუნველყოფის განკარგულებით, რომელიც მოვალეს განსაზღვრული ქონების გადაცემის ვალდებულებას აკისრებს, როგორც წესი, მოცემული ქონების დროებითი მფლობელობის სახით მხარეთა ინტერესების შესაბამისად სეკვესტრის შემოღება ხდება. უზრუნველყოფის განკარგულებით გამოყენებული სხვა ღონისძიება შეიძლება იყოს მაგალითად, კონკრეტული ქონების სხვადასხვა ფორმით განკარგვის (ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის; სანივთო უფლებით ქონების დატვირთვის) აკრძალვა ან ქონებით სარგებლობის აკრძალვა. სასამართლოს განკარგულებით შესაძლებელია აგრეთვე უფლების შესახებ წინასწარი ჩანაწერის შეტანა ან იმ ჩანაწერის შეტანა საადგილმამულო წიგნში (საჯარო რეესტრის მონაცემებში - ავტორის შენიშვნა), რომ უფლება სადავოდ არის ქცეული. დასახელებულ შემთხვევებში, გერმანიის სამოქალაქო (ანუ მატერიალური) კოდექსის 885-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილისა და 899-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განმცხადებელს არ ეკისრება უზრუნველსაყოფი მოთხოვნის აღსრულების საფრთხის მტკიცების ტვირთი. გერმანულის მსგავსად, არც ქართული სამართალი მოითხოვს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობის ან გართულების განმაპირობებელი ფაქტების მტკიცებას.

მარეგულირებელი განკარგულება შრომითი და კორპორაციული უსაფრთხოებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტის დროს გამოიყენება. მას აგრეთვე მეზობელი/მომიჯნავე მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად იყენებენ, როცა ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნა ექვემდებარება უზრუნველყოფას. მაგალითად, თუკი აქციონერები სადავოდ ხდიან აქციონერთა საერთო კრებაზე სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორის

---

<sup>27</sup> Thomas H., Putzo H., Reichold K. Zivilprozessordnung (ZPO), Kommenter. Munchen, C.H. Beck, 2002, პარაგრაფი 925, მე-5 აბზაცი; Baumbach A., Lauterbach W., Albers J., Hartmann P. Zivilprozessordnung. Munchen, C.H. Beck, 2002, პარაგრაფი 935, მე-3 და შემდგომი აბზაცები.

არჩევის კანონიერებას, სასამართლოს შეუძლია გენერალურ დირექტორს ან აუკრძალოს გარკვეული ვადით საზოგადოების საქმეთა გაძღოლა, ან თავისი უფლებამოსილებების მესამე პირისათვის გადაცემა, ან ნება დართოს გენერალურ დირექტორს საზოგადოების საქმეთა გაძღოლისა, სხვა აქციონერთა კონტროლით.

ამრიგად, სასამართლო არა მხოლოდ აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობას, არამედ ფაქტობრივად უფლებამოსილია დააკმაყოფილოს ერთ-ერთი მხარის სასარჩელო ან შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა. აღნიშნულთან დაკავშირებით წამოიჭრება კითხვა, მსგავს შემთხვევებში მეტისმეტად ხომ არ ერევა გერმანული სასამართლო საზოგადოების (კორპორაციის) მართვაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აქციონერებს ეკრძალებათ კრების ჩატარება? ამასთან, ზემოაღნიშნულ შემთხვევათა ანალიზი ცხადყოფს, რომ მართლაც ძნელია წინასწარ განკარგულებათა სხვადასხვა სახეობის ერთმანეთისგან გამიჯვნა. სააქციო საზოგადოებასთან დაკავშირებული მაგალითი სააღსრულებო განკარგულებასაც ემსგავსება.

სააღსრულებო განკარგულება გერმანულმა სასამართლო პრაქტიკამ შეიმუშავა. ქართულის მსგავსად, უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიებები არ არის ამომწურავი. სასამართლო უფლებამოსილია სარჩელის უზრუნველყოფის კანონით გაუთვალისწინებელი საშუალებებიც გამოიყენოს.

მართალია მოთხოვნის ფაქტობრივი დაკმაყოფილება ჯერ კიდევ გადაწყვეტილების გამოტანამდე, არ შეესაბამება უფლების წინასწარი დაცვის (სარჩელის უზრუნველყოფის) ინსტიტუტის ფუნქციას, მაგრამ გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში მიჩნეულია, რომ მართლოდენ ქონებაზე ყადაღის დადებით, უზრუნველმყოფი და მარეგულირებელი განკარგულებების მიღებით შეუძლებელია უფლებათა ეფექტიანი დაცვა საკმარისად გარანტირებული გავხადოთ. დღესდღეობით, სააღსრულებო განკარგულება, როგორც უფლების წინასწარი დაცვის დასაშვები ღონისძიება, სხვადასხვა დასაბუთებით, მაგრამ მაინც ერთსულოვნად არის აღიარებული იურისტთა მიერ.

არის შემთხვევები, როდესაც ერთმანეთს ემთხვევა სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, მაგრამ ეს არ ნიშნავს მხარეთა შორის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წინასასამართლო ეტაპზე მოწესრიგებას. აღნიშნული ღონისძიება წმინდა საპროცესო ღონისძიებად რჩება. მაგალითად, აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სარჩელის საგანია მოქმედების შესრულებისგან თავის შეკავება (ვთქვათ, მოსარჩელე ნეგატორულ სარჩელზე მოითხოვს მოპასუხეს აეკრძალოს ბინაში რემონტის ჩატარება, ფართის გადაკეთება და სხვა). მსგავს საქმეებზე სასარჩელო მოთხოვნა და უზრუნველყოფის მოთხოვნა (მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა), ერთმანეთს ემთხვევა.

გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება სააღსრულებო განკარგულება, რომლის მიზანია უკიდურეს საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად განმცხადებლისათვის თანხის გადახდა და მოპასუხისათვის განსაზღვრული მოქმედების შესრულების აკრძალვა.

იურისტები თანხმდებიან იმაზე, რომ განმცხადებლისათვის თანხის გადახდის ფუნქცია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მდგომარეობს ამგვარი უკიდურესი საჭიროების აღმოფხვრაში.<sup>28</sup> მაგალითად, ამ მიზანს ისახავს შვილების ან მეუღლის სარჩენად ალიმენტის გადახდევინების შესახებ სარჩელი ან უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულთა მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების შესახებ სარჩელი.<sup>29</sup>

მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა სააღსრულებო განკარგულების მიღების გზით გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორებიცაა პიროვნების

---

<sup>28</sup> Jauernig, O., Der zulässige Inhalt einstweiliger Verfügungen, ZZP 79. 1966, გვ. 331; Stein F., Jonas M. Zivilprozessordnung, Kommentar. Tübingen, 1996, 935-ე პარაგრაფი, აბზაცი 38-ე და მომდევნო აბზაციები; Schilken E., Die Befriedigungsverfügung, Zulässigkeit und Stellung im System des einstweiligen Rechtsschutzes. Berlin, Duncker & Humblot, 1976, გვ. 139 და მომდევნო გვერდები.

<sup>29</sup> Paulus C.G. Zivilprozessrecht, Erkenntnisverfahren und Zwangsvollstreckung. Springer Berlin, Heidelberg, 2000, აბზაცი 716.

სახელის, პატივისა და ღირსების, იურიდიული პირის საფირმო სახელწოდების (ფირმის) დაცვა, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია, დასაქმებულთა ინტერესების დაცვა და სხვა.<sup>30</sup>

გერმანული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ანალიზი ცხადყოფს, რომ სააღსრულებო განკარგულება, სხვა განკარგულებებთან შედარებით, მოვალისათვის/მოპასუხისათვის გაცილებით საფრთხის შემცველია ორი ასპექტით: უწინარეს ყოვლისა, ამგვარი განკარგულებით შემაჯამებელი ანუ საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე კმაყოფილება განმცხადებლის/კრედიტორის (მოსარჩელის) მოთხოვნა. მეორე ის, რომ უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიების გაუქმების შემთხვევაშიც კი, მოვალეს ზიანის ანაზღაურების (აღსრულების შებრუნების - ხაზგასმა ავტორისეულია) მცირე შანსი რჩება, რამეთუ როგორც ზემოთ ითქვა, სააღსრულებო განკარგულებათა მიღება ხდება უკიდურესი საჭიროების მქონე განმცხადებელთა სასარგებლოდ. ასეთ განმცხადებლებს კი, როგორც წესი, საკმარისი ფულადი სახსრები არ გააჩნიათ. აქედან გამომდინარე, სასამართლომ გულდასმით უნდა განიხილოს უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიების გამოყენების თხოვნით აღძრული განცხადება.

შედარებით-სამართლებრივი ასპექტით საყურადღებოა კიდევ ერთი საკითხი. გერმანულ სამართალში, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეებზე გამოიყენება წინასწარი განკარგულების (Einstweilige Anordnung) კიდევ ერთი სახე, რომელიც გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-6 წიგნით (რომელიც შეეხება საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა წარმოებას). ასეთი განკარგულების მიღება უკავშირდება უფლებრივი დავის გამო აღძრულ საოჯახო საქმეებს. კერძოდ, განქორწინების შესახებ სარჩელის აღძვრის შემდეგ მიიღება წინასწარი განკარგულება მხოლოდ საოჯახო საქმეთა წარმოების შესახებ

---

<sup>30</sup> Teplitzky O. Arrest und einstweilige Verfügung. JuS, 1980, გვ. 882, 885; Dunkel H., Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3 Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999, ნაწილი A, აბზაცი 501.



ნორმებით გათვალისწინებული წესით (*lex specialis*). უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიებების მიღება დამოკიდებულია მხარეთა დისპოზიციურ მოქმედებაზე - მხარემ უნდა იშუამდგომლოს უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიებების მიღების თაობაზე. წინასწარი განკარგულება სასამართლო აქტია. მისი მიღება სასამართლოს უფლებაა. ასეთი განკარგულება მიიღება მაგალითად მშობლის უფლების შეზღუდვის/ჩამორთმევის ან მშობლისათვის ამა თუ იმ უფლების მინიჭების შესახებ, არასრულწლოვანი შვილისათვის ან მეუღლისათვის სარჩოს (ალიმენტის) გადახდის შესახებ და ა.შ.<sup>31</sup>

მოცემული წარმოების ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წინასწარი განკარგულების სახით მიღებული სასამართლო აქტი შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ, საგამონაკლისო შემთხვევებში გასაჩივრდეს. მაგალითად, გასაჩივრდება, როდესაც სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება ბავშვის ერთ-ერთი მეუღლისათვის გადაცემის შესახებ, ან მიღებული აქვს ოჯახის კუთვნილი ბინიდან ერთ-ერთი მეუღლის გამოსახლების გადაწყვეტილება. განქორწინების შესახებ სარჩელის სასამართლოში შეტანამდე კი, სარჩოს (ალიმენტის) გადახდის შესახებ წინასწარი განკარგულება ყადაღისა და წინასწარი განკარგულების თავით გათვალისწინებული საერთო წესებით მიიღება (გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 წიგნი).

ქართულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში წინასწარი განკარგულების ანალოგიური ინსტიტუტი არსებობს დროებითი განკარგულების სახით, მაგრამ ეს არ არის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მიღებული აქტი, რამეთუ მატერიალური ურთიერთობის დროებითი (წინასწარი) რეგულირების ფუნქციას ასრულებს. თანაც, ის ურთიერთობათა ერთ კონკრეტულ (ვიწრო) სფეროში გამოიყენება. ამგვარი განკარგულების მიღება შესაძლებელია საოჯახო ურთიერთობიდან გამომდინარე მრავალი საკითხის მოსაწესრიგებლად (სსსკ-ის 355-ე მუხლი).

---

<sup>31</sup> Dose H.J., Kraft B. *Einstweiliger Rechtsschutz in Familiensachen*. Berlin: Erich Schmidt Verlag, 2018, გვ. 5 და შემდგომი გვერდები.

საქართველოს სამოქალაქო ანუ მატერიალური კოდექსი იყენებს როგორც დროებითი განკარგულების, ისე განჩინების კატეგორიას (მაგალითად, მუხლი 1217-ე, 1191-ე, 1192-ე), ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - განჩინების კატეგორიას.

დროებით განკარგულებაში იგულისხმება საქმის არსებითად განხილვამდე გამოტანილი სასამართლო აქტი.<sup>32</sup> დროებით განკარგულების ინსტიტუტი გამოიყენება ოჯახის წევრთა შორის უფლებრივი დავის საბოლოოდ დასრულებამდე ურთიერთობის მოსაწესრიგებლად და უზრუნველყოფს საოჯახო ურთიერთობის სუბიექტთა შორის არსებული უფლება-მოვალეობების დროებით, მაგრამ ეფექტიანად და მშვიდობიანად განსაზღვრას საქმეზე შემაჯამებელ/საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე. მაშასადამე, დროებითი განკარგულებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები შეიძლება შეიცვალოს საბოლოო ანუ შემაჯამებელი სასამართლო აქტით.<sup>33</sup>

გერმანულ სამართალში არსებული წინასწარი განკარგულებისგან განსხვავებით, დროებითი განკარგულება არ გასაჩივრდება. შესაძლებელია მისი მხოლოდ შეცვლა შუამდგომლობის საფუძველზე. წინასწარი განკარგულებისგან განსხვავებით, დროებითი განკარგულების ინსტიტუტზე არ ვრცელდება სარჩელის უზრუნველყოფის წესები. დროებითი განკარგულება მატერიალურ-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების დროებით განსაზღვრასა და მოწესრიგებას უკავშირდება. თავისი ამ თვისებით იგი ახლოს დგას გერმანულ სამართალში დამკვიდრებულ სააღსრულებო განკარგულებასთან. დროებითი განკარგულება სასამართლო გადაწყვეტილების სუროგატია. აქედან გამომდინარე, არასწორია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მისი განჩინების ფორმით არსებობა და მიღება, რადგან განჩინება მიიღება

---

<sup>32</sup> ლობჯანიძე დ. საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებანი სამოქალაქო პროცესში. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023, გვ. 154.

<sup>33</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმეზე N 28/6593-16.

პროცესუალურ, ანუ პროცედურულ საკითხებზე, ხოლო დროებითი განკარგულება, როგორც გამოიკვეთა, მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის აქტია.

მართალია, სარჩელის უზრუნველყოფა, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტი, წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცულ ამა თუ იმ პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების საპროცესო-სამართლებრივ გარანტიას, მაგრამ მისი მნიშვნელობა შემოიფარგლება მარტოდენ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ჯეროვანი პირობების შექმნით. აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისას სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველზე. კერძოდ, სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების, აღუსრულებლობის ან ზიანის მიყენების საშიშროებაზე, მოსარჩელის მიერ მითითებული იმ კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, რომლებიც ადასტურებენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის ვარაუდს.

### 1.1.2. საჩელის უზრუნველყოფის არსი

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში<sup>34</sup> და უცხოურ ლიტერატურაშიც<sup>35</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნების განსაზღვრისას აქცენტი

---

<sup>34</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, გვ. 382; ჰაგენლოხი უ., ალავიძე ბ., ბაქაქური ნ., ბერეკაშვილი დ., გასიტაშვილი ე., თოდუა მ., მესხიშვილი ქ., ქათამაძე პ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები (ელ ვერსია). თბილისი, GIZ, 2020, გვ. 684. <https://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> [30.05.24]; ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი II. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023. გვ. 62; კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი, საქართველოს მაცნე, 2003, გვ. 300.

<sup>35</sup> Sierra S. Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right of Effective Court Protection, A Comparative Approach. *European Law Journal*, Vol. 10-1, 2004, 42-60; Baumbach A., Lauterbach W., Albers J., Hartmann P. *Zivilprozessordnung mit*

ყოველთვის დასმულია სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაზე. უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა შეძლოს აღსრულების გართულების და მითუმეტეს, აღსრულების შეუძლებლობის, ამით კი, მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების პრევენცია.

სსსკ-ის XXIII თავით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნების დახასიათება დასახელებული ნიშნების მიხედვით, სსსკ-ის 191-ე მუხლის ანალიზიდან გამომდინარე სწორია, მაგრამ თანამედროვე პერიოდში არასრულყოფილი და შესაბამისად, ვიწროა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მხარეთა უფლებებზე სოციალურად ორიენტირებული ნორმების არსებობის ფონზე, აღარ შეიძლება იმის თქმა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ორიენტირებულია სასამართლო აქტის მხოლოდ და მხოლოდ აღსრულებაზე. პირიქით, უზრუნველყოფის მიზანი შესაძლოა იყოს იძულებითი აღსრულების თავიდან აცილება. აღნიშნულის ცხადი მაგალითია სეკვესტრის გამოყენების შესაძლებლობა, რომელიც მიზნად ისახავს არა იძულებით აღსრულებას, არამედ კრედიტორის დაკმაყოფილებას იძულებითი აღსრულების გარეშე და ამით, მოვალის ეკონომიკურ გადარჩენას და მის შემდგომ სიცოცხლისუნარიანობას. იგივე შეიძლება ითქვას სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესზეც, რომელიც სასამართლოს ანიჭებს ფართო დისკრეციას, თვითონ განსაზღვროს, თვითონ შეარჩიოს და კონკრეტულ შემთხვევას მიუსადაგოს უზრუნველყოფის ყველაზე უფრო მიზანშეწონილი სახე, რაც იმასაც გულისხმობს, რომ სასამართლო არ არის შეზღუდული სსსკ-ის 198-ე მუხლში ჩამოთვლილი

---

Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen, Abweichender Kurztitel auf dem Buchrücken: ZPO. München, Verlag C.H. Beck, 2003, გვ. 2375; Kramer X. Harmonisation of Provisional and Protective Measures in Europe. Procedural Laws in Europe: Towards Harmonisation. Maklu: Antwerpen/Apeldoorn, გვ. 305-319; Tajti T., Iglkowski P. A Cross Border Study of Freezing Orders and Provisional Measures. Springer International Publishing, 2018, გვ. 7-8; Draguiev D. Interim Measures in Cross-Border Civil and Commercial Disputes, Interim Relief Proceedings in International Litigation and Arbitration. Springer, 2023, გვ. 9-10.

ღონისძიებებით.<sup>36</sup> იგივე ითქმის სსსკ-ის 271-ე, 375-ე, 402-ე და სხვა მუხლების დანაწესებზეც, რომლებიც სცილდებიან სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტს.

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გულისხმობს სასამართლოს მიერ იმ ღონისძიებათა მიღებას, რომელიც გარანტირებულს ხდის სასარჩელო მოთხოვნათა განხორციელებას, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

საუბარია ფიზიკური და იურიდიული პირების მატერიალურ-სამართლებრივ უფლებათა დაცვისათვის გარანტიის შექმნაზე. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ემსახურება სამოქალაქო სამართალდარღვევის შედეგად, ფიზიკური და იურიდიული პირების დარღვეული ქონებრივი თუ არაქონებრივი უფლებების რეალური და სრული აღდგენის უზრუნველყოფას.

მოცემული ინსტიტუტის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი მეშვეობით ხდება მოსარჩელის კანონიერი ინტერესების დაცვა იმ შემთხვევებში, როცა არსებობს საშიშროება, რომ მოპასუხე არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს ან, როცა, საერთოდ, ამ ღონისძიებათა მიუღებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის სასამართლო აქტის აღსრულებას, საბოლოოდ კი, ზიანს მიაყენებს მოსარჩელეს.

შესაძლებელია როგორც პირვანდელი, ისე შეგებებული სარჩელის უზრუნველყოფა. იქიდან გამომდინარე, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ეფექტიანობა დიდადა დამოკიდებული სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხის დროულად გადაწყვეტაზე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ნორმას, რომლის თანახმადაც, საქმის მომზადების მიზნით მოსამართლის მიერ შესრულებულ სხვა მოქმედებებთან ერთად, მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვიტოს ასევე სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საკითხი (203-ე მუხლის 1-ლი ნაწილის “ზ” პუნქტი). ამასთან, აღნიშნული დებულება არ უნდა იქნეს იმგვარად გაგებული, თითქოს სასამართლოს

---

<sup>36</sup> მართალია ამ ნორმას პრაქტიკაში სასამართლოები ხშირად არ იყენებენ, მაგრამ მთავარია, რომ კანონი სასამართლოს ჩარჩოში არ აქცევს.

საკუთარი ინიციატივის გამოჩენის უფლებამოსილება ჰქონდეს. სარჩელის უზრუნველყოფა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დაცვას ემსახურება, რაც მის გამოყენებას მთლიანად მხარის დისპოზიციურ უფლებამოსილებაზე დამოკიდებულს ხდის. სარჩელის უზრუნველყოფა შესაძლებელია როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის დროს, თუ ასეთი ღონისძიება არ ყოფილა მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები (გათვალისწინებული სსსკ-ის 198-ე მუხლში) უნდა განვასხვაოთ სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებათაგან (პირგასამტეხლოს, ბეს, გირაოს, იპოთეკის, დაკავების უფლების, საბანკო გარანტიის, მოვალის გარანტიის, თავდებობისაგან), საგაკოტრებო ყადაღისაგან,<sup>37</sup> აგრეთვე იძულებითი აღსრულების ღონისძიებებისაგან<sup>38</sup> (სააღსრულებო წარმოებათა კანონის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილი, მე-40 მუხლი და სხვა). სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მოსარჩელის სასარგებლოდ, მაშინ როცა იძულებითი აღსრულების ღონისძიება ხორციელდება კრედიტორის სასარგებლოდ. სამოქალაქო პროცესის მოსარჩელე შეიძლება არც ემთხვეოდეს იძულებითი აღსრულების კრედიტორს.

დასაშვებია სარჩელის როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ უზრუნველყოფა. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გამოიყენება გამოტანილი, მაგრამ ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მიმართაც. დაუყოვნებლივ

---

<sup>37</sup> მიგრიაული რ. შესავალი გაკოტრების სამართალში. თბილისი, გამომცემლობა შპს უფლება, 1999, გვ. 52-53; შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ. გადახდისუუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან. თბილისი, გამომცემლობა, სიესტა, 2011, გვ. 72-76.

<sup>38</sup> იძულებითი აღსრულების ღონისძიება სააღსრულებო დოკუმენტში მითითებული ან აღმასრულებლის მიერ მოვალისაგან სააღსრულებო დოკუმენტით გათვალისწინებული ქონების მიღების, ან მოვალის მიმართ კრედიტორის არაქონებრივი მოთხოვნის იძულებით განხორციელების მიზნით შესრულებული მოქმედებაა. ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა დანი, 2018, გვ. 132.

აღსასრულებელ გადაწყვეტილებათა მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ გამოიყენება.<sup>39</sup>

მიკუთვნებით სარჩელზე მიღებული გადაწყვეტილება აღსრულების ქვემდებარე აქტია,<sup>40</sup> ამიტომ, მისი უზრუნველყოფის საჭიროება უდავოა, თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა აღიარებითი სარჩელიც იქნეს უზრუნველყოფილი. საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელდეს შემთხვევა, როდესაც სადავოა ავტორობა. საავტორო დავაზე შეიძლება მოთხოვნილი იქნეს როგორც ავტორობის აღიარება, რაც აღიარებითი სარჩელით ხორციელდება, ისე კონტრაფაქტული ეგზემპლარების განადგურება.<sup>41</sup>

### 1.1.3. საჩელის უზრუნველყოფის ფუნქცია

კრედიტორმა, რომელიც თვლის, რომ მოვალის მიმართ მოთხოვნა გააჩნია, სასამართლოს უნდა მიმართოს, თუკი მოვალე ნებაყოფლობით არ ასრულებს კრედიტორის მოთხოვნას. თავის მხრივ, საქმის სასამართლოში განხილვა, როგორც წესი, საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს. გადაწყვეტილების გამოტანის გაჭიანურება კი, მოსარჩელის ინტერესების სერიოზული შელახვის ტოლფასია, საქმე წარმატებითაც რომ დაასრულოს. ამის ერთ-ერთი მიზეზი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დაბრკოლების საფრთხის შექმნა შეიძლება იყოს, რასაც, მოვალე, როგორც წესი, ქონების გადამალვით ახერხებს. ამგვარი შემთხვევების

---

<sup>39</sup> ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ. სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა ბონა კაუზა, 2017, გვ. 111.

<sup>40</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999 - მუხლი 2.

<sup>41</sup> საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, 1999 - მუხლი 59.

გათვალისწინებით, უფლების ეფექტიანი დაცვა შესაძლოა გარანტირებული გახდეს მხოლოდ მაშინ, თუკი გამოყენებული იქნება უფლების დაცვის ღონისძიებები.

აღნიშნული საფრთხეების არსებობიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკაში<sup>42</sup> პირის უფლების დაცვის ასპექტით გამოიკვეთა მართლმსაჯულების მექანიზმის ორი მნიშვნელოვანი ფუნქცია. ესენია: უფლების ეფექტიანად დაცვის და უფლების დარღვევის პრევენციის ფუნქცია. თითოეულ მათგანს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თუმცა ერთმანეთზეც არის გადაჯაჭვული და ერთმანეთს განაპირობებს. თავისთავად, უფლების სამომავლოდ დარღვევის პრევენცია მის დაცვას უზრუნველყოფს და პირიქით, თუკი შესრულდება დაცვითი ფუნქცია, თავიდან იქნება აცილებული სასამართლო აქტით მიკუთვნებული სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის საფრთხე. თუმცა, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისითაც უფლების ეფექტიანად დაცვა უკავშირდება საქმის მატერიალურ-სამართლებრივ მხარეს. როგორც პრაქტიკაში აღინიშნება ეფექტიანი დაცვა თავად სარჩელით მოთხოვნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს.<sup>43</sup> რაც შეეხება პრევენციულ ფუნქციას, ის შეიძლება ჩაითვალოს სარჩელის უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფუნქციად.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ რეალურად უნდა განაპირობოს დაინტერესებული პირის რესტიტუცია თავის უფლებებში. მაგალითისათვის, საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ შრომით დავებზე დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი პირის გათავისუფლება არამართლზომიერად იქნება მიჩნეული, მაგრამ პირი ვერ აღდგება უწინდელ სამსახურში მისი თანამდებობის არარსებობის, ამ თანამდებობაზე (პოზიციაზე) სხვა პირის მიღების თუ დანიშვნის, ან ტოლფასი სამსახურის არარსებობის გამო, მაშინ არამართლზომიერად გათავისუფლებულს მიეკუთვნება მხოლოდ განაცდური და კომპენსაცია. მისი

---

<sup>42</sup> მაგალითად, ამგვარი განმარტება მოცემულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 იანვრის განჩინებაში საქმეზე N 28/4122-21.

<sup>43</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N 28/4122-21.



გათავისუფლების შესახებ აქტი ან მასთან ხელშეკრულების შეწყვეტა ჩაითვლება არამართლზომიერად ისე, რომ არ მოხდება პირის რესტიტუცია გათავისუფლებამდე არსებულ პოზიციაზე. ასეთ და სხვა მსგავს საქმეებზე სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმმა უნდა იტვირთოს უფლების სრულყოფილი დაცვის მექანიზმის როლი. აქედან ის დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმი არაქონებრივი უფლებების აღდგენასაც ემსახურება. სამსახურში აღდგენა სწორედ არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენებისას საჭირო არის სამართლიანი ბალანსის დაცვა მხარეებს შორის. მაგალითად, პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოითხოვენ მოპასუხისათვის იმის აკრძალვას, რომ ამათუიმ პოზიციაზე მიიღოს სხვა დასაქმებული. ასეთ დროს, სამართლიანი ბალანსის დაცვის მიზნით მართებული იქნება დადგინდეს მხოლოდ დროებითი მიღება სხვა პირისა, საწარმოს ან სხვა დაწესებულების საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად. ერთ-ერთ საქმეზე, პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი უთხრა საჯარო სკოლის პედაგოგს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებაზე. მოსარჩელე მოითხოვდა დავის დასრულებამდე სკოლას მის პოზიციაზე სხვა პედაგოგი არ დაენიშნა გარდა სწავლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად დროებით მიღებული პირისა.<sup>44</sup> თუმცა, აღნიშნულ განჩინებაზე შეტანილი საჩივარი დააკმაყოფილა ზემდგომმა სასამართლომ და მართებულადაც,<sup>45</sup> ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მოთხოვნის აღძვრისას პირი სარგებლობს უფლების ეფექტიანად აღდგენის და უფლების დარღვევის პრევენციული მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობით. პრევენციული დაცვისას უნდა არსებობდეს სამართლებრივი გარანტია, რომ სანამ მოსარჩელე უფლებაში აღდგება, ეს უფლება არ გაუქმდება. ამიტომ, სასამართლოებმა საჭიროების შემთხვევაში, უნდა

---

<sup>44</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 12 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/15082-23.

<sup>45</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 28/4250-23.

განხორციელონ ქმედითი ღონისძიებანი რისკების მატერიალიზაციის პრევენციისათვის. აქვე, ზემდგომი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის ნიშნებს - იგი ჯერ არ არის განხორციელებული, თუმცა შესაძლოა მომავალში განხორციელდეს. ამიტომ, განმცხადებლის მიერ გადმოცემული ფაქტების პირობებში აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ სამართლებრივი შედეგის (გადაწყვეტილების) აღსრულებას, არამედ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმის სამართლიანი მოსმენის უფლების უზრუნველყოფას.<sup>46</sup>

#### 1.1.4. სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი

სარჩელის (კერძო ანუ სამოქალაქო უფლებების) უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანი სამოქალაქო სამართალწარმოების ფუნქციას შეესაბამება. მოცემული ფუნქცია მდგომარეობს მატერიალურ-სამართლებრივი (სამოქალაქო) უფლებებისა და ინტერესის დაცვასა და განხორციელებაში, რომლებიც წარმოშობიან სამოქალაქო მატერიალური სამართალური თერობის საფუძველზე. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, ხაზგასასმელია, რომ სარჩელის (უფლების დაცვის) უზრუნველყოფა, მხოლოდ ირიბად, არაპირდაპირ არის მიმართული მატერიალური სამოქალაქო უფლებების აღიარებისა და

---

<sup>46</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 იანვრის განჩინება საქმეზე N 28/4122-21.

განხორციელებისაკენ. უმეტესწილად კი, ეს ინსტიტუტი უზრუნველყოფს უფლებრივ დავაზე მიღებული სასამართლო აქტების რეალურად აღსრულებას.<sup>47</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმი გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, მოპასუხისათვის ან მესამე პირისათვის ცალკეული ქმედებების აკრძალვისა თუ დავალდებულების გზით არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და მისი შეცვლის პრევენციის მიზნით. ამგვარმა მექანიზმმა უნდა გააძლიეროს მოპასუხის მცდელობა, დამალოს თავისი ქონება, ფული, მოჩვენებით ან თუნდაც რეალურად გადასცეს ფული და ქონება სხვას, რათა შეუძლებელი გახადოს სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულება. მაშასადამე, მოცემული ინსტიტუტი იცავს მოსარჩელეს ისეთი შემთხვევისათვის, როდესაც მოპასუხემ შესაძლოა იმოქმედოს არაკეთილსინდისიერად მოსარჩელის საზიანოდ.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საბოლოო მიზანი მოსარჩელისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების დაუშვებლობა, მისი თავიდან აცილებაა. მოსარჩელეს ამგვარი ზიანი შესაძლოა მიადგეს სასამართლო აქტის აღუსრულებლობის შედეგად. სასამართლო აქტის აღსრულება მარტოოდენ მის კანონიერ ძალაში შესვლაზე როდია დამოკიდებული. აღსრულება მოვალის ნებაზეც არის დამოკიდებული. სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში კრედიტორი აღარ არის დამოკიდებული მოვალის კეთილსინდისიერ მოქმედებაზე. მოსარჩელის საბოლოო მიზანია მიაღწიოს მოპასუხის მიმართ თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას და აღსრულებას. თუკი აღუსრულებლობის ან თუნდაც აღსრულების გართულების, ან მოსარჩელისათვის აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების საფრთხე არსებობს,

---

<sup>47</sup> Walker W.D. Der einstweilige Rechtsschutz im Zivilprozess und im arbeitsgerichtlichen Verfahren. Tubingen, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, 1993, პარაგრაფი 2, აბზაცი 62; Leipold D. Grundlagen des einstweiligen Rechtsschutzes im Zivil. Verfassungs und Verwaltungsgerichtlichen Verfahren. München, Beck, 1971, გვ. 83.

აღსრულების უზრუნველყოფი ღონისძიებების (სსსკ-ის 191-ე და 198-ე მუხლები) გამოყენების საჭიროებაც წარმოიშობა.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული ნორმები წარმოადგენენ სასამართლო გადაწყვეტილებათა რეალურად აღსრულების სამართლებრივ გარანტიას. სსსკ 191-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარების მიზანია დაიცვას დავის საგანი, კერძოდ, არ დაუშვას მოვალის მიერ დავის საგნის განკარგვის შესაძლებლობა. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად ხსენებული ინსტიტუტის მარტოდენ მიზანია (დანიშნულებაა) და არა მისი გამოყენების წინაპირობა. კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც მას განმცხადებელი დასაბუთებულად წარმოადგენს. ანუ, განმცხადებელი შეძლებს, დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.

ამიტომ, როდესაც სახეზეა ქონების სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე გასხვისების (სხვაგვარად განკარგვის) საშიშროება, ეს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გაართულებს, ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ძირითადად მიკუთვნებით მოთხოვნებზე ხდება, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, არამედ ასევე

მოპასუხის ნებაზე და სადავო ქონების შენარჩუნებაზე. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში (ნებაყოფლობით მოხდეს თანხის გადახდა) კი, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორცაა იმულებითი აღსრულება. თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის სახეზე აღარ იქნება მოსარჩელის დაკმაყოფილების საშუალება - მაგალითად, ქონების გასხვისების გამო - გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი. სასამართლომ, კი, უნდა უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება.

უფლების უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანი დავის არსებითად განხილვის შედეგად სასამართლო აქტის სწრაფად გამოტანასა (ძირითადი მოთხოვნის თაობაზე) და აღსრულებაში კი არ მდგომარეობს, არამედ სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დადასტურებული უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფაში. იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის შესაძლებლობა გარანტირებულია, რამეთუ აღნიშნული შესაძლებლობა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების განუყოფელი ელემენტია, უფლების დაცვისა და უზრუნველყოფის ინსტიტუტის (სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის) არსებობის აუცილებლობა გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან და ამ ინსტიტუტის ძირითადი ნიშნები ამიტომაც კონსტიტუციის რანგშია განსაზღვრული. კონსტიტუცია კი, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას წარმოადგენს. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი დაცვის გარანტიას. ამგვარი გარანტია, უზრუნველყოფილია მათ შორის, სახელმწიფო სასამართლოების არსებობითა და საქმიანობით. მოცემული გარანტიის ერთ-ერთი ელემენტია ადამიანის უფლება მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუკი იურისტთა შორის სადავოა მოცემული გარანტიის მოცულობისა და ფარგლების საკითხი, სამაგიეროდ მათ ერთიანი

პოზიცია აქვთ იმის შესახებ, რომ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი დაცვის გარანტია მოიცავს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტს.<sup>48</sup>

ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფა კანონმდებლობით დაშვებული (აუკრძალავი) იძულებითი ხასიათის იმ ღონისძიებათა სისტემაა, რომლებსაც სასამართლო იყენებს მოსარჩელის შუამდგომლობით და რომელთა გამოყენების მიზანია არა მოსარჩელისათვის სასურველი გადაწყვეტილების გამოტანა, არამედ, ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, მისი აღსრულების გარანტიების შექმნა.

## 1.2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის იურიდიული ბუნება

სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ემსახურება სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის რეალური გარანტიების შექმნას, რითაც ეს ინსტიტუტი განამტკიცებს პირის დარღვეული უფლების რეალური და ეფექტიანი აღდგენის შესაძლებლობას და გამორიცხავს მართლმსაჯულების განხორციელების ფორმალურ ხასიათს.

გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება ემსგავსება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას, რამეთუ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მსგავსად, მისი გამოყენება ემსახურება პროცესის მხარის კანონიერი ინტერესების დაცვას იმ რეალობის ან მოსალოდნელი საფრთხის გათვალისწინებით, რომ წაგებული მხარე შესაძლოა, არაკეთილსინდისიერი აღმოჩნდეს და საკუთარი ქონება გაასხვისოს, ფინანსური სახსრები განკარგოს, გადამალოს, რის შედეგადაც პროცესის მომგები მხარის უფლება განუხორციელებელი დარჩება. გადაწყვეტილების აღსრულების

---

<sup>48</sup> Jarass H.D., Pieroth B. Grundgesetz, Kommentar, 5. Auflage. München, 2000, გვ. 19.

უზრუნველყოფის ღონისძიება უნდა იყოს გონივრული, ემსახურებოდეს სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, როგორც პირველადი, ასევე მეორადი მოთხოვნების შესრულებისათვის გარანტიების შექმნას.<sup>49</sup>

ზემოთ ყურადღება გამახვილდა არა მოსარჩელეზე ან მოპასუხეზე, არამედ ისეთ მხარეზე, რომელმაც მოიგო ან წააგო პროცესი. ეს შემთხვევითი როდია. საქმე ის არის, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლი მითითებითი ნორმაა. იგი გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმზე ავრცელებს სსსკ-ის XXIII თავით დადგენილ წესებს. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგი შეკითხვა: შეიძლება თუ არა გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფისა და სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტების იურიდიული ბუნების ერთმანეთთან გაიგივება? ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. საყურადღებოა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ნორმები არ შეიცავენ წესს, რომლის შესაბამისადაც სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, თუმცა, ფაქტობრივად, ნებისმიერ ეტაპზე შეუძლია მოსარჩელეს უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღძვრა, მაგრამ ასეთი პირდაპირი წესის არსებობის შემთხვევაშიც მხოლოდ მოსარჩელის უფლებების დაცვის საპროცესო გარანტიებთან გვექნებოდა საქმე. ამიტომ, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტი სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის გაგრძელებად არ უნდა ჩაითვალოს. მას მოქმედების გაცილებით ფართო არეალი აქვს. მისი გამოყენება მოპასუხესაც შეუძლია, როდესაც გადაწყვეტილება ამ უკანასკნელის სასარგებლოდ არის მიღებული. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა ამ თვალსაზრისით არც მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მექანიზმს უნდა გავუთანაბროთ. ამგვარი მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა მართოდენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დაწესების შემთხვევაში არსებობს. საქმეზე კი, შესაძლოა საერთოდ არ იყოს გამოყენებული სარჩელის

---

<sup>49</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განჩინება საქმეზე N 28/7207-14.

უზრუნველყოფის ღონისძიება. გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმის გამოყენება კი, განსხვავებული აუცილებლობით შეიძლება იყოს განპირობებული. სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტების გამოყენების საფუძველიც განსხვავებულია. თუ მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია ვარაუდი იმისა, რომ სარჩელი დაკმაყოფილებადია, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენებას შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტი. ამასთან, არავითარი მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, თუ ვის სასარგებლოდ არის გამოტანილი ამგვარი გადაწყვეტილება, მაშინ როცა, სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის ასამოქმედებლად ამგვარი გადაწყვეტილების მართოდენ მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანის ვარაუდია განმსაზღვრელი. აღნიშნული განსხვავებები იმ დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევიან, რომ სსსკ-ის 271-ე მუხლი არასწორად არის ჩამოყალიბებული, რამეთუ, გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების საფუძვლებს და წინაპირობებს თითქოსდა XXIII თავით დადგენი დანაწესებით შემოფარგლავს, მაშინ როცა, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი გაცილებით ფართო გარანტიებს ქმნის არა მხოლოდ პროცესის მხარეთათვის, არამედ, სამომავლოდ სააღსრულებო წარმოების მხარეთათვისაც. პროცესის ისეთი მხარე კი, როგორც მოსარჩელე და მოპასუხეა, ხშირად არ ემთხვევა აღსრულების ისეთ მხარეებს, როგორებიცაა კრედიტორი და მოვალე.

შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, დასაშვებია ნებისმიერი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება. უნდა დაკონკრეტდეს შემდეგი საკითხი: იმ საქმეებზე აღძრულ სარჩელთა უზრუნველყოფაც არის დასაშვები, რომელზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემაც შესაძლებელია (საქმე ეხება სსსკ-ის 268-ე მუხლის დანაწესს). ამასთან, თუკი უზრუნველყოფის ღონისძიება სსსკ-ის 268-ე მუხლში მითითებულ საქმეთა



კატეგორიებზე გამოყენებული არ ყოფილა, მაშინ აღნიშნულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, აღარ უნდა მოხდეს უზრუნველყოფის ინსტიტუტის ამოქმედება, რამეთუ კრედიტორი მოიპოვებს სააღსრულებო ფურცელს და სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლების მექანიზმებით დაცვის შესაძლებლობას.

კანონის ამგვარი განმარტება დასახელებული ნორმის მიზნებიდან გამომდინარეობს, რამდენადაც სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი წესრიგის აღსრულებამდე სავალდებულოა კრედიტორის ინტერესების გონივრულ ფარგლებში დაცვა, რათა სამართალწარმოება ფორმალური ხასიათის მატარებელი არ გახდეს, ხოლო დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემული გადაწყვეტილება, აღსრულების ზოგადი წესისაგან განსხვავებული წესის გამო, მსგავსი ღონისძიების გატარებას სასამართლოს მხრიდან არ საჭიროებს, ვინაიდან მისი აღსრულების ეს სპეციალური წესი გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის სპეციალურ სახედვე გვევლინება.<sup>50</sup>

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შეიცავს იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია გადაწყვეტილების უზრუნველყოფის სახით, თუმცა, დავის საგანთა მრავალფეროვნებისა და სპეციფიურობიდან გამომდინარე, კოდექსი ამომწურავად არ ჩამოთვლის იმ ღონისძიებებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია გადაწყვეტილების უზრუნველყოფის სახით.

დაბოლოს, კრიტიკას იმსახურებს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების უზრუნველყოფასაც.<sup>51</sup> უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს ძალაში შეუსვლელი

<sup>50</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე Nას-69-63-2015.

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე Nას-1549-1452-2012; ნაჭყებია ა. სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013). თბილისი, GIZ, 2014, გვ. 397.

სასამართლო აქტი, ვინაიდან, ძალაში შესვლის შემდეგ, იწყება აღსრულების ეტაპი და სასამართლოს არავითარი უფლება არ აქვს გაატაროს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებები და შეითავსოს აღმასრულებლის ფუნქცია, რადგან ფაქტობრივად, სწორედ ამასთან გვექნება საქმე ძალაში შესული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის შემთხვევაში.

სასამართლოს აკისრია როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ვალდებულება. სარჩელის უზრუნველყოფისა და გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ინსტიტუტები გადაწყვეტილების მომავალში აღსრულების გარანტიას წარმოადგენენ. ამასთან, აღმასრულებელი აღსრულებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, რომელიც სააღსრულებო ფურცელში გადაიტანება. დიდწილად სწორედ სარეზოლუციო ნაწილის ფორმულირების სისწორესა და სიზუსტეზე არის დამოკიდებული სააღსრულებო მოქმედებათა შესრულების სისწრაფე და შედეგიანობა.<sup>52</sup>

### 1.3. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის განსხვავება იძულებითი აღსრულების ღონისძიების ინსტიტუტისაგან

სარჩელის უზრუნველყოფისას ერთმანეთთან განსაკუთრებულად მჭიდრო კვეთაში მოდის სასარჩელო და სააღსრულებო წარმოება, მკაფიოდ იკვეთება მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება. აღნიშნული იმაში ვლინდება, რომ სასარჩელო წარმოებაში, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში სასამართლოს მიერ დაშვებული მცირე შეცდომაც კი, შესაძლოა უარყოფითად აისახოს

---

<sup>52</sup> ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა დანი, 2018, გვ. 228.

არა მარტო სასამართლო აქტის აღსრულებაზე, არამედ აღსრულების შესაძლებლობაზეც. ამიტომ, მოცემული პრობლემის ანალიზს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო და საპროცესო კანონმდებლობით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისგან განსხვავებით, იძულებითი აღსრულების ღონისძიების ტერმინი გათვალისწინებული არ არის. ამასთან, ამ ორი კატეგორიის ერთმანეთისაგან გაუმიჯნაობის შედეგია ზოგიერთი საკანონმდებლო დებულების არასწორი ფორმულირებაც და სასამართლო შეცდომებიც. სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის დანაწესი, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში მრავალი გაუგებრობის და მოსარჩელეთა კანონიერი უფლებების დარღვევის საფუძველი გამხდარა. დისერტაციის ფარგლებში, კვლევის საგანს არ წარმოადგენს უზრუნველყოფის ცალკეული ღონისძიების ანალიზი, თუმცა უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლისა თუ წინაპირობების კვლევის ასპექტით მიზანშეწონილია ნაშრომის მოცემულ მონაკვეთში დასმული პრობლემის ანალიზი სწორედ ზემოაღნიშნული დანაწესის მაგალითზე. იმედია, ამ პრობლემის შესახებ სწორი ხედვის ჩამოყალიბება, სამომავლოდ გამოიწვევს როგორც კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის დახვეწას და განავითარებს დოქტრინასაც.

ზემოაღნიშნული დანაწესის შესაბამისად, უზრუნველყოფის ერთ-ერთი ღონისძიების - ქონების რეალიზაციის შეჩერების პირობაა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული აუქციონის არარსებობა. სასამართლო პრაქტიკაში მოსარჩელისაგან როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ საქმეებზე მოითხოვენ ბოლო ინფორმაციის წარდგენას იმის თაობაზე, დანიშნულია თუ არა აუქციონი, თუკი მოსარჩელე ითხოვს აღსრულების შეჩერებას, ან ქონების რეალიზაციის შეჩერებას. ამგვარ ინფორმაციას გასცემს ადმინისტრაციული ინფორმაციის აქვს მოქმედების მცირე ვადა, რომლის გასვლის შემდეგაც აუცილებელია ანალოგიური ინფორმაციის/ცნობის კვლავ წარდგენა. ამკარაა, რომ ასეთი პრაქტიკა, ერთი

მხრივ, ართულებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე საპროცესო უფლების განხორციელებას, მეორე მხრივ, ეწინააღმდეგება უფლების ეფექტიანად დაცვისა და უზრუნველყოფის ღონისძიების პრევენციული ფუნქციების არსს, რაც აზრს უკარგავს მართლმსაჯულების განხორციელებასაც. ამკარაა, რომ კანონმდებელს ერთმანეთში აქვს აღრეული სარჩელის უზრუნველყოფისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიების კატეგორიები. იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენების მიზანია მოვალისაგან გადახდევინების მიღწევა, უშუალო და პირდაპირი აღსრულება, ზოგჯერ კი, მოვალის ირიბი იძულება, მაშინ როცა, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი დავის საგნის დაცვაა. იძულებითი აღსრულების ღონისძიება დადასტურებული უფლების განხორციელებას ემსახურება, მაშინ როცა, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებისას უფლება ჯერ კიდევ არ არის დადასტურებული და შესაძლოა, არც დადგინდეს მისი არსებობა და რეალურობა. იმავდროულად, სარჩელის უზრუნველყოფის მიზანი არ არის მართოდენ მოპასუხის საკუთრების შეზღუდვა, მის ხარჯზე გადახდევინება მოსარჩელის სასარგებლოდ, არამედ, ხშირ შემთხვევაში უზრუნველყოფის მიზანია მოსარჩელის საკუთრების დაცვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ერთმანეთს შეესაბამება სარჩელის საგანი და უზრუნველყოფის ობიექტი. ამიტომ სრულიად გაუგებარია, როდესაც სსსკ-ის 198-ე მუხლის ზემოაღნიშნული დანაწესი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას უკავშირებს იძულებითი აღსრულების ღონისძიებების დაწყებას. აუქციონის დანიშვნა არ შეიძლება წარმოადგენდეს საკუთრების უფლების დაცვის გარანტიების ამოქმედების შემაფერხებელ ფაქტორს. საკუთრების უფლება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იქნეს დაცული, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არ გვყავს შემძენი. აუქციონის დანიშვნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მის დასრულებას, შემძენის გამოვლენას. ამიტომ, ყველაფერთან ერთად, არავითარი რაციონალური მოსაზრებით არ არის ნაკარნახევი ქონების რეალიზაციის შეჩერების დაუშვებლობა აუქციონის მიმდინარეობის გამო. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი ასპექტი: პირი, რომელიც ითხოვს თავისი საკუთრების უფლების დაცვას, შესაძლოა სრულიადაც არ წარმოადგენდეს სააღსრულებო წარმოების მხარეს. სამოქალაქო პროცესის მხარისა და

სააღსრულებო წარმოების მხარის გაიგივება დაუშვებელია. ქონებაზე აღსრულება ყოველთვის როდი არის ერთიდაიგივე პირებს შორის არსებული ურთიერთობის გაგრძელების შედეგი. გასათვალისწინებელია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის დანაწესიც, რომლის მიხედვითაც აღსრულების შეჩერების საფუძვლები არ შეიძლება ამომწურავად ჩაითვალოს. შესაბამისად, აღსრულების შეჩერება და მაშასადამე, იძულებითი აღსრულების ღონისძიებების შეჩერება, სხვა საფუძვლითაც, მათ შორის, სარჩელის უზრუნველყოფის წესითაც შესაძლებელია.<sup>53</sup>

საქართველოს კონსტიტუციითა და პიროვნების უფლებრივი მდგომარეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმებითა და პრინციპებით აკრძალულია თავისუფლების, პიროვნების ხელშეუხებლობის, საკუთრების ხელშეუხებლობის უფლების შემზღუდავი მოქმედების თვითნებურად გამოყენება.

ამგვარი თვითნებობისაგან დაცვის ერთ-ერთი სერიოზული გარანტიაა კონსტიტუციის მე-7 მუხლის დანაწესი, რომლის შესაბამისადაც, უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული გამგებლობა ადამიანის უფლებათა კანონმდებლობა, აგრეთვე საპროცესო კანონმდებლობა. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება განისაზღვროს. საკანონმდებლო აქტების სახეები მითითებულია ამავე კანონის მე-7 მუხლში. ესენია არანაკლებ პარლამენტის მიერ მიღებული აქტები. ზემოაღნიშნული დანაწესები

---

<sup>53</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე N ბს-727-711(კ-12); მართალია, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ არ ასახა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისა და იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოიჯენის შესახებ მსჯელობა, თუმცა, არსებითად, სწორედ ამ გარემოების გათვალისწინებით მიიღო მართებული გადაწყვეტილება.

გათვალისწინებული უნდა იქნენ როგორც სარჩელის უზრუნველყოფის, ისე იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენებისას.

#### 1.4. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გავლენა მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივ უფლებებზე

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენება დასაშვებია უფლებრივი დავის გამო აღძრული ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე. ლიტერატურაში მართებულად არის აღნიშნული, რომ უზრუნველყოფის მექანიზმის ჩამოყალიბებისას საკანონმდებლო ორგანო<sup>54</sup> დილემის წინაშე დგას: უზრუნველყოფის გამოყენების სისწრაფე მიიღწევა სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმებაზე უარის ხარჯზე. მაშასადამე, უზრუნველყოფის გამოყენებისას არ განიხილება სარჩელის საფუძვლიანობის საკითხი. თუმცა, ამ უკანასკნელის უარყოფითი შედეგი შეიძლება იყოს ზედაპირული, არასწორი გადაწყვეტილებები, რამაც შესაძლოა სასამართლო ხელისუფლების რეპუტაცია შელახოს, რასაც ვერც ერთი დემოკრატიულად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ვერ დაეთანხმება.<sup>55</sup> ამრიგად, აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენება გავლენას არ ახდენს საქმის საბოლოო შედეგზე, თუმცა, დავის მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულების შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დადასტურებული უფლების აღსრულებას რეალურს ხდის, მაშასადამე, ხელს უწყობს საქმეზე აღსრულებადი გადაწყვეტილების გამოტანას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება სასამართლოს ვარაუდს, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას, იმ ასპექტით, რომ სარჩელი დაკმაყოფილებადია, სასამართლო მსჯელობს

<sup>54</sup> აქედან გამომდინარე, სასამართლოც, რამეთუ საკანონმდებლო დანაწესს სწორედ სასამართლო იყენებს - ხაზგასმა ეკუთვნის კვლევის ავტორს.

<sup>55</sup> Paulus C.G. Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung und Europäisches Zivilprozessrecht, 6. Auflage. Berlin, Springer, 2016, გვ. 349.

სარჩელის მატერიალურ და საპროცესო წინაპირობებზეც. აღნიშნული მოქმედების შესრულებას სასამართლოს ავალდებულებს სსსკ-ის 191-ე მუხლის დანაწესი,<sup>56</sup> მაგრამ ამგვარი წინასწარი მსჯელობა გავლენას არ ახდენს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებაზე.<sup>57</sup> სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>58</sup>

ამასთან, მხოლოდ დარღვეულ უფლებასა, თუ კანონიერ ინტერესზე აპელირება, არ წამოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველს. ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტი და დასაბუთებული ეჭვი ვალდებულების მომავალში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელის აღძვრის საფუძველია, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინამძღვრები გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, ან მისი აღსრულების გაძნელების ან აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების საფრთხის დასაბუთებაში უნდა მდგომარეობდეს.<sup>59</sup>

---

<sup>56</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 მარტის განჩინებაში საქმეზე N 85 უზრ-17 განმარტებულია: სსსკ-ის 191-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის, როგორც მოსარჩელის დროებითი (შუალედური) დაცვის საპროცესო საშუალების არსს, ფუნქციას და მისი გამოყენების პირობებს, კერძოდ: ამ ღონისძიების მიზანია - თავიდან იქნეს აცილებული ის გარემოებები, რომლებმაც შეიძლება დააბრკოლოს ან შეუძლებელი გახადოს გადაწყვეტილების საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, დარვეული ან სადავო უფლების განხორციელება.

<sup>57</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 179552; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე N 4835924-21.

<sup>58</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 179552.

<sup>59</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე N 4835924-21.

## 1.5. სხვა საქმეში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გავლენა დავის გადაწყვეტაზე

კონკრეტული საქმის სამართლებრივ შედეგებზე შესაძლოა გავლენას ახდენდეს სხვა საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. ამასთან, პრობლემის იდენტიფიცირებისათვის თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ საუბარია უზრუნველყოფის არა ნებისმიერ ღონისძიებაზე, არამედ ისეთი სახის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის გავლენაზე, რომელიც უკავშირდება ქონებრივი ხასიათის აკრძალვებს. ცხადია, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არსებობა ვერ გახდება დავის არსებითად განხილვის და მაშასადამე, სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დამაბრკოლებელი ფაქტორი, მაგრამ მან შესაძლოა გავლენა მოახდინოს მხარეთა დისპოზიციური მოქმედებების შესრულების შესაძლებლობაზე. სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, საქმის მორიგებით დასრულებამდე, მხარეებს ევალებათ დავის საგნად ქცეულ ქონებაზე (ეს შეიძლება იყოს როგორც ნივთი, ისე ქონებრივი უფლება) საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ნორმაში საუბარია აღნიშნული სახის შეზღუდვის თაობაზე ცნობის წარდგენის შესახებ, თუმცა, ცნობის წარდგენაში ფართოდ უნდა მოიაზრებოდეს ნებისმიერი სახის ინფორმაციის თუ ამონაწერის (მაგალითად, საჯარო ან სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის) წარდგენა. ამგვარი ინფორმაციით, რომელიც უნდა ასახავდეს მორიგების დროისათვის არსებულ მონაცემებს, უნდა დასტურდებოდეს საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაციის არარსებობის ფაქტი. მაშასადამე, იგულისხმება უძრავი ნივთები და სხვადასხვა სახის წილი თუ რეგისტრირებული უფლება. ზოგიერთი მოძრავი ნივთიც რეგისტრაციაუნარიანია. გამოდის, რომ სხვა სახის მოძრავ ნივთებზე კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება. ხომ შეიძლება, რომ მოძრავი ნივთები აღწერილი და დაყადაღებული იყოს აღმასრულებლის მიერ? ეს საკითხი მხედველობის მიღმა აქვს დატოვებული კანონმდებელს. სსსკ-ის 218-ე მუხლის დანაწესის ქვეტექსტი ცხადია - თუ აღმოჩნდება საჯარო-სამართლებრივი



შეზღუდვა, დავის საგნად ქცეულ ქონებაზე მორიგება ვერ შედგება. ამასთან, საინტერესოა, ნებისმიერი კატეგორიის დავაზე უნდა გავრცელდეს თუ არა დასახელებული მუხლის მოქმედების არეალი? ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. ისიც შეიძლება მოხდეს, რომ საქმე მორიგებით კი არ იყოს დამთავრებული, არამედ მასზე გადაწყვეტილება იყოს მიღებული. შესაბამისად, საინტერესოა, შეუძლია თუ არა ამგვარი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემთხვევაში მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა იმ პირს, რომლის სასარგებლოდაც საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა მოქმედებდა ქონებაზე, რომელიც მსგავსი გადაწყვეტილების საგანი გახდა.

სსსკ-ის 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დანაწესის შესაბამისად, გადაწყვეტილების ბათილობის მოთხოვნის უფლება აქვს იმას, ვის უფლებებს და კანონიერ ინტერესებსაც შეეხება საქმე. გადაწყვეტილება მაშინ ეხება პირის უფლებებსა და ინტერესებს, როდესაც ის განსაზღვრავს პირის უფლებას ან არღვევს პირის უფლებას თუ კანონიერ ინტერესს. როგორც ცნობილია, სამოქალაქო საპროცესო სამართლის ინსტიტუტების უმრავლესობაზე გავლენას მატერიალური სამოქალაქო სამართალი ახდენს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს პროცესუალური საკითხები. სწორედ მატერიალური სამართალი განსაზღვრავს, თუ ვისი უფლებების და ინტერესების დაცვაზე შეიძლება იყოს ორიენტირებული სსსკ-ის 218-ე მუხლი ან ვინ შეიძლება მოიაზრებოდეს სსსკ-ის 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ სუბიექტში, ვისზე გავრცელდეს ეს ნორმა. ამ ნორმაში საუბარია როგორც „უფლებაზე“, ისე „კანონიერ ინტერესზე“ გადაწყვეტილების მიერ ზეგავლენის მოხდენაზე, რაც იწვევს ამ გადაწყვეტილების ბათილობას. ამიტომ დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო „უფლებისა“ და „კანონიერი ინტერესის“ კატეგორიების ანალიზისადმი. ნორმის დანაწესით გათვალისწინებულ უფლებაში, რომელიც დაირღვა, ჯერ ერთი, იგულისხმება საქმის განახლების მომთხოვნი პირის ის უფლება, რომელიც აღიარებულია, ანუ დადასტურებულია გასაბათილებელი გადაწყვეტილების ჯერ კიდევ გამოტანამდე და რომელსაც (აღიარებულ - დადასტურებულ უფლებას) შეეხო გასაბათილებელი

გადაწყვეტილება. საქმე იმაშია, რომ ნორმა არ შეიძლება იცავდეს ჯერ კიდევ დაუდასტურებელ, არალიარებულ უფლებას. ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ნორმის გონივრული განმარტებიდან. მეორე, მასში იგულისხმება უფლება, რომელიც დავის საგნიდან (სადაო სამართლებრივი ურთიერთობიდან) გამომდინარეობს. სხვაგვარად რომ ითქვას, სსსკ-ის 218-ე მუხლის მე-2<sup>1</sup> ნაწილში და 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში ნაგულისხმებ სუბიექტებში, რომელთა ინტერესების დაცვაც აუცილებელია, მოიაზრება ის, ვინც სადაო სამართლებრივი ანუ მატერიალური სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეა იმ საქმეზე, რომელზეც შეიძლება საქმე მორიგებით დასრულდეს ან რომელზე გამოტანილი გადაწყვეტილების გაბათილებასაც ითხოვს.<sup>60</sup>

ერთ-ერთ საქმეზე მოთხოვნილი იქნა ფიზიკური პირისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება. აღნიშნული საქმის ფარგლებში, გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>61</sup> მოვალის (რომლისთვისაც ითხოვდნენ ანაზღაურების დაკისრებას) წინააღმდეგ სარჩელი აღძრა მისმა მეუღლემ და მოითხოვა იმ ქონების, როგორც თანასაკუთრების გაყოფა, რომლის მიმართაც გამოყენებულია უზრუნველყოფის ღონისძიება. სასამართლომ დააკმაყოფილა მეუღლის სარჩელი. მოცემულ დავაზე მიღებული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.<sup>62</sup> აღნიშნული საქმის განახლება მოითხოვა ზემოთხსენებული იმ საქმის მონაწილე მოსარჩელემ, რომლის სასარგებლოდაც გამოყენებული იყო უზრუნველყოფის ღონისძიება. მან საქმის განახლება მოითხოვა იმ საფუძველით, რომ შემცირდა უზრუნველყოფის საგანი (ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა სხვა პირისათვის მიკუთვნების გამო აღარც არსებობდეს უზრუნველყოფის საგანი) და მაშასადამე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მეუღლეთა დავაზე შეეხო მის უფლებებსა და მოვალეობებს.

---

<sup>60</sup> ამ გარემოების გათვალისწინებით უნდა განიმარტოს სსსკ-ის 218-ე მუხლიც, რომლის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა თითქოს ფართოა, მაგრამ სინამდვილეში მოიაზრებს ვიწრო შინაარსს და ეხება მხოლოდ ისეთ საქმეებს, როდესაც დავის საგანი არ ეფუძნება კანონის ძალით აღიარებულ უფლებას.

<sup>61</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე N 2/34658-21.

<sup>62</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N 2/7643-22.

საინტერესოა, უნდა განახლდეს თუ არა მოცემულ შემთხვევაში საქმე? ამ შეკითხვას უარყოფითი პასუხი უნდა გაეცეს. საქმე ის არის, რომ დასახელებულ დავაზე განმცხადებელს მატერიალური სამოქალაქო სამართლის მიხედვით არ გააჩნიათ არც დადასტურებული, არც დაუდასტურებელი სანივთო უფლება მეუღლეთა თანაზიარ საკუთრებაზე (დავის საგნად ქცეულ ქონებაზე). უფრო მეტიც, განმცხადებელი (საქმის განახლების მომთხოვნის) ამგვარ უფლებას ვერ მოიპოვებს ვერც ფულადი ვალდებულების შესახებ (ზიანის ანაზღაურების შესახებ) დავაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში. აქედან გამომდინარე კი, განმცხადებლის მიერ აღძრულ დავის საგანს სხვა საქმეზე კავშირი არ აქვს და ვერ ექნება სსსკ-ის 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში ნახსენებ უფლებასთან. რაც შეეხება იმ სადაო ურთიერთობის მონაწილედ ყოფნას, რომელიც განისაზღვრა და მოწესრიგდა მეუღლეთა შორის საქმის განახლების მომთხოვნის მიერ სადაოდ ქცეული გადაწყვეტილებით, ამ საკითხის სწორი კვალიფიკაციისთვის განმსაზღვრელია საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის იმ მნიშვნელოვანი პრინციპის და თავისებურების გათვალისწინება, რომ საოჯახო ურთიერთობის მონაწილენი მარტოოდენ ფიზიკური პირები არიან,<sup>63</sup> რაც გამორიცხავს კონკრეტულ სადავო შემთხვევაში პროცესში რაიმე სახით სხვა სუბიექტის ჩართვის შესაძლებლობას მეუღლეთა შორის ქონების გაყოფის დავაში. განმცხადებელს (საქმის განახლების მომთხოვნის) გასაყოფ ქონებაზე დადასტურებული დამოუკიდებელი სანივთო უფლება ვერ ექნება და ამ ქონებიდან რაიმე წილი ვერ მიეკუთვნება. განმცხადებელს ვალდებულებით დავაზე სააღსრულებო ფურცელიც რომ გააჩნდეს ერთ-ერთი მეუღლის მიმართ, მეორე მეუღლეს აღსრულების სტადიაზე ექნებოდა თავის წილზე საკუთრების უფლების დაცვის შესაძლებლობა.<sup>64</sup>

---

<sup>63</sup> შენგელია რ., შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2019, გვ. 28; ლობჯანიძე დ. საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებანი სამოქალაქო პროცესში. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023, გვ. 8.

<sup>64</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999 - 32-ე და 69-ე მუხლები.

რაც შეეხება მეუღლეებს, მათი უფლება თანასაკუთრების წილზე კანონით არის აღიარებული. მაშასადამე სადაოდ ქცეული გადაწყვეტილებით განხორციელებულია კანონით აღიარებული უფლება. ეს გადაწყვეტილება ვერავითარ შემთხვევაში ვერ განსაზღვრავდა სხვა პირის სანივთო უფლებებს მეუღლეთა მიმართ. აქედან გამომდინარე, ვერც მოახდენდა გავლენას განმცხადებელთა არარსებულ, ჯერ კიდევ მოუპოვებელ ან თუნდაც ძალაში შესული გადაწყვეტილებით მოპოვებულ ვალდებულებით უფლებაზე. სსსკ-ის 422-ე მუხლი უფლებაში სწორედ მატერიალურ სამოქალაქო უფლებას გულისხმობს და არა პროცესუალურ ინსტიტუტს სარჩელის უზრუნველყოფის სახით, რამეთუ სასამართლო პრაქტიკის მიხედვით სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი გავლენას არ ახდენს არათუ სხვა დავაზე, არამედ თვით იმ დავის შედეგზე, რომლის ფარგლებშიც არის გამოყენებული. უფრო მეტიც, მეუღლეებს საერთო საკუთრების წილზე უფლება სადაოდ ქცეული გადაწყვეტილებით კი არ აქვთ მოპოვებული, არამედ კანონის ძალით, ერთად ცხოვრების შედეგად და პერიოდში. აღნიშნულის გათვალისწინებით განცხადებელს ყადაღის თუ სარჩელის უზრუნველყოფის სხვა სახის ღონისძიების მოთხოვნის უფლებაც კი არ ჰქონდა სხვის (თანამესაკუთრე მეუღლის) ქონებაზე, რომელიც არ ყოფილა მხარე (მოპასუხე) ვალდებულებით სამართლებრივ დავაში. სხვისი ქონების დაყადაღება დაუშვებელია და სხვისი ქონების დაყადაღებით განცხადებელს არა თუ ზიანი არ ადგება, მას არც აქვს ამ ქონების ნაწილში საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის მოთხოვნის რეალური იურიდიული ინტერესი და უფლება.

რაც შეეხება 422-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ კანონიერ ინტერესს, არის თუ არა სახეზე კანონიერი ინტერესი, უნდა განისაზღვროს ინტერესის კატეგორიის მიმართ სამოქალაქო პროცესში არსებული მიდგომის მიხედვით. სსსკ-ის სხვადასხვა ნორმაში (მე-2, 180-ე, 422-ე და სხვა მუხლები) გამოყენებულია როგორც კანონით გათვალისწინებული ინტერესის, ისე იურიდიული ინტერესის კატეგორიები.

იურიდიული ინტერესი განიყოფება ორი სახის - მატერიალურ სამართლებრივ და საპროცესო ინტერესად. პირველი მათგანის არსებობა განპირობებულია საქმეში დაპირისპირებული მხარეების მონაწილეობით და მათი მიზნით, დაკმაყოფილდეს ან არ დაკმაყოფილდეს სარჩელი. ეს მიზანი განსხვავებულია მხარეთა სტატუსის (მოსარჩელე, მოპასუხე) მიხედვით. საპროცესო ინტერესი კი - სასამართლომ მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება - ორივე მხარეს ერთნაირი აქვს. სსსკ-ის 422-ე მუხლში გამოყენებული კანონით გათვალისწინებული ინტერესის კატეგორია არის სწორედ მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესის და არა საპროცესო ინტერესის ტოლფასი. თავის მხრივ, საქმის შედეგით მატერიალურ-სამართლებრივი დაინტერესება ანუ „კანონით გათვალისწინებული ინტერესი“ შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ სადაო მატერიალური ურთიერთობის მონაწილეს. სსსკ-ის 422-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად, აუცილებელი წინაპირობაა, რომ გასაბათილებელი გადაწყვეტილება არა ირიბად, არამედ უშუალოდ ეხებოდეს საქმის განახლების მომთხოვნი პირის კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს. ასეთ ინტერესად კი, ვერ ჩაითვლება განმცხადებლის ინტერესი, ფულადი მოთხოვნა (თანაც დაუდასტურებელი) უზრუნველყოფის საგნიდან დაიკმაყოფილოს.

დასახელებულ საქმეში განმცხადებელს არ გააჩნია შესაბამისი სტატუსიც. თუნდაც დაშვებული იქნეს ვარაუდი, რომ მეუღლეთა ქონების გაყოფის საქმემ მოახდინა გავლენა განმცხადებლის უფლებაზე, რეალურად და სამართლებრივად წარმოუდგენელი იქნება განისაზღვროს მეუღლეთა დავაში განმცხადებლის მონაწილეობის მიზანი და მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი. გაუგებარია, რა საფუძველით და სტატუსით უნდა ჩართულიყო იგი ამ საქმეში? დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირის საქმეში მონაწილეობის საფუძველია სამომავლოდ სარეგრესო სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა, რაც, მოცემულ შემთხვევაში გამოირიცხება. ხოლო თუკი დამოუკიდებელ სანივთო მოთხოვნაზე შეიძლება იყოს საუბარი, ზემოთ უკვე დასაბუთდა, რომ განმცხადებელს არც ასეთი მოთხოვნა აქვს ნივთზე. თუკი საკითხი

დგება იმგვარად, რომ მეუღლეებს არ ჰქონდათ ქონების გაყოფის უფლება, ასეთი მსჯელობაც არამართებული იქნება. ვერც სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 32-ე მუხლის საფუძველზე ექნებოდა განმცხადებელს საქმეში ჩართვის უფლება, ვინაიდან აღნიშნული ნორმა ეხება მესაკუთრის უფლებების დაცვას კრედიტორსა და მოვალეს შორის მიმდინარე სააღსრულებო წარმოებაში და არც მეუღლეები ყოფილან კრედიტორი და მოვალე განმცხადებლის მიმართ, ვინაიდან ამგვარი სტატუსი პირს ენიჭება კანონიერ ძალაში გადაწყვეტილების შესვლის შედეგად. აღსრულების კრედიტორს აღსასრულებელ ქონებაზე უფლებები არ გააჩნია. ამიტომ მესაკუთრე ითხოვს ყადაღისგან ქონების გათავისუფლებას. ასე რომ, ყადაღა/სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება კი არ განსაზღვრავს მესაკუთრის უფლებას, არამედ პირიქით, მესაკუთრის უფლება (საკუთრების უფლება) სპობს და აქარწლებს უზრუნველყოფის ღონისძიებას.

დაბოლოს, 32-ე მუხლის თანახმად დაცულია მესაკუთრის და არა კრედიტორის უფლება. მესაკუთრის დამცავ ნორმას სააღსრულებო წარმოებათა კანონი იმ ნორმებშიც ითვალისწინებს, რომლებიც უძრავ ნივთზე აუქციონს შეეხებიან.

## თავი 2. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და წინაპირობები

### 2.1. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი

#### 2.1.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის იურიდიული ბუნება

სასამართლოს უფლებამოსილება სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარეობს და სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების გამოხატულებას წარმოადგენს, რომელიც აუცილებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

სარჩელის უზრუნველყოფა, თავისი არსით, წარმოადგენს სასამართლოს მიერ გამოყენებული დროებითი ღონისძიების ისეთ სახეს, რომლის გამოყენების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არ გულისხმობს სარჩელის წინასწარ გადაწყვეტას, არსებით განხილვამდე მის დაკმაყოფილებას.<sup>65</sup> თავის მხრივ, გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სახელით გამოტანილ მართლმსაჯულების აქტს,<sup>66</sup> რომელიც მოდავე მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად აწესრიგებს და მიმართულია სამომავლოდ (კანონიერ ძალაში შესვლის დროისათვის) დაცული და

<sup>65</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2b/4597.

<sup>66</sup> თოდუა მ., ქურდაძე შ. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი. თბილისი, 2005, გვ.165.

ადიარებული უფლების განხორციელებისკენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების აღსრულების დროისათვის აღმოჩნდება, რომ შეუძლებელია სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შედეგის განხორციელება, მართლმსაჯულება რეალურ მიზანს დაკარგავს. კანონმდებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობის მტკიცების ტვირთს განმცხადებელს აკისრებს, თუმცა, ადგენს, რომ სასამართლომ სწორედ საქმის მასალებისა და მხარის არგუმენტების ანალიზის საფუძველზე უნდა შეიქმნას დასაბუთებული ვარაუდი იმისა, რომ საჭიროა სარჩელის დავის საგნის დაცვის უზრუნველყოფა (საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიის შექმნა). ამ ინსტიტუტის მიზნებიდან და შედეგებიდან<sup>67</sup> გამომდინარე, უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება ყოველი კონკრეტული დავის სამართლებრივი თავისებურებების გათვალისწინებით. შესაბამისად, უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას, პირველ რიგში შეფასება უნდა მიეცეს სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს, დავის საგანს და სხვა არსებით კომპონენტებს (უზრუნველყოფის ღონისძიების ადეკვატურობა, კავშირი დავის საგანთან და ა.შ.), რომლის ფარგლებშიც სასამართლომ უნდა მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება. სწორედ ამაზე მეტყველებს და მიუთითებს, სსსკ-ის 191-ე მუხლი, რომელიც ადგენს „ვარაუდის სტანდარტს“ - სასარჩელო მოთხოვნის შესაძლო დაკმაყოფილების შესახებ. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე სასამართლოსათვის ჩამოყალიბებული ვარაუდი გავლენას არ ახდენს შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე, რომელიც უკვე არსებითი განხილვის შედეგია.<sup>68</sup> გადაწყვეტილების უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას და შესაბამისად, მხარის უფლებების კანონისმიერ ფარგლებში შეზღუდვისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების

---

<sup>67</sup> ლიტერატურაში მითითებულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფას „სანქციის შედეგი ახლავს“ - ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი II. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023, 63.

<sup>68</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 179552; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 2/28244-18.



გატარების გარეშე ობიექტურად შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გაართულდება საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგის - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>69</sup> მართალია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას კანონმდებელი უკავშირებს სარჩელის სამართლებრივ პერსპექტიულობას და მოსამართლის შეფასებას, არსებობს თუ არა სარჩელის შესაძლო დაკმაყოფილების დასაბუთებული ვარაუდი, თუმცა, აღნიშნული დავის სამართლებრივ ბედზე, სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე, გავლენას ვერ ახდენს, ამიტომ, ყურადღება უნდა გამახვილდეს, დავის საგანზეც (სასარჩელო მოთხოვნებზე), მის ფაქტობრივ მოცემულობაზე, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლომ უნდა იმსჯელოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართებულობაზე, რათა დაცული იქნეს კონკრეტული დავის საგანიც (სასარჩელო მოთხოვნების გათვალისწინებით მისაღები გადაწყვეტილება) და იმავდროულად, შენარჩუნდეს დაპირისპირებულ უფლებათა ბალანსიც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველთა შეჯერების შედეგად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, გამოიყენოს თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, ვინაიდან ყოველი ინდივიდუალური შემთხვევა (დავის საგანი/სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების კონკრეტული სახე) და შესაბამის გარემოებებზე მითითებები, ურთიერთგადაჯაჭვულ სისტემას წარმოადგენს, რომლის ელემენტები ერთმანეთს ემყარება, ერთმანეთის საფუძველს ქმნის და სსსკ-ის 191-ე მუხლის გათვალისწინებით, იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს მართებულობის საკითხის შესაფასებლად.

სარჩელის უზრუნველყოფის განცხდებაში მოსარჩელემ უნდა მიუთითოს შესაბამის გარემოებებზე, ანუ განცხადების ფაქტობრივ საფუძველზე, მიზეზებზე, რომელთა გარეშეც მას მიაჩნია, რომ გადაწყვეტილების აღსრულება გამწვანდება, შეუძლებელი გახდება ან მიადგება ზიანი და, შესაბამისად, რომლებიც სასამართლოს შეუქმნიან

---

<sup>69</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე N 2/26988-20.

დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად. ეს მიზეზები (გარემოებები) საქმის ხასიათზეა დამოკიდებული... ასეთი მიზეზი და გარემოება შეიძლება მოპასუხის პიროვნული დახასიათებაც იყოს.<sup>70</sup>

აღნიშნული საკითხების დამაჯერებლად დასაბუთება მნიშვნელოვანია, რამდენადაც უზრუნველყოფა წარმოადგენს ერთი მხარისათვის თავისი უფლების დაცვის გარანტს, ხოლო მეორე მხარეს უზღუდავს კანონიერი უფლებების განხორციელების შესაძლებლობას.

ერთ-ერთი გარემოება, რომელზედაც მოსარჩელე შეიძლება ამყარებდეს ვარაუდს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღსრულებლობის თვალსაზრისით, არის დავის საგნად ქცეული ქონების მოსალოდნელი გასხვისების (ან სხვაგვარად განკარგვის) საშიშროება. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან/და შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების შესრულებას და შესაბამის დასაბუთებას, რაც სასამართლოს უქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, უზრუნველყოფის ღონისძიების მიუღებლობის შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების (შეუძლებლობის) თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კოდექსით უზრუნველყოფის ფაქტობრივი საფუძველი დაკონკრეტებული არ არის. სსსკ-ის 191-ე მუხლში იმის მითითება, რომ განმცხადებელს ევალება წარმოადგინოს გარემოებები, რომელთა გამოც უზრუნველყოფის მიუღებლობა გაართულებს ან შეუძლებელს გახდის აღსრულებას ან აუნაზღაურებელ ზიანს მიაყენებს მოსარჩელეს, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ კანონით განსაზღვრულია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი

---

<sup>70</sup> ქურდაძე შ. საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2010, გვ. 220.

საფუძველი. პირიქით, ამგვარ საფუძველზე უთითებს მოსარჩელე, ხოლო სასამართლო თავისი შეხედულებით განსაზღვრავს, თუ რამდენად არის სახეზე უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველი. ფაქტობრივ საფუძველში იგულისხმება იურიდიული ფაქტები, რომლებიც აუცილებელია საპროცესო მოქმედების განხორციელების გადაწყვეტილების მისაღებად.

სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება მოსაზრება, რომ უზრუნველყოფის გამოყენების საფუძველზე ანუ გარემოებებზე მხოლოდ მითითება არ კმარა. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს კიდევ ამ გარემოებების არსებობა, რადგან მას ეკისრება გარემოების მტკიცების ზოგადი ტვირთი სსსკ-ის 102-ე მუხლიდან გამომდინარე.<sup>71</sup>

თუმცა, აღნიშნულის საპირისპიროდ, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ უზრუნველყოფის გამოყენებას საფუძველად ედება არა დამტკიცებული ფაქტები (ამას არ მოითხოვს სსსკ-ის 191-ე მუხლი), არამედ ისეთი ფაქტები, რომელთაც სავარაუდოდ არსებული ფაქტების ხასიათი აქვთ. მათ საფუძველზე სასამართლოს უჩნდება ვარაუდი, რომ სარჩელი დაკმაყოფილებადია. ნებისმიერ საპროცესო გადაწყვეტილებას, მათ შორის უზრუნველყოფის გამოყენებას, საფუძველად უნდა ედოს დამტკიცებული ფაქტები, მაგრამ აქედან გამონაკლისია სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც არ მოითხოვს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველად მითითებული ფაქტების მტკიცებას.<sup>72</sup> სწორედ ამიტომ არის, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სსსკ-ის 191-ე მუხლში საკმაოდ ფართოდ და ზოგადი სახით არის მოცემული. ამასთან, მოსარჩელის მიერ ამა თუ

---

<sup>71</sup> ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯი სი აი, 2001, გვ. 100.

<sup>72</sup> პრაქტიკაში მიეთითება სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის ფაქტობრივი გარემოებებით (და არა მტკიცებულებებით) დასაბუთების აუცილებლობაზე, რომელიც სასამართლოს დაარწმუნებს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროების საკითხში - საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), 2013, გვ. 4. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/shexvedrisshejameba.pdf> [30.05.24].

იმ საფუძვლის მითითება, ავტომატურად როდი იწვევს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებას.

იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ზღუდავს პიროვნების უფლებებს, მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ნაკარნახევია აუცილებლობით: სარჩელში და უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების თხოვნით აღძრულ განცხადებაში მითითებული გარემოებები სასამართლოს უნდა უქმნიდნენ რწმენას, რომ მოსარჩელის მიერ დასახული მიზნის (შედეგის) მიღწევის სხვა გზა არ არსებობს.

უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლის ანალიზისას კიდევ ერთი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: სსსკ-ის 191-ე მუხლში მითითებული სიტყვები, რომლის თანახმადაც სასამართლო გამოიყენებს უზრუნველყოფის ღონისძიებას იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდოა, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება, არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ამგვარი ვარაუდი არის უზრუნველყოფის ღონისძიების საფუძველი. უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების აუცილებლობა უკავშირდება გადაწყვეტილების აღუსრულებლობის, აღსრულების გაძნელების ან მოსარჩელისთვის აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების საფრთხეს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოსარჩელის უფლებათა და კანონიერი ინტერესების მოპასუხის მიერ დარღვევის დამადასტურებელი მტკიცებულებების საქმეში არსებობა და ამის საფუძველზე შექმნილი ვარაუდი, რომ სარჩელი დაკმაყოფილდება, არ არის საკმარისი ფაქტორი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოსაყენებლად. ამგვარი ვარაუდი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ერთ-ერთი პირობაა, მაგრამ არა საფუძველი. უფლებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის დამადასტურებელი გარემოებების გარდა, მითითებული უნდა იქნეს გარემოებები (შესაძლოა ამ გარემოებათა არსებობა მტკიცდებოდეს კიდევ, მაგრამ დამტკიცება არ არის აუცილებელი), რომლებიც მიუთითებენ აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების ან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს, რომელთა საფუძველზეც გადაწყდება უზრუნველყოფის

გამოყენების საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ მიუთითებს, თუ როგორი ხასიათის უნდა იყოს ეს გარემოებები.

სსსკ-ის 284-ე და 285-ე მუხლების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლომ აუცილებლად უნდა დაადგინოს უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი. კერძოდ, სსსკ-ის 285-ე მუხლის ზოგადი დანაწესი, სასამართლოს ავალდებულებს, შესაბამის განჩინებაში მიუთითოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა საფუძველზე მან მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლის სწორად დადგენის პრაქტიკულ მნიშვნელობას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინებების გასაჩივრება მათი დაუსაბუთებლობის მოტივით ხდება. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლის შესახებ საკითხს მარტოოდენ უზრუნველყოფის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად როდი აქვს მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელობა აქვს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების შესაფასებლად ისეთ შემთხვევაში, როდესაც უნდა გადაწყდეს უფლებამწიფედული პირისათვის გაუმართლებელი უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი.

ამასთან, იმის გამო, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, როგორც წესი, სავარაუდოდ არსებული ფაქტებია და არა დამტკიცებული ფაქტები, მისი გამოყენების მართლზომიერების შეფასების კრიტერიუმი შეიძლება იყოს თანაზომადობის პრინციპი (რამეთუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ზღუდავს მოპასუხეს), აგრეთვე სხვა პირის უფლების შელახვის დაუშვებლობის პრინციპი, თუკი აღმოჩნდება, რომ მესამე პირს საკუთრების უფლება გააჩნია უზრუნველყოფის საგანზე ან მის ნაწილზე.

უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების ფაქტობრივ საფუძველს აქვს შემდეგი პრაქტიკული მნიშვნელობა: მას მინიმუმამდე დაჰყავს პროცესის იმ მხარეთა მიმართ

სასამართლოს თვითნებობის და სუბიექტივიზმის შემთხვევები, რომლის უფლებაც უზრუნველყოფის ღონისძიებით იზღუდება; უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების კანონიერების ობიექტურად შეფასებისთვის; უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მიყენებული მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძვლიანობის შესაფასებლად.

საინტერესოა შემდეგი საკითხი: შეუძლია თუ არა სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება იმ საფუძვლით, რომ მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულებას საფრთხე ექმნება მოვალის სხვა კრედიტორთა მხრიდან (კრედიტორთა მწვავე კონკურენციის პირობებში)? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სამოქალაქო პროცესში და სააღსრულებო სამართალში მოქმედებს დასწრების პრინციპი.<sup>73</sup> შესაბამისად, სხვა კრედიტორთა მხრიდან დასწრების რიდით მოსარჩელემ, როგორც ერთ-ერთმა კრედიტორმა შეიძლება მიაღწიოს თუ არა თავის სასარგებლოდ მომავალში მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, თუკი მოვალის ქონებას სხვა კრედიტორთა მხრიდან გადახდევინების მიქცევის საფრთხე ემუქრება. ეს საკითხი დავის საგნად იქცა გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში.<sup>74</sup>

გერმანულ იურისტთა შორის ჭარბობს მართებული აზრი, რომლის თანახმადაც დასახელებულ საკითხზე გაცემულია უარყოფითი პასუხი. ამგვარი მიდგომა ეფუძნება იმას, რომ უზრუნველყოფის მექანიზმის ფუნქცია არ შეიძლება მდგომარეობდეს დანარჩენ კრედიტორებთან მიმართებაში ერთ-ერთ კრედიტორისათვის უპირატესობის მინიჭებაში „კრედიტორთა შეჯიბრების პირობებში“. ამ მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს კრედიტორის მოთხოვნა და მაშასადამე, დაიცვას იგი მარტოდენ მოვალის (და არა სხვა კრედიტორთა) მოქმედებისაგან. შესაბამისად, მოცემული თვალსაზრისის მომხრეები თავიანთ პოზიციას აფუძნებენ კრედიტორთა თანასწორობის პრინციპის მოქმედებაზე.<sup>75</sup>

<sup>73</sup> მიგრიაული რ. შესავალი გაკოტრების სამართალში. თბილისი, გამომცემლობა შპს უფლება, 1999, გვ. 10.

<sup>74</sup> Foerste U. Vollstreckungsvorsprung durch einstweiligen Rechtsschutz, ZZP 106, 1993, გვ. 143

<sup>75</sup> Zöller R. Zivilprozessordnung, Kommentar, 23. Auflage. Köln, 2002, პარაგრაფი 917, აზნატი 9.

სამოქალაქო მატერიალურ-სამართლებრივი მექანიზმების ანალოგიურად, როგორებიც არის ანგარიშსწორება ნოტარიუსის მიერ გახსნილი ნომინალური მფლობელის ანგარიშის მეშვეობით, ანგარიშსწორება აკრედიტივის გზით,<sup>76</sup> რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში ვალდებულების ურთიერთშესრულებას გარანტირებულს ხდიან, სასამართლო განხილვის ფარგლებში გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებები წარმოადგენენ სამართლის სუბიექტების ინტერესების დაცვის საშუალებებს/მექანიზმებს.

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ვალდებულების უზრუნველყოფის სხვადასხვა საშუალების გამოყენება შეუძლიათ, როგორებიც არის: თავდებობა, გირავნობა და სხვა. სამოქალაქო სამართლის კვალდაკვალ, სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც არის შემოღებული კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველმყოფი ღონისძიებები, რომლებიც თავიანთი ბუნებით საჯარო-სამართლებრივი და იმპერატიული ხასიათისანი არიან, რამეთუ მათი გამოყენება ნებაყოფლობით კი არ ხორციელდება, როგორც ამას სამოქალაქო ბრუნვაში აქვს ადგილი,<sup>77</sup> არამედ სასამართლო აქტის საფუძველზე.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის უქონლობა რეალურად აღსრულებადი სასამართლო აქტების შემცირებას გამოიწვევდა, მოპასუხეს კი საქმის განხილვის გაჭიანურებისა და დავის საგნის გასხვისების (მესამე პირთათვის გადაცემის) სტიმულს მისცემდა და სხვა ნეგატიურ შედეგებსაც გამოიწვევდა.

---

<sup>76</sup> რომელიც ფართოდ გამოიყენება არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საზღვარგარეთულ ურთიერთობებში. შენგელია რ., შენგელია ე. საბანკო სამართლის საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2014, გვ. 330.

<sup>77</sup> თუმცა, სამოქალაქო მატერიალური სამართალიც იცნობს უზრუნველყოფის კანონისმიერ საშუალებებს - ჭანტურია ლ. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2012, გვ. 14.

## 2.1.2. განცხადება, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი

უზრუნველყოფასთან დაკავშირებული წარმოება იწყება განმცხადებლის მიერ შესაბამის სასამართლოში განაცხადის შეტანით. ეს არის სასამართლო პროცედურა. შესაბამისად, განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს ნებისმიერი სარჩელის ზოგადი დასაშვებობის მოთხოვნებს. აღნიშნულ მოთხოვნებში იგულისხმება არა მარტო პროცესუალური, არამედ მატერიალური მოთხოვნაც.

სსსკ-ის მე-2 მუხლის დანაწესის გათვალისწინებით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე აღძრული განცხადების/შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად, როგორც წესი, აუცილებელია სასამართლოს წარმოებაში არსებობდეს კონკრეტული საქმე, ამგვარი შუამდგომლობის/განცხადების შემტანი პირის მონაწილეობით. გამონაკლისია სარჩელის აღძვრამდე სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების მოთხოვნა.

სსსკ-ის 191-ე მუხლის გამოყენებისთვის აუცილებელია: ა) მოსარჩელემ მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა დააბრკოლებს ან გამორიცხავს გადაწყვეტილების აღსრულებას, დარღვეული ან სადავო უფლების განხორციელებას და ა.შ.; ბ) მოსარჩელემ დაასაბუთოს, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მას აუცილებლად; გ) სასამართლოს გაუჩნდეს ვარაუდი, რომ სარჩელი შეიძლება დაკმაყოფილდეს; დ) ასევე - გაუჩნდეს დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა განუხორციელებლობა დააბრკოლებს ან გამორიცხავს გადაწყვეტილების აღსრულებას, სადავო უფლების დაცვას და ა.შ.<sup>78</sup>

---

<sup>78</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე N 85 უზრ-17.



ამასთან, ტერმინები „სარჩელის უზრუნველყოფა“ და „მოსარჩელე“, ფართოდ უნდა იქნეს განმარტებული. საქმე ის არის, რომ სამოქალაქო პროცესში ზოგიერთი სახის უფლებრივი დავა (დავა უფლების შესახებ) განცხადებით აღიძვრება და საქმის აღმძვრელსაც განმცხადებელი ეწოდება.

მაგალითად, ლიზინგის საგნის გამცემის მფლობელობაში ლიზინგის საგნის დაბრუნების შესახებ საქმე განცხადებით აღიძვრება. ასეთ საქმეში არსებობს დავა უფლების შესახებ.<sup>79</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ემსახურება ზოგადად უფლების შესახებ დავის გამო აღძრული მიკუთვნებითი მოთხოვნის უზრუნველყოფას და მაშასადამე, განმსაზღვრელია დავის არსებობა მიეკუთვნებითი მოთხოვნის თაობაზე და არა სასამართლოსადმი მიმართვის პროცესუალური საფუძველი (სარჩელი ან განცხადება).

სარჩელის უზრუნველყოფას საფუძვლად ედება სავარაუდო ფაქტები. იმ გარემოების არსებობის ალბათობა, რომ უზრუნველყოფის განუხორციელებლობისას მხარემ შესაძლოა განკარგოს დავის საგანი, გადასწონის მისი არარსებობის ვარაუდს, ანუ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მოწინააღმდეგე არ გაასხვისებს დავის საგანს.<sup>80</sup> აღნიშნული ფაქტები აისახება განცხადებაში. განცხადებაში იგულისხმება, როგორც ცალკე დოკუმენტის სახით შეტანილი განცხადება, ისე სარჩელში ასახული შუამდგომლობა. კერძოდ, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ თხოვნა მოსარჩელემ შეიძლება ჩამოაყალიბოს ან თვითონ სარჩელში, ან სარჩელის შეტანისას და კანცელარიაში დაფიქსირებისას ცალკე განცხადება დაურთოს სარჩელს და სარჩელთან ერთად შეიტანოს სასამართლოში, ან ამის შესახებ საქმის განხილვის დროს შეიტანოს

---

<sup>79</sup> ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003, გვ. 39.

<sup>80</sup> ცეციტიშვილი მ. სარჩელის პრობლემა სამოქალაქო პროცესში. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021, გვ. 181.

განცხადება, ასევე, სარჩელის აღძვრამდე მიმართოს სასამართლოს ცალკე განცხადებით/შუამდგომლობით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.

სარჩელის უზრუნველყოფის საფუძველია ამ სარჩელზე მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების გართულება ან ასეთი აღსრულების შეუძლებლობა, ანდა მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების საფრთხე, რამეთუ უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელი გახდება დარღვეული ან სადაო უფლების განხორციელება. იმ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების ვალდებულება, რომლებიც ადასტურებენ ვარაუდს სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გატარების აუცილებლობის შესახებ, ეკისრება განმცხადებელს.

საბოლოოდ, საკითხს იმის შესახებ, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, სასამართლო მოთხოვნის ხასიათისა და მისი შინაარსიდან გამომდინარე წყვეტს. ამდენად, განმცხადებელი ვალდებულია სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაში/შუამდგომლობაში მიუთითოს არა მარტო იმაზე, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება სურს, არამედ იმაზეც, თუ რატომაა აუცილებელი მის მიერ მითითებული ღონისძიების გატარება. ამასთან განმცხადებელი ნათლად და გასაგებად უნდა აყალიბებდეს სასარჩელო მოთხოვნებს მოპასუხის წინააღმდეგ, რათა სასამართლოს მიეცეს საშუალება ამ მოთხოვნათა შინაარსისა და ხასიათიდან გამომდინარე გადაწყვიტოს საკითხი სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიების გამოყენების ან გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ.

უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩამონათვალის სანიმუშო ხასიათი, სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს აღნიშნული ღონისძიებები ეფექტიანად და ადეკვატურად გამოიყენოს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და სადავო სამართალურთიერთობათა არსიდან გამომდინარე. ამავე მიზნებითაა ნაკარნახევი ერთი და იმავე საქმეზე რამდენიმე ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ დანაწესიც.

როდესაც საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის სახით ყადაღა გამოიყენება და თუკი ამგვარი შეზღუდვის საგანი უძრავი ქონებაა, მისი გამოყენების თხოვნით შეტანილ განცხადებას თან უნდა დაერთოს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან საჯარო რეესტრის ცნობა,<sup>81</sup> რომლითაც შეიძლება დადასტურდეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება (სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილი). ყადაღის დადება იმავდროულად ეხება მესამე პირთა (მოპასუხის სხვა კრედიტორთა) უფლებებსა და ინტერესებსაც. თუმცა, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების, მათ შორის, მისი ყადაღის სახით გამოყენება, არ ნიშნავს, რომ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში მოპასუხისაგან გადახდევინება პირველ რიგში მოხდება, ე.ი. აღნიშნული ღონისძიების მიღებამ არ უნდა დაარღვიოს გადახდევინების ის რიგითობა, რაც სააღსრულებო წარმოებათა კანონის 82<sup>3</sup> მუხლითაა დადგენილი.<sup>82</sup>

რაც შეეხება განცხადების განხილვის ვადას, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებას მისი შეტანიდან ერთი დღის ვადაში მოპასუხისთვის შეუტყობინებლად გადაწყვეტს სარჩელის განმხილველი სასამართლო (სსსკ-ის 193-ე მუხლი). თუ უზრუნველყოფა სასამართლო სხდომაზე ხდება, მაშინ საქმის ყველა მონაწილეს, მათ შორის მოპასუხესაც შეუძლია ახსნა-განმარტების მიცემა.

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვის კვალდაკვალ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, ყოველთვის ვერ იქნება დაცული განცხადების განხილვის ერთდღიანი ვადა. ასეთი ვადის დაცვა ზოგიერთი სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას შეუძლებელიც იქნება.

---

<sup>81</sup> აღნიშნული დანაწესი თანამედროვე პერიოდში დრომოჭმულად გამოიყურება რამეთუ, სასამართლოს აქვს წვდომა რეესტრის მონაცემებზე და შესაბამისად, სრულიად გაუმართლებელია და განმცხადებელთა უფლებების უსაფუძვლო შეზღუდვაა დამკვიდრებული პრაქტიკა, როდესაც სასამართლო უსაფუძვლოდ მოითხოვს რეესტრის განახლებულ ამონაწერს, რომლის გადამოწმება მას თავადაც შეუძლია. სარჩელის უზრუნველყოფა გაუჭიანურებელი საპროცესო მოქმედებაა და მისი ეს მნიშვნელობა არ უნდა იქნეს დაკნინებული ფორმალური საფუძვლებით.

<sup>82</sup> დაწვრილებით იხილეთ - ქურდაძე შ. სააღსრულებო წარმოებათა სტადიაზე წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებანი. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2006, გვ. 60-66; სწორედ ზემოაღნიშნული მოსაზრებით უნდა იყოს ნაკარნახევი სსსკ-ის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილის შემოღება.

ასეთია მაგალითად, უზრუნველყოფის ღონისძიების სახით სეკვესტრის გამოყენების შემთხვევა, რომელიც გულისხმობს სეკვესტრის დადგენისას კრედიტორისა და მოვალის მოსმენასაც. არ გამოირიცხება საკუთრივ მოვალის მმართველად დანიშვნა. მართალია, სსსკ-ის 198-ე მუხლის თანახმად, სეკვესტრის დადგენისას ქონება გადაეცემა აღმასრულებელს, მაგრამ აღნიშნული დებულება პრაქტიკულად განუხორციელებელია, აღმასრულებლის ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე. იგი პრაქტიკულად ვერ შეითასებს მმართველის როლს. თანაც, ზემოაღნიშნული დანაწესი არ გამოირიცხავს მმართველის საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობას. სეკვესტრის დადგენის და მმართველის განსაზღვრის საკითხი გარდაუალად მოითხოვს მის განხილვას სხდომაზე, რისი განხორციელებაც გამორიცხულია ერთდღიან ვადაში.

განცხადების განხილვისას საინტერესოა, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლისა და წინაპირობების მტკიცების სტანდარტი. როგორც საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, განმცხადებელს არ ეკისრება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლის და წინაპირობების უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე დადასტურების ვალდებულება. სასამართლოს დასარწმუნებლად საკმარისია მხოლოდ ალბათობის მაღალი ხარისხით იმ გარემოებების არსებობის ვარაუდი, რომელსაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების (მათ შორის, სარჩელის აღძვრამდე გამოყენების) შესახებ.<sup>83</sup>

შედარებისათვის, გერმანული კანონმდებლობა განმცხადებლისაგან მოითხოვს უფლების დაცვის წინასწარი ღონისძიებების გამოყენების წინაპირობათა არსებობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებების წარდგენას. ამასთან, გერმანული სამართალიც ითვალისწინებს უზრუნველყოფის ღონისძიების პროცესუალურ-

---

<sup>83</sup> სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს: თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე N 28/4627-21; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე N 1308833-16; თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინება საქმეზე N 28/906-21.

სამართლებრივ ბუნებას და მტკიცების ჩვეულებრივი პროცესის ნაცვლად, რომელიც საქმის არსებითად განხილვისათვის არის დამახასიათებელი, ადგილი აქვს ე.წ. მტკიცებულებებით დადასტურებას (Glaubhaftmachung).<sup>84</sup>

ასეთი სახის მტკიცების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ განმცხადებელს არ მოეთხოვება ბოლომდე, სრულად დაარწმუნოს სასამართლო დამამტკიცებელი იურიდიული ფაქტების არსებობაში. საჭიროა მარტოოდენ საკმარისი საფუძვლის დასახელება, რაც შესრულებულად ითვლება, თუკი მოსამართლე „დიდი ალბათობით“ არის დარწმუნებული დამამტკიცებელი იურიდიული ფაქტების არსებობაში.<sup>85</sup> დასახელებული წესი ძალიან ჰგავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ ნორმას, რომლის შესაბამისადაც სასამართლო უზრუნველყოფის ღონისძიებას მაშინ იყენებს, როდესაც გაუჩნდება ვარაუდი, რომ სარჩელი დაკმაყოფილებადია. თუმცა, ეს არის ძალზედ ზოგადი წესი. არც ქართულ და არც გერმანულ სამართალში<sup>86</sup> არ არის დაკონკრეტებული, თუ როდის ითვლება საკმარისად მოსამართლის რწმენა, ვარაუდი. გერმანულ დოქტრინაში კი, გამოთქმულია აზრი, რომლის თანახმადაც, ფაქტები დიდწილად, მაღალი ხარისხით უნდა ადასტურებდნენ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობის და ფაქტობრივი საფუძვლის არსებობას, ვიდრე გამორიცხავდნენ ამგვარ საფუძველს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ალბათობის ხარისხი, ალბათობის მათემატიკური თეორიის შესაბამისად, 50%-ზე მეტს უნდა შეადგენდეს.<sup>87</sup>

---

<sup>84</sup> Dunkel H., Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3 Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999, ნაწილი A, აბზაცი 24.

<sup>85</sup> Zöller R. Zivilprozessordnung, Kommentar, 23. Auflage. Köln, 2002, პარაგრაფი 294.

<sup>86</sup> მხედველობაშია საკანონმდებლო რეგულირების ხარვეზი (ხაზგასმა ეკუთვნის სადისერტაციო ნაშრომის ავტორს).

<sup>87</sup> Dunkel H., Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3 Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999, ნაწილი A, აბზაცი 22; Schuschke W., Walker W.D., Schmukle D. Vollstreckung und Vorläufiger Rechtsschutz. Kommentar zum Achten Buch der Zivilprozessordnung, §§ 916-945 ZPO. C. Heymanns, 2005, შენიშვნა 920-ე პარაგრაფზე.

იმის მიუხედავად, რომ შესაბამისი საპროცესო ნორმა პირდაპირ მოითხოვს მარტოოდენ განმცხადებლის მოთხოვნის საკმარისი საფუძვლის დასახელებას (მსგავსად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლისა) და წინასწარი ღონისძიებების გამოყენების დასაბუთებას, ერთიანია მიდგომა იმ საკითხში, რომ განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს (მტკიცებულებებით დადასტურების (Glaubhaftmachung) აზრით) განცხადების დასაშვებობის საპროცესო-სამართლებრივი წინაპირობების არსებობაც.<sup>88</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობების მტკიცების მეორე თავისებურება გერმანულ სამართალში იმაში მდგომარეობს, რომ დასაშვებია ნებისმიერი მტკიცებულება, რომელთა საფუძველზეც დგინდება განცხადების ფაქტობრივი საფუძვლის არსებობა ან არარსებობა. ამიტომ, უფლების წინასწარი დაცვის (უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების) გამო აღძრული წარმოებისგან განსხვავებით, საქმის არსებითად განხილვისას, პირიქით, დაიშვება მარტოოდენ კანონით განსაზღვრული მტკიცებულებების გამოყენება (ე.წ. მკაცრი მტკიცებულებების - Strongbeweis - ტერმინი). ზემოაღნიშნული მიდგომა სრულიად თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ საქართველოს რეალობაშიც. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი უნდა გავრცელდეს მხოლოდ საქმეთა არსებითი, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი მხარის განხილვაზე. რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივ საფუძველსა და წინაპირობებს, მათი არსებობა შეიძლება დადასტურდეს სსსკ-ის 102-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებით. მაშასადამე, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლის მტკიცების პროცესი არ შეიძლება შეიზღუდოს სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესით.

---

<sup>88</sup> Walker W.D. Der einstweilige Rechtsschutz im Zivilprozess und im arbeitsgerichtlichen Verfahren. Tübingen, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, 1993, აბზაცი 329, 330.

შეზღუდვის არარსებობა, და მაშასადამე, ნებისმიერი მტკიცებულების გამოყენების შესაძლებლობა, ამსუბუქებს მტკიცების ტვირთს, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც განმცხადებელს დრო არ ჰყოფნის კანონით გათვალისწინებული მტკიცებულებების სასამართლოსთვის წარსადგენად.

მტკიცების მესამე თავისებურებას წარმოადგენს მტკიცებულებათა წარდგენის დროის შეზღუდვა. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, დასაშვებია მტკიცებულებათა მარტოოდენ დაუყოვნებლივი შეგროვება. მოცემული წესი მტკიცების დროის შეზღუდვის შესახებ, უფლების წინასწარი დაცვის ინსტიტუტის თავისებურებიდან გამომდინარეობს, მის ბუნებას შეესაბამება - ეს არის უფლების დაცვის სისწრაფე.

მტკიცების ასპექტით, უფლების წინასწარი დაცვის (სარჩელის უზრუნველყოფის) მექანიზმზე გავლენას ახდენს მატერიალური სამართალიც. ამიტომ კანონით გათვალისწინებულ ზოგიერთ შემთხვევაში, სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილების აღსრულების საფრთხის მტკიცება, წინასწარი განკარგულების მისაღებად არ მოითხოვება. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო ანუ მატერიალური კოდექსის 885-ე პარაგრაფის<sup>89</sup> 1-ლი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად არ არის აუცილებელი უზრუნველსაყოფი მოთხოვნის/უფლების მიმართ საფრთხის არსებობის დასაბუთება. ამავე კოდექსის 899-ე მუხლი ეხება პროტესტის რეგისტრაციას, რომლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების მისაღებად არ არის აუცილებელი პროტესტის წარმდგენი პირის უფლების მიმართ საფრთხის არსებობის დასაბუთება. ზემოაღნიშნულის მსგავსი მაგალითები შეიძლება მოიძებნოს არაკეთილსინდისიერი კონკურენციის შესახებ კანონში, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებში. მაშინაც,

---

<sup>89</sup> რომელიც მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე წინასწარი ჩანაწერის რეგისტრაციის განხორციელებას (წინაპირობებს) ეხება.

როდესაც განმცხადებლის მოთხოვნა და უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიებების გამოყენების საფუძველი (წინაპირობა) არ არის მტკიცებულებებით დადასტურებული, სასამართლოს უფლება აქვს გამოიყენოს უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიება, თუკი განმცხადებელი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს უფლების წინასწარი დაცვის დაუსაბუთებელი ღონისძიების გამოყენებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მოწინააღმდეგე მხარის შესაძლო მოთხოვნას. მაგალითად, ზიანის შესაძლო მოთხოვნას უზრუნველყოფს ფულის დეპონირებით ან სხვაგვარად, სასამართლოს მითითებით (Sicherheitsleistung - გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 921-ე პარაგრაფი).

ის გარემოება, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამისი წინაპირობები არ ყოფილა დამტკიცებული, არ ნიშნავს შესაბამისი წინაპირობის არსებობის საკითხში მოსამართლის რწმენის არარსებობას. მაგრამ მოცემული წესი ვიწროდ უნდა განიმარტოს: მოსამართლე დარწმუნებული უნდა იყოს წინაპირობის სამომავლოდ დამტკიცების შესაძლებლობაში, იმის მიუხედავად, რომ განცხადების შეტანის დროისათვის დროული მტკიცება შეუძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამომავლოდ მისაღები სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფაც შეუძლებელი გახდება. ზოგიერთი იურისტი მოცემული წესის გაუქმებას მოითხოვს, რამეთუ ინტერესებისა და უფლებების დაცვაში განმცხადებლისათვის დახმარება შეუთავსებელია უფლების დაცვის თანასწორობის პრინციპთან.<sup>90</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების ერთ-ერთი თავისებურება ისიც არის, რომ მოპასუხე, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამდე, როგორც წესი მოკლებულია ზემოაღნიშნულ განცხადებაზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობას. აღნიშნული გარემოება აისახება მტკიცების ტვირთის სპეციფიკაზე. შედარებისათვის, გერმანულ სამოქალაქო საპროცესო

---

<sup>90</sup> Walker W.D. Der einstweilige Rechtsschutz im Zivilprozess und im arbeitsgerichtlichen Verfahren. Tübingen, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, 1993, აბზაცი 343, 344.



სამართალში დიდი ხანია მიმდინარეობს დავა იმის თაობაზე, მოეთხოვება თუ არა განმცხადებელს იმ ფაქტების არარსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მოწინააღმდეგე მხარის საჩივარს?<sup>91</sup> ზოგიერთი იურისტი მოცემულ შეკითხვას დადებითად პასუხობს,<sup>92</sup> სხვები უარყოფითად.<sup>93</sup>

მტკიცების ტვირთის საკითხის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში არსებული სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიმართ გაანალიზებისას შეიძლება ითქვას, რომ განმცხადებელს ეკისრება მხოლოდ რეგისტრაციაუნარიანი ფაქტების მტკიცების ტვირთი. ამგვარი ფაქტების გადამოწმება მოხდება სასამართლოს მიერ და არა მოპასუხის ინიციატივით, რამეთუ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მოპასუხის პოზიციის მოსმენა არ ხდება.

## 2.2. სამოსამართლო სამართლის როლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლის გამოყენებისას

სამოქალაქო ურთიერთობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, არაგონივრულია, კანონმდებელს მოვთხოვოთ, წინასწარ მოახდინოს უზრუნველყოფის თითოეული შემთხვევის იდენტიფიცირება, მათი დეტალური განსაზღვრა. საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა გააჩნდეს გარკვეული თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს, რა ღონისძიება შეიძლება გახდეს საჭირო ამა თუ იმ სამოქალაქო საქმეზე.

---

<sup>91</sup> Dunkel H., Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3 Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999, ნაწილი A, აბზაცი 26.

<sup>92</sup> Stein F., Jonas M. Zivilprozessordnung, Kommentar. Tübingen, 1996, პარაგრაფი 920, აბზაცი 11.

<sup>93</sup> Baur F. Studien zum einstweiligen Rechtsschutz. Tübingen, 1967, გვ. 39. Teplitzky O. Arrest und einstweilige Verfügung. JuS, 1981, გვ. 122, 124; Zöller R. Zivilprozessordnung, Kommentar, 23. Auflage. Köln, 2002, შენიშვნა 916-ე პარაგრაფზე, აბზაცი 6.

უზრუნველყოფის ღონისძიებების წინასწარ ამომწურავად განსაზღვრა წაართმევდა მოსამართლეს შესაძლებლობას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაეწყვიტა უზრუნველყოფის აუცილებლობა და შესაძლოა წარმოიშვას სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის საფრთხე, ვინაიდან მოსამართლეს არ ექნებოდა შესაძლებლობა, გამოეყენებინა სარჩელის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ესა თუ ის ღონისძიება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის და მის საფუძველზე ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ყოველთვის ვერ მიესადაგებიან ცხოვრებისეულ შემთხვევებს.<sup>94</sup> პრაქტიკაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ასპექტით წამოიჭრება ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ არასტანდარტულ მიდგომას, სასამართლოს მიერ სამართლის შექმნას. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა, სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის დანაწესი, რომელიც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს, ცალკეულ შემთხვევაში თვითონ განსაზღვროს უზრუნველყოფის ოპტიმალური ღონისძიების სახე. აღნიშნული დანაწესი ფართო შინაარსის მატარებელია. სახელდობრ, სასამართლო ერთი მხრივ, აღჭურვილია უფლებამოსილებით განმცხადებლის მიერ მოთხოვნილის ნაცვლად, გამოიყენოს სსსკ-ის 198-ე მუხლში მითითებული რომელიმე სხვა ღონისძიება. მეორე მხრივ, სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ შექმნას დასახელებული მუხლისაგან განსხვავებული უზრუნველყოფის მექანიზმი. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ძალადაკარგულად ცნო სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ითვალისწინებს მაშინ, როდესაც ღონისძიების შედეგად

---

<sup>94</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 2/15651-15.

დაცული სიკეთე არ აღემატება უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოწინააღმდეგე მხარისთვის მიყენებულ ზიანს.<sup>95</sup>

აღნიშნულის გარდაუვალი აუცილებლობა განპირობებულია უფლების ეფექტიანად დაცვის აუცილებლობიდან და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების პრევენციული ფუნქციებიდან გამომდინარეც. ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ნებისმიერი პირისათვის გარანტირებულია არა უბრალოდ სასამართლო დაცვა, არამედ თავის უფლებების ეფექტიანი პროცედურების გამოყენების გზით დაცვა. შესაბამისად, სასამართლოს უფლება და ვალდებულება, შექმნას უზრუნველყოფის ეფექტიანი მექანიზმი, ყველაფერთან ერთად, ნაკარნახევია იმითაც, რომ უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებული ღონისძიება შესაძლოა არ გამოდგეს საკმარის და მხარის უფლების დაცვის ოპტიმალურ საშუალებად. აღნიშნულის მაგალითად კმარა სამეწარმეო სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც შეიძლება გადაჯაჭვული იყოს ვალდებულებით ურთიერთობებთან. სახელდობრ, თუკი მოსარჩელეს რომელიმე სუბიექტის მიმართ, რომელიც ამა თუ იმ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორია, აქვს ვალდებულებითი ხასიათის მოთხოვნა (ვთქვათ, მოითხოვს მისგან ზიანის ანაზღაურებას), ამგვარი მოპასუხის კუთვნილ წილზე (სამეწარმეო საზოგადოებაში) ყადაღის დადება არ იქნება უზრუნველყოფის ეფექტიანი და ოპტიმალური საშუალება, თუკი სამეწარმეო საზოგადოება გაასხვისებს კუთვნილ ქონებას. პარტნიორის წილს არავითარი ფასი არ გააჩნია, თუკი საზოგადოება უქონელია. მსგავს შემთხვევებში სასარჩელო მოთხოვნის ადრესატი ფორმალურად მხოლოდ პარტნიორია. საზოგადოების ქონებას ამ თვალსაზრისით ყადაღა ვერ დაედება. თუმცა, საინტერესოა, შესაძლებელია თუ არა ასეთ შემთხვევაში გამოყენებული იქნეს უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება, რომელიც გარკვეული დოზით შეეხება საქმეში მხარედ ჩაუბმელ საზოგადოებას და ამით დაიცავს განმცხადებლის იურიდიულ ინტერესს? აღნიშნულ შეკითხვაზე სასამართლო პრაქტიკა დადებით პასუხს იძლევა.

---

<sup>95</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება N 1/5/675,681.

ერთ-ერთ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით გამოიყენა საჯარო სამართლებრივი შეზღუდვები როგორც პარტნიორის წილზე, ისე, საზოგადოების მიმართაც. კერძოდ, მოპსუხეს და ამით კი, ფაქტობრივად, საზოგადოებას, აეკრძალა პარტნიორთა კრებაზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც მიმართული იქნებოდა ნებისმიერი ფორმით საზოგადოების ქონების განკარგვისაკენ, მათ შორის, საზოგადოებას აეკრძალა თავისი ხელმძღვანელი პირებისათვის ქონების განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემა ან ქონების განკარგვის დავალება.<sup>96</sup> აღნიშნული განჩინება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.<sup>97</sup>

საკანონმდებლო ხარვეზის შევსების თუ საპროცესო წესების განმარტების საკითხში ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკაც. შესაბამისად, მრავალი საპროცესო უფლება ევროკონვენციის მე-6 მუხლის პრიზმაში უნდა განიმარტოს.

როგორც წესი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროკონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლება არ ვრცელდება წინასასამართლო პროცედურებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა, ევროკონვენცია სამართლიანი სასამართლოს უფლებაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტსაც მოიაზრებს თუ არა? ერთ-ერთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ<sup>98</sup> ევროკონვენციის მე-6 მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის უფლება სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტად მიიჩნია.

---

<sup>96</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/28156-22.

<sup>97</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე N 28/5737-22.

<sup>98</sup> European Court of Human Rights, Micallef v. Malta, Application no. 17056/06, Grand Chamber, 15.10.2009.

ევროსასამართლოს მიერ განმარტებული იქნა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ წინასასამართლო სამართალწარმოება, როგორც წესი, არ თავსდება მე-6 მუხლის დაცვის ფარგლებში, სასამართლომ დაადგინა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები თანხმდებოდნენ მე-6 მუხლის დროებით ღონისძიებებთან მიმართებით გამოყენების თაობაზე, მათ შორის სასამართლო აკრძალვისას. გადაჭარბებულად ხანგრძლივ სამართალწარმოებაში მოსამართლის გადაწყვეტილება სასამართლო აკრძალვის თაობაზე, როგორც წესი, უტოლდება გადაწყვეტილებას სარჩელის არსებით ნაწილზე. ხშირად, ორივე - როგორც დროებითი ასევე ძირითადი სამართალწარმოების ფარგლებში მომხდარა ერთი და იგივე „სამოქალაქო უფლებების ან ვალდებულებების“ გადაწყვეტა მე-6 მუხლის ფარგლებში, რამაც ერთნაირი ეფექტი გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სასამართლო აღარ ფიქრობს, რომ გამართლებულია სასამართლო აკრძალვის სამართალწარმოების სამოქალაქო უფლებების ან ვალდებულებების არაგანმსაზღვრელ მექანიზმად დახასიათება. სასამართლო არც იმაშია დარწმუნებული, რომ ასეთ სამართალწარმოებაში ნაკლოვანება აუცილებლად იქნება გამოსწორებული არსებით სამართალწარმოებაში, ვინაიდან საქმის განხილვის დროის განმავლობაში მიყენებული ნებისმიერი ზიანი შეიძლება მოცემული დროისთვის იქცეს შეუქცევადად და ჰქონდეს ძალიან მცირე შანსი გამოასწოროს მიყენებული ზიანი, გარდა ამ ზიანის ფინანსური ანაზღაურებისა. ამიტომ სასამართლომ დაადგინა, რომ პრეცედენტულ სამართალში ცვლილება იყო საჭირო. მე-6 მუხლი გამოყენებადი იქნება, თუ საფრთხის ქვეშ არსებული უფლება, როგორც ძირითად, ისე აკრძალვის სამართალწარმოებაში წარმოადგენს „სამოქალაქო უფლებას“ მე-6 მუხლის მნიშვნელობის მიზნებისთვის და დროებითი ღონისძიება შეიძლება ჩაითვალოს საფრთხის ქვეშ მყოფი სამოქალაქო უფლებების ან ვალდებულებების ეფექტურ განმარტებად, ამიტომ რელევანტურად ჩაითვალა საკითხის გადაწყვეტა ევროკონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე.<sup>99</sup>

---

<sup>99</sup> European Court of Human Rights, *Micallef v. Malta*, Application no. 17056/06, Grand Chamber, 15.10.2009.

## 2.3. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობები

### 2.3.1. სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების სისტემური ანალიზი

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი განსაზღვრავს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგიერთ წინაპირობას. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების წინაპირობები არ ამოიწურება დასახელებული ნორმით. სხვა წინაპირობები ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის სხვადასხვა ნორმაში. სსსკ-ის 191-ე მუხლში საუბარია იმაზე, რომ უნდა არსებობდეს განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია უზრუნველყოფის ღონისძიება. ასევე, სახეზე უნდა იყოს აღსრულების შეუძლებლობა, გართულება ან ზიანის მიყენების საფრთხე. ამრიგად, ამ ნორმის დანაწესში მოცემულია როგორც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი, ისე წინაპირობები. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმათა სისტემური ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოს ევალება სხვა წინაპირობების შემოწმებაც. ნაშრომის ფარგლებში განხორციელდა აღნიშნული წინაპირობების იდენტიფიცირება და გაანალიზდა თითოეული მათგანი. ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ თითოეულ წინაპირობას გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა.

ქვემოთ გაანალიზებულია სარჩელის (უფლების) უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ცალკეული წინაპირობა. ამასთან, უზრუნველყოფის ღონისძიების დადგენის ერთ-ერთი წინაპირობა, როგორც არის სახელდობრ, თანაზომადობის დაცვა, გაანალიზებულია ნაშრომის მე-3 თავში. აღნიშნული განაპირობა იმ გარემოებამ, რომ თანაზომადობის დაცვა იმავდროულად უზრუნველყოფის მართლზომიერების

განმსაზღვრელი კრიტერიუმი და მამასადამე, იმ პირის უფლებათა დაცვის გარანტიაა, რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება უზრუნველყოფის მექანიზმი.

### 2.3.2. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შეუძლებლობა

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ხაზი ესმება მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველს, სასარჩელო მოთხოვნის, გადაწყვეტილების სარეზოლუციო საწილისა და იძულებით აღსრულებას შორის კავშირს, განსაკუთრებით, ბოლო სამ კომპონენტს (ტერციას) შორის განუყოფელ კავშირს.<sup>100</sup> საქმე ის არის, რომ შედეგი, რომელსაც სარჩელის განხილვის საფუძველზე აღწევს მოსარჩელე, არის არა მხოლოდ აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, არამედ - ამ გადაწყვეტილების აღსრულებაც.<sup>101</sup> მაგრამ რიგ შემთხვევაში, გადაწყვეტილების აღსრულება რთული, ზოგჯერ კი - შეუძლებელი ხდება იმის გამო, რომ სარჩელის აღძვრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე შუალედში მოპასუხე განკარგავს აღსრულებაუნარიან ქონებას. „აშკარად „მომგებიან“ საქმეზეც კი, მხარემ, რომელმაც სარჩელის უზრუნველყოფაზე წინასწარ არ იზრუნა, შეიძლება არც არაფერი მოიგოს, რადგან გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მოპასუხემ საკუთარი ქონება ... განკარგვა.“<sup>102</sup>

<sup>100</sup> თოდუა მ., ქურდაძე შ. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი. თბილისი, 2005, გვ.164.

<sup>101</sup> Тимошенко А.В. Теоретические и практические вопросы гражданского иска в предварительном расследовании. Авторефа, дисс. к.ю.н, Челябинск, 2002, გვ.18.

<sup>102</sup> ქურდაძე შ. საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2010, გვ. 218.

თუკი არაკეთილსინდისიერი მოპასუხე განკარგავს უზრუნველყოფის საგანს, მართლმსაჯულების აქტი, მისი მოსარჩელის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაში, ფორმალურ აქტად გადაიქცევა, მართლმსაჯულების განხორციელება აზრს დაკარგავს, რადგან ვერ აღსრულდება. აღსრულება, როგორც ეს სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით არის დადგენილი, სამართლიანი სასამართლოს შემადგენელი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც ნაგულისხმებია ევროკონვენციის მე-6 მუხლში. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ უფლებათა და თავისუფლებათა სასამართლო წესით დაცვის უფლება ილუზორული (არარეალური) იქნებოდა, თუკი სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა სავალდებულოდ აღსასრულებელი აქტის აღსრულებლობას დაუშვებდა ერთ-ერთი მხარის საზიანოდ. ევროპის სასამართლომ ამ გადაწყვეტილებაში ასევე მიუთითა, რომ ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, უნდა მივიჩნიოთ „სამართლიანი სასამართლოს უფლების“ ხელშეუვალ და განუყოფელ ნაწილად.<sup>103</sup>

ასეთი ქონება შენარჩუნებული რომ ყოფილიყო, შესაძლებელი იქნებოდა მასზე გადახდევინების მიქცევა ან მიკუთვნებული ქონების კრედიტორისთვის ნატურით გადაცემა. მოსარჩელის იურიდიული ინტერესი ხშირად არის დავის საგნის ნატურის სახით შენარჩუნება და მიკუთვნება.

შემთხვევითი არ არის, რომ გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელობა საკუთრების პატივისცემის უფლების ასპექტშიც განიხილება. გადაწყვეტილებით დადასტურებული უფლება ქონებად მიიჩნევა სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ პრაქტიკაში.<sup>104</sup> სარჩელის აღძვრიდან, მასზე მიღებული

---

<sup>103</sup> European Court of Human Rights, HORNSBY v. GREECE, Application no. 18357/91, Chamber, 19.03.1997; European Court of Human Rights, “IZA” LTD AND MAKRAKHIDZE v. GEORGIA, Application no. 28537/02, (Second Section), 27.12.2005.

<sup>104</sup> ქურდაძე შ. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. კრებული ადამიანის უფლებები და კონსტიტუციური გარანტიები. გურამ



გადაწყვეტილების აღსრულებამდე, დროის საკმაოდ დიდი შუალედი. სამწუხაროდ, სამოქალაქო საქმეთა განხილვა, არცთუ იშვიათად ჭიანჭურდება. ყურადსაღებია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესიც, რომლის თანახმად, თავისთავად სარჩელის აღძვრა და მისი მიღება სასამართლოს მიერ, ქონების მესაკუთრეს ხელს არ უშლის გაასხვისოს ან სხვაგვარად განკარგოს დავის საგანი. მაშასადამე, სარჩელის არსებობა სასამართლოს წარმოებაში, არ წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის შემაფერხებელ ფაქტორს. ასეთი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს ქონებაზე ამა თუ იმ სახის უზრუნველყოფის ღონისძიების გატარება, რომლის გარეშეც შესაძლოა შეილახოს მოსარჩელის ესა თუ ის ქონებრივი უფლება, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი შეუშალოს აღნიშნულ უფლებათა რეალურად და სრულად აღდგენას.

სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მექანიზმების შექმნის პოზიტიური ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება, ურომლისოდაც (კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე) სამართლებრივი მშვიდობა ვერ დაისადგურებს. სსსკ-ის 267-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების აღსრულება დაიშვება მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ (აქედან გამონაკლისია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებები, რომლებიც კანონიერ ძალაში შესვლამდე აღსრულდებიან). „კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება სამართლებრივ სახელმწიფოში „სამართლებრივი მშვიდობის“ გარანტს წარმოადგენს.<sup>105</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მნიშვნელობა განსაკუთრებით ცხადად სწორედ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის და იძულებითი აღსრულების დაწყების შემდეგ წარმოჩინდება.

იურიდიულ ლიტერატურაში სარჩელის უზრუნველყოფა მიიჩნევა საქმეზე მისაღები გადაწყვეტილების ჯეროვნად და დროულად აღსრულების ერთ-ერთ

---

თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2019, გვ. 174.

<sup>105</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 2/158-16.

გარანტიად. აღნიშნულია, რომ: „...სარჩელის უზრუნველყოფით უზრუნველყოფილია მოსარჩელის ინტერესების დაცვა...“<sup>106</sup> სარჩელის უზრუნველყოფის „მიზანია შემდგომში მიღებული გადაწყვეტილების შესრულების გარანტია“.<sup>107</sup> სასამართლო აქტებშიც საუბარია დასახელებულ გარანტიებზე<sup>108</sup>. სინამდვილეში კი, სარჩელის უზრუნველყოფას გაცილებით ფართო შინაარსი გააჩნია. კერძოდ, ამ ინსტიტუტის გამოყენებით უზრუნველყოფილია საკუთრივ სარჩელიც და მოსარჩელის საპროცესო უფლებებიც. მოსარჩელეს საპროცესო უფლებები ენიჭება სწორედ იმ მიზნით, რომ გააჩნდეს ლეგიტიმური ბერკეტი და შესაძლებლობა, ლეგიტიმური მექანიზმი, მიაღწიოს სასარჩლო მოთხოვნის დაკმაყოფილებას. თუკი მოსარჩელის საპროცესო უფლებები ჯეროვნად იქნება უზრუნველყოფილი, მათი უზრუნველყოფით, საბოლოო ჯამში, სასარჩლო მოთხოვნებიც იქნება უზრუნველყოფილი.

სსსკ 191-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, რა შესაძლო შედეგი შეიძლება მოჰყვეს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობას და შესაბამისად, რატომ გახდება შეუძლებელი ან რატომ გაძნელდება გადაწყვეტილების აღსრულება. მხოლოდ აღნიშნული საკითხის გარკვევის შემდეგ არის უფლებამოსილი სასამართლო, დადებითად გადაწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი.

---

<sup>106</sup> ლილუაშვილი თ. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2005, გვ. 304.

<sup>107</sup> კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი, საქართველოს მაცნე, 2003, გვ. 300.

<sup>108</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივლისის განჩინება საქმეზე N 551047-14; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/6888-19; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე N 2/26988-20 და სხვა.

### 2.3.3. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გართულება

სარჩელის უზრუნველყოფა დაიშვება საქმის ნებისმიერ სტადიაზე, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. მთავარია, არსებობდეს მისი გამოყენების პირობა, რომელთაგან ერთ-ერთია ამ ღონისძიებათა განუხორციელებლობით გადაწყვეტილების აღსრულების გართულება.

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოები სამწუხაროდ ხშირად არ იცავენ კანონის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ უნდა შესძლოს აღსრულების გართულების პრევენცია. ეს განსაკუთრებით აშკარაა ყადაღის ინსტიტუტის გამოყენებისას სასამართლოების მიერ დამკვიდრებული არასწორი პრაქტიკის მაგალითზე.<sup>109</sup> კერძოდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლოები ყადაღის მოთხოვნით შეტანილ განცხადებას ნაწილობრივ აკმაყოფილებენ და მოპასუხეს ეკრძალება ნივთის გასხვისება და იპოთეკით (ან უფლებრივად) დატვირთვა.<sup>110</sup>

ყადაღის გამოყენების არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო უკრძალავს მოპასუხეს და აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს, რომლებთანაც იმყოფება მოპასუხის კუთვნილი ქონება ნებისმიერი საფუძვლით (ანუ მნიშვნელობა არა აქვს, თუ რის საფუძველზე იმყოფება ეს ქონება მათთან) სარჩელის განხილვის პერიოდში ფულის, ან სხვა ქონების განკარგვას. ამ ქონების გაყიდვა, გაცვლა, ჩუქება, ქირავნობით ან იჯარით

<sup>109</sup> იხილეთ მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აგვისტოს განჩინება საქმეზე N 2/883-19; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 14648-12; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/6888-19.

<sup>110</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე 2/34416-22; თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/183-20; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 2/36434-22.

გადაცემა, დაგირავება, სხვა პირთა სარგებლობაში ან მართვაში გადაცემა აღნიშნულ პირებს არ შეუძლიათ. ამასთან, როგორც წესი, ყადაღის დადება არ წარმოადგენს ყადაღადადებული ქონებით სარგებლობის დამაბრკოლებელ ფაქტორს თვითონ მესაკუთრისთვის, თუ ეს არ გამოიწვევს ქონების განადგურებას ან არ შეამცირებს მის ღირებულებას. ამიტომ მიზანშეწონილია აღსრულების გართულების პრობლემის ასპექტით გამოითქვას კრიტიკა ყადაღის ინსტიტუტის მიმართ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ არასწორ მიდგომასთან დაკავშირებით. ამგვარი მიდგომა ყადაღის არსის არასწორი გაგების შედეგია. ყადაღა ნივთის განკარგვის აკრძალვას ნიშნავს. განკარგვა განსხვავდება გასხვისებისაგან. განკარგვა უფრო ფართე ცნებაა და მასში მოიაზრება გასხვისების ყველა სახე, პლუს უფლებრივი დატვირთვა.<sup>111</sup> სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების ნაწილობრივი დაკმაყოფილებითა და ყადაღის ნაცვლად მოპასუხისათვის მხოლოდ ნივთის გასხვისების და იპოთეკით დატვირთვის აკრძალვით, მოპასუხეს ეძლევა თავისუფლება ნივთი გასცეს იჯარით, ქირავნობით. ნივთის იჯარით გაცემა ან გაქირავება კი, მისი განკარგვაა. ასეთ შემთხვევაში, თუკი მოსარჩელე წარმატებით დაასრულებს პროცესს და მას ნივთი მიეკუთვნება, ან გაქირავებულ (იჯარით გაცემულ) ნივთზე მოხდება აღსრულება, კრედიტორი (ნივთის მიმღები) ხდება ნივთზე არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რაც აძნელებს აღსრულებას და არღვევს სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გამოყენების პრინციპს. ამიტომ, თუკი დავის/სარჩელის საგანი და უზრუნველყოფის საგანი ერთმანეთს ემთხვევა, ანუ თუ მოთხოვნილია ქონების ნატურით მიკუთვნება, სასამართლოებმა აუცილებლად ყადაღა უნდა გამოიყენონ, რითაც გამოირიცხება აღსრულების გამწელება დაყადაღებული ქონების მიმართ.

---

<sup>111</sup> შოთაძე თ. სანივთო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014, გვ. 121.

### 2.3.4. მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების საფრთხე

უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოცემული წინაპირობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აისახა საკანონმდებლო ნოვაციის სახით, კერძოდ, 2016 წლის 24 ივნისის კანონით შესული დამატების შედეგად. სამწუხაროდ, იმთავითვე არასწორად იქნა გაგებული აღნიშნული საკანონმდებლო სიახლის არსი.<sup>112</sup>

არასწორი მიდგომის განმაპირობებელი არის ნორმის დანაწესის არასრულყოფილებაც. კერძოდ, არასწორია სსსკ-ის 191-ე მუხლის ფორმულირება, რომლის თანახმადაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველია ისეთი ზიანის მიყენების საფრთხე, რომელიც კომპესირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. ნორმაში აქცენტი გადატანილი უნდა იყოს არა ზიანის ანაზღაურების დაკისრებაზე, არამედ იმაზე, რომ ერთი მხრივ, ზიანის თანხის მოპასუხისთვის დაკისრება ყოველთვის როდი შეიძლება შედიოდეს მოსარჩელის ინტერესში, კერძოდ მაშინ, როდესაც მოსარჩელის ინტერესი ქონების ნატურით მიკუთვნებაში მდგომარეობს, მეორე მხრივ, ზიანის ანგარიშში დაკისრებული თანხა უნდა ანაზღაურდეს და აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ზიანს საკომპენსაციო ხასიათი აქვს,<sup>113</sup> მაგრამ კანონი მოსალოდნელი ზიანის საფრთხეში, რომლის დადგომაც შეიძლება განპირობებული იყოს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებლობით, ვიწრო მნიშვნელობით დავის საგნის განკარგვის საფრთხეს გულისხმობს და არა ფულადი ზიანის მიყენების საფრთხეს, ვინაიდან ფულში გამოხატულ ნებისმიერ ზიანს ექნება საკომპენსაციო მნიშვნელობა.

---

<sup>112</sup> მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/1510263-16.

<sup>113</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელმძღვანელო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014, გვ. 652.

მაშასადამე, დასახელებული სიახლე მოიაზრებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ერთმანეთს ემთხვევა და უზრუნველყოფის მექანიზმის პრევენციული ფუნქციის აუმოქმედებლობით, დაიკარგება დავის საგანი, რითიც დაინტერესებულ პირს წაერთმევა უზრუნველყოფის საგნის ნატურით მიკუთვნების შესაძლებლობა. სხვა შემთხვევებში კი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა შეიძლება იყოს საქმეზე მოსარჩელის სასარგებლოდ მისაღები/მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლობის ან აღსრულების გართულების საფრთხე.

### **2.3.5. სარჩელის იურიდიული მართებულობა**

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობისას კანონი უშვებს სასამართლოს მხრიდან სარჩელის პერსპექტიულობის განხილვის შესაძლებლობას.<sup>114</sup> აღძრული ან აღსაძრავი სარჩელი იურიდიულად გამართული უნდა იყოს. ე.ი. მოსარჩელე/განმცხადებელი უნდა მიუთითებდეს ისეთ ფაქტებზე, რომელთა დამტკიცების შემთხვევაშიც, მატერიალური სამართლის ნორმის საფუძველზე სარჩელი დაკმაყოფილდება. საკმარისია მხოლოდ ამგვარი ფაქტების მითითება და არა მათი დამტკიცება. ფაქტების დამტკიცება საქმის არსებითად განხილვის დროს ხორციელდება.<sup>115</sup>

---

<sup>114</sup> როყვა ი. სასამართლო ხელმისაწვდომობა. სამოქალაქო საპროცესო უფლება და მისი შეზღუდვის დასაშვები ფარგლები. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2023, გვ. 150.

<sup>115</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/10335-20.

სარჩელის უზრუნველყოფაზე მსჯელობისას სასამართლოს მართებს შეამოწმოს, გააჩნია თუ არა სარჩელს მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი, რაც გულისხმობს იმის შეფასებას, რამდენად აკმაყოფილებს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის წინაპირობებს. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე მოთხოვნის პერსპექტიულობის შესაფასებლად არ ხორციელდება სარჩელზე თანდართული მტკიცებულებების კვლევა, რადგან ეს არის საქმის განხილვის ეტაპზე განსახორციელებელი საპროცესო მოქმედება.<sup>116</sup> მაშასადამე, უზრუნველყოფის გამოყენებაზე მსჯელობისას, სასამართლომ, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გაამახვილოს არა მარტო სარჩელის უზრუნველყოფის წინაპირობებზე, კერძოდ, სამომავლოდ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის ანუ აღსრულების შეუძლებლობის ან მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების საშიშროებაზე, არამედ იმაზეც, თუ იურიდიულად რამდენად გამართლებულია სასარჩელო მოთხოვნა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოკვეთილი უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული დასაბუთებულობა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მხარეს არ ევალება სარჩელში მიუთითოს მოთხოვნის იურიდიული საფუძველი. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შემოწმება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განხილვის ეტაპზე სასამართლოს არ ევალება. სასარჩელო მოთხოვნის იურიდიული მართებულობა სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მისაღებად. არ არის გამართლებული იმ უფლების უზრუნველყოფა, რომელიც არ არსებობს და ეს იმთავითვე ნათელია სასამართლოსათვის. თუ არ არსებობს უფლება, არც იმის საშიშროებაა, რომ იგი დაირღვევა სარჩელის უზრუნველყოფის მიუღებლობით. ამდენად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებისადმი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტისადმი ფორმალური მიდგომა, დაუშვებელია და იგი უმეტესწილად

---

<sup>116</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 28/3041-20.

სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული. ამრიგად, სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს ვარაუდი უნდა ემყარებოდეს არა სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლიანობისა და მტკიცებულებათა შემოწმების შედეგად მიღებულ დასკვნას, რაც მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის შედეგია, არამედ სასარჩელო მოთხოვნის (ნაწილობრივ ან სრულად) სამართლებრივ მართებულობას.<sup>117</sup>

სარჩელის გამართულობის/დასაბუთებულობის შემოწმების პირველ ეტაპზე მოსამართლე ეყრდნობა ვარაუდს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები მართალია.<sup>118</sup>

#### 2.4. სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფის თავისებურებანი

როგორც კვლევამ აჩვენა, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის სწრაფად განხილვა აუცილებელია, რამეთუ მოპასუხემ, შესაძლოა, გაყიდოს, დამალოს, გააფუჭოს, გაანადგუროს დავის საგანი და ა.შ.

ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის შესაძლებლობა დაინტერესებულ პირს არა მხოლოდ საქმის აღძვრის შემდეგ, არამედ სასამართლოში საქმის (უფრო სწორად კი, სარჩელის) აღძვრამდეც გააჩნია (სსსკ-ის 192-ე მუხლი).<sup>119</sup> ამრიგად, სამოქალაქო

---

<sup>117</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის განჩინება საქმეზე N 28/710-22.

<sup>118</sup> შმიტი შ., რიჰტერი ჰ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით. თბილისი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2013, გვ. 9.

<sup>119</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 3978503-20.



საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მომავალი (სამომავლო) სარჩელის უზრუნველყოფასაც.

სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფის ერთ-ერთი წინაპირობაა მისი გამოყენების გადაუდებელი აუცილებლობა. „გადაუდებელი აუცილებლობის“ პირობა სრულიად ზედმეტი და დამაბნეველი დანაწესია. სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის საჭიროება ისედაც გულისხმობს გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევებს. ზემოაღნიშნული ჩანაწერი განაპირობებს სასამართლო შეცდომებსაც. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე,<sup>120</sup> უზრუნველყოფაზე უარის თქმის პირველ არგუმენტად სასამართლომ მიუთითა სარჩელის უზრუნველსაყოფად გადაუდებელი აუცილებლობის არარსებობაზე. სასამართლოს აზრით, გადაუდებელ აუცილებლობას ადგილი ექნებოდა მაგალითად იმ შემთხვევაში, თუკი წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთებოდა, რომ სავარაუდო მოპასუხეებმა უძრავი ქონების გასხვისებისათვის მიმართეს შესაბამის ორგანოს.

სასამართლოს ეს მსჯელობა არ გამომდინარეობს კანონიდან. სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის ინსტიტუტის მსგავსად, წარმოადგენს იმ გამონაკლისს, რომლის გამოყენებაც ხდება არა უდავოდ არსებული ფაქტების, არამედ ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომელთაც ვარაუდის ხასიათი აქვთ.<sup>121</sup> შესაბამისად, სასამართლომ უკანონოდ მოითხოვა უტყუარი მტკიცებულებების წარდგენა.

ამიტომ არასწორია სასამართლოს სამდურავი მოსარჩელისადმი, რომლის მიხედვითაც მოსარჩელეს უნდა მიეთითებინა, რა გარემოებაზე დაყრდნობით უნდა მიიჩნიოს სასამართლომ მოსარჩელის მიერ მითითებულის სისწორე (იგულისხმება იმ

---

<sup>120</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/1510263-16.

<sup>121</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე N 1308833-16.

გარემოების სისწორე, რომ ქონება იყიდება). ავღნიშნავთ, რომ სავარაუდო ფაქტები, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას ედება საფუძვლად, უზრუნველყოფის ინსტიტუტის ნორმების არსიდან გამომდინარე, არ საჭიროებენ მტკიცებას. ანალოგიური შეცდომებია დაშვებული სხვა საქმეებზეც.

მაშასადამე, წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებების ინსტიტუტის არსი მდგომარეობს სასამართლოს მიერ უზრუნველყოფის ღონისძიებების სარჩელის აღძვრამდე გამოყენებაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში აღნიშნული მექანიზმი იმთავითვე იქნა გათვალისწინებული, რაც განპირობებული იყო იმ საერთაშორისო ნორმებთან სამოქალაქო საპროცესო სამართლის უნიფიცირებისადმი სწრაფვით, რომლებიც უშვებენ წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებებს. აღნიშნული განპირობებული იყო აგრეთვე მოსარჩელის ინტერესების დაცვის და სასამართლო აქტების ფაქტორივად, რეალურად აღსრულების გარანტიების გაძლიერების მიზნით და აუცილებლობით.

შედარებისათვის, დროებითი სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობა გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 916-ე და შემდგომ პარაგრაფებში. დროებითი სამართლებრივი დაცვა ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის გარანტიის გამოხატულებაა.<sup>122</sup> წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიებების მიზანი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების ეფექტიან დაცვაში მდგომარეობს.

უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება მართლმდებარე უკვე აღძრული საქმის ფარგლებში რომ იყოს დასაშვები, მოპასუხეს მეტი შესაძლებლობა ექნებოდა გადაემალა ქონება და ფული, აეცილებინა გადახდევინების საფრთხე სარჩელის თუ პრეტენზიის მიღებისთანავე. მითუმეტეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მე-5

---

<sup>122</sup> Gleufne I. Zivilprozessrecht, 4 Auflage. Müller Jur.Vlg.C.F, 2018, გვ. 235.

ნაწილი არაკეთილსინდისიერი მხარისათვის ერთგვარ წამახალისებელ დანაწესსაც კი შეიცავს.

წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია იმ მოთხოვნის უზრუნველყოფა, რომელიც სარჩელის ფორმით, სარჩელის სახით ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული და გაფორმებული ანუ არ არის აღძრული სასამართლოში, მაგრამ გარკვეული ვადის განმავლობაში წარმოდგენილი იქნება სარჩელის სახით. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მოსარჩელემ არ მიუთითოს სამომავლო მოთხოვნის ხასიათზე და მის ძირითად ფაქტობრივ საფუძველზე. მოსარჩელემ უზრუნველყოფის მოთხოვნით შეტანილ განცხადებაში უნდა მიუთითოს, თუ ვინ იქნება სამომავლო სარჩელის მოპასუხე, რა იქნება სამომავლო სარჩელის საგანი და ფაქტობრივი საუძველი. ამდენად, სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის თაობაზე შეტანილი განცხადება, ფაქტობრივად სარჩელის ყველა რეკვიზიტს შეიცავს, რომელსაც მარტოოდენ სარჩელის ფორმადა აკლია.

სამომავლო სარჩელის აღსრულების უზრუნველყოფის შესაძლებლობით მიიღწევა წინასწარი უზრუნველყოფის ღონისძიების მთავარი ეფექტი - მოულოდნელობის ეფექტი მოპასუხისათვის.

თუმცა, სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში წარმოიშობა მის მიმართ შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი. სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნორმის არსი, ერთი შეხედვით, გულისხმობს სარჩელის შემხვედრი უზრუნველყოფის შესაძლებლობას (არ გამორიცხავს ამგვარ შესაძლებლობას)<sup>123</sup> და იმავდროულად, სასამართლოს არ ავალდებულებს გადაწყვიტოს შემხვედრი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი. თუმცა, პრაქტიკულად სწორად უნდა განხორციელდეს შემხვედრი უზრუნველყოფა. საქმე იმაშია, რომ

---

<sup>123</sup> მითუმეტეს სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ, მათ შორის, სსსკ-ის 192-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველყოფის გაუქმებისას.

სამომავლო სარჩელის უზრუნველყოფისას გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება ისედაც უქმდება სარჩელის აღმდგრელობის შემთხვევაში, რაც თითქოსდა სასამართლოს უბიძგებს იქითკენ, რომ დაელოდოს სარჩელის აღმდგრას და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტოს შემხვედრი უზრუნველყოფის მოსარჩელისათვის დაწესების საკითხი. თუმცა, ამგვარი მიდგომა გაუმართლებელი იქნება, რამეთუ არაკეთილსინდისიერ მოსარჩელეს შეუძლია საქმე გააჭიანუროს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გასაჩივრებით, რა დროსაც უზრუნველყოფა მოკასუხის საზიანოდ შენარჩუნებულად ითვლება, მანამდე, ვიდრე უზრუნველყოფის გაუქმების განჩინება ძალაში არ შევა. მართებული არ არის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის თანახმადაც მხოლოდ სარჩელის მიღებას უკავშირდება მოდავე მხარეთა მიერ შესაბამისი სტატუსის (მოსარჩელის ან მოკასუხის სტატუსის) შექმნა.<sup>124</sup>

არაკეთილსინდისიერ მოსარჩელეს შეუძლია შეგნებულად ისეთი სარჩელიც აღძრას, რომელსაც არ მიიღებს სასამართლო და გაასაჩივროს სარჩელის მიუღებლობის განჩინება, რა დროსაც აგრეთვე ძალაში რჩება უზრუნველყოფის ღონისძიება და ა.შ.

ამიტომ სასამართლომ ეფექტიანად უნდა გამოიყენოს შემხვედრი უზრუნველყოფის ინსტიტუტი სარჩელიც აღძვრამდე სტადიაზე. შედარებისათვის, საქართველოს კონსტიტუციისაგან განსხვავებით,<sup>125</sup> გერმანიის კონსტიტუცია საკუთრივ სასამართლოზე უფლებას (სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას) პირდაპირი წესით არ განამტკიცებს (განმტკიცებულია მხოლოდ სასამართლო მოსმენის უფლება),<sup>126</sup> მაგრამ დოქტრინაზე დაყრდნობით გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა გამოკვეთს მთელ რიგ კონსტიტუციურ-სამართლებრივ უფლებას. კერძოდ: სასამართლოზე უფლებას/ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას ანუ მოთხოვნას

<sup>124</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 408.

<sup>125</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 - 31-ე მუხლი.

<sup>126</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 - 103-ე მუხლი.

(Anspruch auf gerichtsschutz); უფლების სასამართლო წესით დაცვის მოთხოვნას (Anspruch auf justizgewährung); აგრეთვე ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის უფლებას (Anspruch auf effektiven Rechtsschutz). ნაშრომის მიზანი არ არის აღნიშნული კატეგორიების განმასხვავებელ ნიშნებზე მსჯელობა. თუმცა კვლევის საგანთან მიმართებით საინტერესოა ეფექტიანი სასამართლო დაცვის უფლებაზე გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციით დადგენილი პირთა უფლებების სასამართლო წესით დაცვის უფლება ეფექტიანად უნდა განხორციელდეს, რაც ნიშნავს სახელმწიფოს ვალდებულებას, დარღვეული უფლება სრულად, ეფექტიანად და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში აღადგინოს. მოცემული უფლებით თანაბრად სარგებლობს როგორც მოსარჩელე, ისე მოპასუხე. რაც ყველაზე საყურადღებოა, ეს უფლება არსებობს არა მარტო პროცესის მიმდინარეობის დროს, არამედ პროცესის აღძვრამდეც.<sup>127</sup>

## 2.5. სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ განჩინების აღსრულება

იმ შემთხვევაში, როცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიების გამოყენება და გამოიტანს შესაბამის განჩინებას, ის უნდა აღსრულდეს. აღსრულება არ ნიშნავს უთუოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის (აღმასრულებელი) ჩართულობას, აღმასრულებლისადმი მიმართვას. აღნიშნული განჩინება უნდა აღსრულდეს სსსკ-ის 195-ე მუხლით დადგენილი წესით, რაც ნიშნავს იმას, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებების ხასიათისდა მიხედვით, შესაძლოა მისი

---

<sup>127</sup> Bundesverfassungsgericht (BverfG), Der Anspruch auf effektiven Rechtsschutz nach der Art. 19 IV GG, 2002-02-27.

აღსრულება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით, რასაც მოსარჩელე უზრუნველყოფს და რასაც არ ესაჭიროება სააღსრულებო ფურცლის გაცემა ან აღმასრულებლისადმი მიმართვის გზით.

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინებაში მითითებული უნდა იქნეს, თუ უზრუნველყოფის რომელი კონკრეტული ღონისძიება შეარჩია სასამართლომ (სსსკ-ის 194-ე მუხლი).

სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ ხორციელდება, ე.ი. მის კანონიერ ძალაში შესვლამდე, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის დადგენილი წესით (სსსკ-ის 195-ე მუხლი), რაც იმას ნიშნავს, რომ განჩინების გამოტანის შემდეგ ამ განჩინების იძულებით აღსრულების აუცილებლობის შემთხვევაში აღმასრულებელს მოსარჩელემ უნდა წარუდგინოს განჩინება და მის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად, რაც საერთო წესით ხორციელდება.

ეს განჩინება ეცნობება გასაჩივრებაზე უფლებამოსილ პირს. მოსარჩელეს შეუძლია საერთო წესით მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია 198-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული აკრძალვების დარღვევით იმ პირებისაგან, რომლებმაც არ შეასრულეს განჩინება უზრუნველყოფის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როცა უზრუნველყოფის ღონისძიება გამოიყენება მოპასუხის ისეთ ქონებაზე, რომელზე უფლების წარმოშობასაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სჭირდება სახელმწიფო რეგისტრაცია, მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ განჩინება და სააღსრულებო ფურცელი (ანდაც მარტოდენ განჩინება) ნებაყოფლობით აღსრულების მიზნით მოსარჩელის მიერ წარედგინება შესაბამის მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოს, რათა მოპასუხემ ვეღარ გაასხვისოს აღნიშნული ქონება ან სხვაგვარად არ გამოვიდეს ეს ქონება მისი მფლობელობიდან,

სარგებლობიდან და განკარგვიდან (მისი საკუთრებიდან). კერძოდ, თუ ყადაღა დაედო უძრავ ქონებას, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოპასუხეს.

ყადაღის დადების განჩინების და სააღასრულებო ფურცლის მიღების დროს ამ დაწესებულებამ საჯარო რეესტრში უნდა შეიტანოს ჩანაწერი შესაბამის უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლების შეზღუდვის შესახებ. ვიდრე არ გაუქმდება უზრუნველყოფის ღონისძიება, საჯარო რეესტრს უფლება არ აქვს განახორციელოს მოცემულ ქონებასთან დაკავშირებით დადებული გარიგების რეგისტრაცია. ამით გარანტირებული ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება ამ ყადაღადადებული ქონების ხარჯზე.

## 2.6. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ბედი სარჩელის მიუღებლობისას

როგორც ითქვა, სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება, ჩვეულებრივ, უკავშირდება საქმის მიღებას სასამართლოს მიერ. მაშასადამე, სამოქალაქო პროცესში დაუშვებელია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, თუკი სასამართლო არ მიიღებს სარჩელს, ე.ი. საქმე არ აღიძვრება. ქართულ სასამართლოთა პრაქტიკაში განმარტებულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება იზიარებს სარჩელის ბედს.<sup>128</sup> თუმცა, გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით<sup>129</sup> აღორძინდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიღების დროს არსებული, მაგრამ შემდგომ გაუქმებული სარჩელის დახარვეზების და ხარვეზის გამოსასწორებლად (დარღვევის აღმოსაფხვრელად) მოსარჩელისათვის ვადის განსაზღვრის (რასაც ახალი ცვლილების

<sup>128</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე N 2/5993-20.

<sup>129</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/1481.

თანახმად, დავალების მიცემა ეწოდება) ინსტიტუტი.<sup>130</sup> ამ ვითარებაში კი, თუ მხედველობაში იმ გარემოებასაც მივიღებთ, რომ კანონი უშვებს სარჩელის აღძვრამდე მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობას, უნდა დავასკვნათ, რომ ხარვეზიანი სარჩელის შეტანა არ გამორიცხავს სარჩელის უზრუნველყოფის შესაძლებლობას, მითუმეტეს, უზრუნველყოფის საკითხი სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს სწრაფად, არაუგვიანეს განცხადების შეტანიდან 24 საათისა, ხოლო სარჩელის ხარვეზის შევსება, შესაძლოა გაჭიანურდეს ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა გამო. მთავარია, თუნდაც ხარვეზიანი სარჩელის შემთხვევაში, სასამართლოსათვის ცხადი იყოს მოსარჩელის მოთხოვნა და მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძველი, რათა სასამართლოს შეექმნას წინასწარი ვარაუდი, რომ სარჩელი დაკმაყოფილებადია. მაშასადამე, უზრუნველყოფის საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა უნდა გააჩნდეს დარღვევის ხასიათს. მაგალითად, სარჩელზე ბაჟის გადაუხდელობამ არ უნდა გამორიცხოს უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობა.

თუკი სარჩელის მიღების შემდეგ წარმოიშობა პროცესის გაგრძელების შეუძლებლობის განმაპირობებელი გარემოებანი, მაშინ ამგვარი გარემოებების ხასიათის მიხედვით, სამართლებრივი შედეგის სახით სარჩელი განუხილველი დარჩება, ან საქმე შეწყდება. საქმის შეწყვეტა და სარჩელის განუხილველად დატოვება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის დამთავრების ფორმებია. ამრიგად, სარჩელის განუხილველად დატოვების და საქმის შეწყვეტის საფუძველები სარჩელის აღძვრის ეტაპზე მის მიუღებლობას განაპირობებენ. შესაბამისად, გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის დამთავრების შემთხვევაშიც, სარჩელის მიუღებლობის სამართლებრივი შედეგის მსგავსად, სარჩელის უზრუნველყოფა აზრს მოკლებული ხდება, მაგრამ რადგან მანამდე გამოყენებული იყო, ის ანულირდება.

---

<sup>130</sup> მისი კვლავ აღორძინების მიზანშეწონილობაზე მართებული მოსაზრება გამოითქვა თავის დროზე იურიდიულ ლიტერატურაში; ხრუსტალი ვ. საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, სპეციალური გამოცემა, N 2, 2015, გვ. 43.



საინტერესოა მორიგი საკითხიც: შესაძლებელია თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელება საქმის შეჩერებისას? სსსკ-ის 191-ე მუხლი არ გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შესაძლებლობას საქმის წარმოების შეჩერების პერიოდში, რაც არ აკნინებს საქმის წარმოების შეჩერების შედეგებს - საქმის შეჩერების პერიოდში სხვა საპროცესო მოქმედებების შესრულების აკრძალვის წესს. საქმე ის არის, რომ სსსკ-ის 191-ე მუხლში ასახული დებულებები ადგენენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძვლებს და წინაპირობებს. ამ დებულებათა მიზანია სასამართლო აქტის აღსრულების შეუძლებლობის ან გაძნელების, ანდა მოსარჩელისათვის აუნაზღაურებელი ზიანის მიყენების დაუშვებლობა და ამით კი, დასახელებული დებულებანი სასამართლო აქტის რეალურად აღსრულების სამართლებრივ გარანტიას წარმოადგენენ.

### თავი 3. უფლებების დაცვის გარანტიები სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმში

#### 3.1. თანაზომადობის პრინციპის დაცვის ვალდებულება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას

თანაზომადობის პრინციპის შესაბამისად, სახელმწიფოს, მათ შორის სასამართლოს, არ აქვს უფლება გამოყენებული ღონისძიების მეშვეობით მიზნის მისაღწევად სუბიექტს დააკისროს ისეთი ვალდებულება, რომელიც აჭარბებს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე აუცილებლობის ფარგლებს. აქედან გამომდინარე, გამოყენებული ღონისძიება მიზნის პროპორციული უნდა იყოს (მიზანს უნდა შეესაბამებოდეს). თუ დაწესებული ვალდებულება მიზნის შეუსაბამოა, ანუ არაპროპორციულია, მაშინ ღონისძიება უნდა გაუქმდეს.<sup>131</sup>

ისევე, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის პრინციპი, პროპორციულობის პრინციპიც სხვადასხვა მოდიფიკაციით ცნობილია საბაზრო ეკონომიკის მქონე ყველა სახელმწიფოსთვის და სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე სახელმწიფოსთვის.<sup>132</sup> საკმარისია, მაგალითად, აღინიშნოს ისეთი პრინციპი, როგორც არის reasonability ინგლისში ანდა due process of

---

<sup>131</sup> Court of Justice of European Union, Case 5/73 Balkan-Import-Export [1973] ECR 1091, 24 October 1973.

<sup>132</sup> იმდენად, რამდენადაც სამოქალაქო სააღსრულებო სამართალი პროცესის გაგრძელებაა, როპორციულობის ტესტით ხელმძღვანელობენ სამოქალაქო სააღსრულებო სამართალშიც - გოგელაშვილი ნ. კერძო სააღსრულებო სისტემა საქართველოში - გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია ავტორეფერატი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2024, გვ. 44.

law ამერიკაში.<sup>133</sup> კვლეში პროპორციულობა და თანაზომადობა სინონიმებად გამოიყენება.

იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება აკრძალვებისა და შეზღუდვების გამოყენებას გულისხმობს, უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებისას, ნებისმიერ შემთხვევაში, დაცული უნდა იქნეს საკუთრებაში ჩარევის, საკუთრების შეზღუდვის ფარგლები და ჩარევის მართლზომიერება, აქედან გამომდინარე კი, თანაზომადობის პრინციპი.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო<sup>134</sup> სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებული ყადაღის ღონისძიების თაობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადმოცემულ განმარტებებს დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სამოქალაქო საპროცესო სამართლისთვისაც იმ ასპექტით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული იქნეს თანაზომადობა და გაუმართლებლად არ შეილახოს მესაკუთრის უფლებები და ინტერესები.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, როგორც წესი, მესაკუთრეს ან მფლობელს უკრძალავს ქონების განკარგვას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – აგრეთვე ქონებით სარგებლობას. ქონებით სარგებლობა, ისევე როგორც მისი განკარგვა, საკუთრების კონსტიტუციური უფლებით დაცულ სიკეთეს წარმოადგენს, შესაბამისად, ბუნებრივია, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება ხსენებულ უფლებას ზღუდავს. ამიტომ

---

<sup>133</sup> Partington M. Introduction to the English Legal System, 14<sup>th</sup> edition. New York, Oxford University Press, 2019, გვ. 292; Sorabji J. English Civil Procedure after the Woolf and Jackson Reforms: A Critical Analysis. Cambridge, Cambridge University Press, 2014, გვ. 243; Oakley J., Amar V.D., American Civil Procedure: A Guide to Civil Adjudication in US Courts, Kluwer Law International, 2009, გვ. 99; Born G.B., Rutledge P.B. International Civil Litigation in United States Courts. Aspen Publishing, 2022, გვ. 272; Freer R.D. Civil Procedure, Aspen Student Treatise Series. New York, Wolter Kluwers, 2022, გვ. 119.

<sup>134</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N 2/1/1434,1466.

საჭიროა სწორი ბალანსის დაცვა საკუთრების უფლებასა და სხვა უფლებებს/საჯარო ინტერესებს შორის.

საკუთრების უფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ-სამართლებრივი ლეგიტიმაციისათვის მხოლოდ საჯარო ინტერესის არსებობა საკმარისი არ არის. კონსტიტუციური უფლებების, მათ შორის, საკუთრების უფლების შეზღუდვის შეფასების საზომი, სწორედ თანაზომადობის პრინციპია. თანაზომადობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების შემზღუდავი საკანონმდებლო მოწესრიგება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი თანაზომადი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს ადამიანის უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.<sup>135</sup>

თანაზომადობის პრინციპის საწინააღმდეგოა ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც იმაზე მეტად ზღუდავს უფლებას, ვიდრე ეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად არის აუცილებელი. მითუმეტეს, ეს მოთხოვნა უნდა გავითვალისწინოთ მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის სახით მოპასუხის ქონებრივი უფლება იზღუდება, რამეთუ, ქონებრივი უფლების შეზღუდვისას მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, ქონებით სარგებლობა შეზღუდოს მისი განკარგვის აკრძალვის გარეშე.

თანაზომადობის პრინციპის მოთხოვნაა, რომ უფლების შეზღუდვისას დადგინდეს სამართლიანი ბალანსი შეზღუდულ და დაცულ ინტერესებს შორის.<sup>136</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას სახეზეა ორი ინტერესის კოლიზია - ერთი მხრივ, მოსარჩელის ინტერესის და მამასადამე, მართლმსაჯულების აღსრულების

---

<sup>135</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-60.

<sup>136</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N 3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-43.

ინტერესის უზრუნველყოფა და, მეორე მხრივ, მესაკუთრის უფლება, თავისუფლად ისარგებლოს ქონებით და განკარგოს იგი.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დასაბუთებული ვარაუდის გარეშე გამოყენება, არაპროპორციულად ზღუდავს მოპასუხეს. მსგავსი ვარაუდი კი, შესაძლოა, მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოიშვას, თუ გარკვეული ფაქტები მიუთითებს მოსარჩელის მოთხოვნის გამართლებულობაზე.

მართალია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებაში ქონების დაყადაღების ღონისძიების ხანგძლივი ვადით შენარჩუნება ჩათვალე არაპროპორციულ ღონისძიებად, მაგრამ მისი განმარტების გათვალისწინებით შეიძლება განზოგადებული სახით ითქვას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების (თუნდაც მცირე ვადით) შენარჩუნება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ვადით არის დასაშვები, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი ბალანსის მიღწევას მესაკუთრის ინტერესსა და მისაღწევ საჯარო ინტერესებს შორის.

აღსანიშნავია, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებებს სასამართლო იყენებს ჯერ კიდევ საქმის არსებითად განხილვამდე. ამიტომ ყოველთვის არსებობს მოპასუხისათვის ზარალის მიყენების რისკი იმის გამო, რომ თვითონ სარჩელი (განცხადება) და უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება დაუსაბუთებელი აღმოჩნდეს. ეს გარემოება უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ და იგი ვალდებულია მოსარჩელის მოთხოვნების თანაზომადი უზრუნველყოფის ღონისძიებები გამოიყენოს, მით უმეტეს, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა შერჩევასას სასამართლო არ არის შებოჭილი განმცხადებლის მოთხოვნის ფარგლებით. სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა შეარჩიოს, რომელითაც ზიანი არ მიადგება მოპასუხეს. მაგალითად, სასამართლოს უფლება აქვს ყადაღა დაადოს არა მთელ ქონებას, როგორც ამას განმცხადებელი მოითხოვს, არამედ ამ ქონების მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც

თავისი ღირებულებით სარჩელის ფასის თანაზომადია, რაშიც არ იგულისხმება უზრუნველყოფის საგნისა და სარჩელის საგნის თანაბრობა.

ამა თუ იმ სახის სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შერჩევა დამოკიდებულია მოსარჩელის მოთხოვნის ხასიათზე.<sup>137</sup> რა ხასიათისაცაა მოთხოვნა, იმის შესაბამისი ღონისძიება გამოიყენება. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე<sup>138</sup> ფუნდამენტური განმარტებები ასახა თანაზომადობის პრინციპის დაცვის თვალსაზრისით. აღნიშნული გადაწყვეტილება გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს მოვალის უფლებრივი შეზღუდვის სამართლიანობის განსაზღვრის საკითხში ერთ-ერთ საეტაპო გადაწყვეტილებად. მართალია, განმარტების საჭიროება წარმოიშვა აღსრულების ეტაპზე მიმდინარე დავასთან დაკავშირებით, მაგრამ სასამართლოს მიერ შემუშავებული თანაზომადობის ტესტი ბუნებრივია, გამოსადეგია და შესაბამისად, გამოსაყენებელია აღსრულებამდე მიმდინარე სამართალწარმოებაშიც, რამეთუ, უფლებრივი საკითხის სწორად დაბალანსება გამორიცხავს სამომავლო დავების წარმოშობას და მაშასადამე, ხელს უწყობს უფლების ხელყოფის პრევენციას. ეს განმარტებები შეეხებიან ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიც არის: თანაზომადობის დაცვის ვალდებულება იძულებითი აღსრულებისას, საკუთრების უფლების დაცვა, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები და სხვა. თანაზომადობის პრინციპიდან გამომდინარე, დაუშვებელი უნდა იყოს აღსასრულებელ მოთხოვნასთან შედარებით მაღალი ღირებულების ქონების იძულებით მთლიანად გაყიდვა. საკასაციო პალატამ ამ საქმეში ყურადღება გაამახვილა ყადაღის მოცულობაზე, რომელზეც დამოკიდებულია აუქციონზე გატანილი ქონების ოდენობა და ქონების ღირებულება.

---

<sup>137</sup> მეფარიშვილი ქ. უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N 2 (78), 2023, გვ. 98.

<sup>138</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N ბს-881(კ-19).

საყურადღებოა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება პროპორციულობის ანუ თანაზომადობის პრინციპის დაცვით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით ნოვაცია შემოიტანა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსს დაემატა 196<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლის დანაწესის შესაბამისადაც, დაყადაღებული ქონების ღირებულება არსებითად არ უნდა აღემატებოდეს სარჩელის ფასს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მოპასუხე ერთადერთი ქონების მესაკუთრეა.

ცალკეულ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის დანაწესი არასწორად იქნა გაგებული სასამართლო პრაქტიკაში. ერთ-ერთ საქმეზე,<sup>139</sup> უზრუნველყოფის გამოუყენებლობის საფუძვლად სასამართლომ აღნიშნა სამომავლო სარჩელის ფასის მიუთითებლობა, განმცხადებლის მიერ ექსპერტის დასკვნის წარუდგენლობა, რაც სასამართლოს აზრით მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის მოცულობის და დასაყადაღებელი ქონების ღირებულების ერთმანეთთან ადეკვატურობის დადგენისთვის არის საჭირო. ზემოაღნიშნული ნორმის დანაწესში ყურადღება მახვილდება არა ადეკვატურობაზე, არამედ უზრუნველყოფის საგნისა და სარჩელის ფასის ერთმანეთთან არსებითად შეუსაბამობაზე, რაც, სხვა არაფერია, თუ არა თანაზომადობის მოთხოვნა. თანაზომადობა არ გულისხმობს ადეკვატურობას. თანაც, თანაზომადობის დაცვა საჭირო არ არის იმ შემთხვევაში, როცა მოპასუხე ერთადერთი ნივთის მესაკუთრეა, რასაც ადგილი ჰქონდა მოცემულ შემთხვევაში. უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემდეგი არგუმენტი სასამართლოს აზრით, არის ის, რომ მოსარჩელეს არ წარმოუდგენია ქონების ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტი და ასევე მტკიცებულება, უზრუნველსაყოფი ქონება წარმოადგენს თუ არა მოპასუხის ერთადერთ ნივთს. სასამართლოს ეს მსჯელობაც არ გამომდინარეობს კანონიდან და არც ცხოვრებისეული ლოგიკიდან. სასამართლოს სასარჩელო მოთხოვნაც კი არ გაუთვალისწინებია. კერძოდ,

---

<sup>139</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/1510263-16.

სასამართლოს მიერ მოხმობილი სსსკ-ის 194-ე და 285-ე მუხლების დანაწესები შეეხებოდა თავად სასამართლოს და არა განმცხადებელს. სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლის დანაწესი კი, სასამართლომ ისე გამოიყენა, რომ მისი გამოყენების კანონისმიერი წინაპირობა არ არსებობდა. 196<sup>1</sup>-ე მუხლი შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც დავის საგანი არის თანხის მიკუთვნება, ფულადი ვალდებულება. ამ ლოგიკას გვკარნახობს ნორმის შეზღუდვითი განმარტება. ასეთ საქმეებზე სარჩელის ფასიც მოთხოვნილი თანხის მიხედვით განისაზღვრება და სწორედ ამიტომ მოითხოვს კანონი დასაყადაღებელი ქონების ღირებულების და სარჩელის ფასის ერთმანეთთან გონივრულ შესაბამისობაში ყოფნას. ე.ი. სსსკ-ის 196<sup>1</sup>-ე მუხლი აშკარად გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც დავის საგანი დასაყადაღებელი ნივთი კი არ არის, არამედ ფულადი თანხა, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი სანივთო უზრუნველყოფის საშუალებებით და ამიტომ ხდება საჭირო მისი საპროცესო სამართლებრივი უზრუნველყოფა. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა თავად დასაყადაღებელი ქონება და მაშასადამე, უზრუნველყოფის ღონისძიებაც მიმართული იყო ნატურის სახით მისაკუთვნილი ქონების დაცვისაკენ. სწორედ ამიტომ არის არასწორი სასამართლოს შემდეგი ფრაზაც: „მესაკუთრედ აღიარების მოთხოვნის ფასის მითითება“.

სასამართლომ დაუსაბუთებლად წაართვა განმცხადებელს სამართლიანი სასამართლოს უფლება. ყველაფერთან ერთად, სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესება სასამართლოს მსჯელობას თვითნებობად აქცევს. მოსარჩელის მოთხოვნის გათვალისწინებით არც იმის ვალდებულება აქვს მხარეს, სასამართლოს წინაშე ამტკიცოს, არის თუ არა დასაყადაღებელი ნივთი მოპასუხის ერთადერთი ნივთი, რადგან განცხადებაში აღნიშნული უზრუნველყოფის გამოყენება მიმართულია არა ცალკე არსებული სხვა მოთხოვნის უზრუნველყოფისაკენ, არამედ დასაყადაღებელი ქონება თავად წარმოადგენს დავის საგანს. მაშასადამე, თანაზომადობის საკითხი არ შეიძლება დაისვას მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგანი ემთხვევა სარჩელის საგანს.



უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას დაცული უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი მოსარჩელის უფლებასა (უზრუნველყოს სასამართლო წესით სამომავლოდ დადასტურებული უფლების განხორციელება) და მოპასუხის ინტერესს (უზრუნველყოფის ღონისძიებამ გაუმართლებლად არ ხელყოს მისი, როგორც მოპასუხის უფლებები) შორის. სარჩელის უზრუნველყოფის არსიდან გამომდინარე, სასამართლო არჩევს უზრუნველყოფის ღონისძიებას სასარჩელო მოთხოვნის ხასიათიდან და მოცულობიდან გამომდინარე. თუმცა, სასამართლომ ზემოთ უკვე ხსენებული განჩინების მსგავსად თანაზომადობის ნაცვლად ყურადღება შეცდომით გაამახვილა ადეკვატურობის დაცვის აუცილებლობაზე. სასამართლოს აზრით, უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობის ადეკვატური. ამასთან, მართებულია სასამართლოს ის მსჯელობა, რომ დაუშვებელია, უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამგვარად, მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.<sup>140</sup>

პროპორციულობაზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიც, რომლის 45-ე მუხლი სააღსრულებო იმუნიტეტით იცავს იმ ქონებას, რომლიდანაც არ შეიძლება გადახდევინება. ამავე მუხლის თანახმად, დავა გადახდევინებისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ განიხილება სასამართლო წესით. შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს აღძრას სარჩელი სასამართლოში და სადავო გახადოს სააღსრულებლო ფურცელი, როცა იგი არ ეთანხმება გადახდევინებას, რათა სასამართლომ აღიაროს, რომ სააღსრულებო საბუთი (რომლის მიხედვითაც წარმოებს გადახდევინება), არ ექვემდებარება აღსრულებას. სასამართლოს, განსახილველი ნორმის შესაბამისად, შეუძლია შეაჩეროს გადახდევინება, რომელიც კანონით დადგენილ ვადებში უკვე დაიწყო სადავო დოკუმენტის საფუძველზე. თუ სასამართლო მოსარჩელის შუამდგომლობით გამოიყენებს უზრუნველყოფის მოცემულ

---

<sup>140</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N 1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და შპს ტელეკომპანია საქართველო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

ღონისძიებას, მაშინ სასამართლო აქტის გამოტანამდე (რომელიც მიღებულ უნდა იქნეს სარჩელზე სააღსრულებო დოკუმენტის სადავოდ ქცევის შესახებ) შეჩერდება უფლებამოსილი პირის მიერ აღსრულების მიზნით განხორციელებული მოქმედებები (შეჩერდება სააღსრულებო საბუთის აღსრულება).

გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სასამართლომ, დავისა და მისი მონაწილე სუბიექტების სპეციფიურობის გათვალისწინებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეძლოს თავის ხელთ არსებული ყველა საპროცესო-სამართლებრივი საშუალების გამოყენება.<sup>141</sup> ამასთან, ყველა საშუალების გამოყენება აუცილებლად თანაზომადობის ტესტით უნდა იყოს განპირობებული.

მაგალითისთვის, თუკი განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ითხოვს მოპასუხის მიერ წარმოებული მზა პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვას, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ მოთხოვნილმა უზრუნველყოფის ღონისძიებამ შესაძლოა მოპასუხეს მიაყენოს აუნაზღაურებელი ზიანი. საქმის განხილვა შეიძლება გაგრძელდეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის აკრძალვით მოპასუხემ ვერ გადაიხადოს გადასახადები, რის გამოც შეიძლება წარმოებამ შეწყვიტოს მუშაობა. გასათვალისწინებელია ასევე, რომ მოპასუხეს შესაძლოა დადებული ჰქონდეს ხელშეკრულებები სხვა საწარმოებთან და ვალდებულებების შეუსრულებლობით გაიზრდება მისი დავალიანებები.

სსსკ-ის 198-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკითხს იმის შესახებ, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული, წყვეტს სასამართლო. მოცემული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ სარჩელის უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიება უნდა შეარჩიოს, რომლითაც ზიანი არ მიადგება მოპასუხეს.

---

<sup>141</sup> ძლიერიშვილი ზ. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა. სამართლის ჟურნალი N1, 2018, გვ. 12.

სარჩელის უზრუნველყოფის ასპექტით, თანაზომადობის შემოწმებისას სასამართლომ უნდა შეაფასოს განმცხადებლის სამართლებრივი მდგომარეობა (საკუთრება, უფლების ეფექტიანი დაცვის უფლება) და მოვალის სამართლებრივი მდგომარეობა (თავისუფლების უფლება).

თანაზომადობის/პროპორციულობის დარღვევა უზრუნველყოფის ღონისძიების მართლზომიერების ტესტია და მისი სრულად ან ნაწილობრივ გაუქმების საფუძველია, აღნიშნული მოთხოვნის დაცვის აუცილებლობაზე ყურადღება მახვილდება იურიდიულ ლიტერატურაშიც.<sup>142</sup> თანაზომადობის მოთხოვნის დამრღვევი სასამართლოა და არა მოპასუხე. ამ უკანასკნელს სამომავლოდ თანაზომადობის იმპერატივის დარღვევისათვის კი არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, არამედ იმისთვის, რომ გაუმართლებელი აღმოჩნდა მის სასარგებლოდ გამოყენებული უზრუნველყოფა.<sup>143</sup>

### 3.2. შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმი

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ შეიძლება მოიაზრებოდეს მხოლოდ მოსარჩელის დაცვის მექანიზმად. მასში თავმოყრილი დანაწესები ითვალისწინებენ სასამართლოს მთელ რიგ საპროცესო მოქმედებებს (საპროცესო მოქმედებების სისტემას), რომლებიც არამარტო სასამართლო აქტის აღსრულებას უზრუნველყოფენ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, არამედ მოპასუხის დაცვასაც. ამიტომ, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტასთან, დაკავშირებულია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტაც (რასაც საპირისპირო საპროცესო

<sup>142</sup> ახალაძე მ. სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020, გვ. 84.

<sup>143</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 199, მესამე ნაწილი.

უზრუნველყოფა შეიძლება ეწოდოს),<sup>144</sup> რამეთუ უზრუნველყოფის ღონისძიების გატარებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს მოპასუხის ინტერესებს.<sup>145</sup> შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი წყდება მხარეთა უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით (უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფით).<sup>146</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით, ან არაკეთილსინდისიერად აღძრული სარჩელით მოპასუხეს არ უნდა მიადგეს ზიანი და თუ მიადგება, უნდა ანაზღაურდეს.<sup>147</sup> ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ყოველთვის უნდა არსებობდეს მაშინ, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება არ აღმოჩნდება გამართლებული.<sup>148</sup> შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ან სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში მოპასუხისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსარჩელე მხარის მიერ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის გარეშე შეუძლებელია.<sup>149</sup>

სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ნებისმიერი ღონისძიება უნდა შეესაბამებოდეს სსსკ-ის 191-ე მუხლის მიზნებს და ამასთან, მოპასუხის უფლებებში ჩარევა, მოპასუხისთვის დაწესებული შეზღუდვა, გამართლებული და დასაბუთებული უნდა იყოს, გათვალისწინებული უნდა იქნეს მოთხოვნის ხასიათი და შინაარსი.<sup>150</sup> სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი მოპასუხეს საკმაოდ ძლიერად და ჯერ კიდევ

---

<sup>144</sup> კვლევაში ამავე მნიშვნელობით არის გამოყენებული შემხვედრი უზრუნველყოფის კატეგორია; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 1997 - მუხლი 199.

<sup>145</sup> Yeazell, S., Schwartz, J. Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer, 2019 გვ. 316.

<sup>146</sup> Le Floch, G. Requirements for the Issuance of Provisional Measures. Provisional Measures Issued by International Courts and Tribunals. The Hague: Asser Press, 2021, გვ. 47, 48.

<sup>147</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. წიგნი 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ. 256, 257.

<sup>148</sup> შნიტგერი ჰ. გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, N.10, მოხსენება. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2020, გვ. 13. <<http://lawlibrary.info/ge/books/CLS-2020.pdf>> [30.05.24].

<sup>149</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 352.

<sup>150</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 351.

იმ ეტაპზე იცავს, როდესაც წყდება სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი. უპირველესად იცავს იმით, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას მოითხოვს თანაზომადობის დაცვას.<sup>151</sup> პროპორციულობის/თანაზომადობის დაცვის აუცილებლობას ვერ შეცვლის მოსარჩელისათვის იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის დაწესება, რომელიც შესაძლოა განიცადოს მოპასუხემ ე.წ. გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, პროპორციულობა დაცული უნდა იქნეს ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც მოსარჩელემ ნებაყოფლობით უზრუნველყო მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურება სსსკ-ის 199-ე მუხლიდან გამომდინარე. ამიტომ, უზრუნველყოფის ღონისძიება ნებისმიერ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნის თანაზომადი უნდა იყოს.<sup>152</sup> შემხვედრი უზრუნველყოფის ინსტიტუტის მნიშვნელობის მიუხედავად, აღნიშნულ საკითხზე არსებული ქართული ლიტერატურა და პრაქტიკა მწირია.<sup>153</sup>

მოცემული პრობლემის სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ამავე კოდექსის 199-ე მუხლის კომპლექსური აღქმა, ვინაიდან მხარის (მოსარჩელის) უფლებას, გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, უპირისპირდება მოპასუხის ინტერესი - თავი დაიცვას ზიანის მომტანი უზრუნველყოფის ღონისძიებისაგან.<sup>154</sup> მაშასადამე, ერთმანეთს უპირისპირდება მოსარჩელისა და მოპასუხის ლეგიტიმური, ანგარიშგასაწევი ინტერესები,<sup>155</sup> რომელთა გონივრული დაბალანსებაც სასამართლოს უპირველესი კონსტიტუციური მოვალეობაა. სარჩელის უზრუნველყოფის მომთხოვნს კანონით გათვალისწინებული პირობების

---

<sup>151</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე N ას-1609-2019.

<sup>152</sup> ძლიერიშვილი ზ. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა. სამართლის ჟურნალი N1, 2018, გვ. 8.

<sup>153</sup> ძლიერიშვილი ზ. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა. სამართლის ჟურნალი N1, 2018, გვ. 5-22.

<sup>154</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის საქმეზე გადაწყვეტილება საქმეზე N 1/3/1377.

<sup>155</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი II. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023, გვ. 82.

არსებობისას შეიძლება დაეკისროს მოსალოდნელი ზარალი ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>156</sup> შეზღუდვა უნდა ითვალისწინებდეს პროცესის მონაწილე ორივე მხარის ინტერესებს - მოპასუხეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა დააზღვიოს უზრუნველყოფის ღონისძიებიდან მომდინარე ქონებრივი ზიანი, ხოლო მოსარჩელისათვის დადგენილი მოთხოვნები უნდა იყოს გონივრული და მას აძლევდეს რეალურ შესაძლებლობას მოახდინოს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფა. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი დეტალურად განმარტავს ამ მექანიზმის გამოყენების პროცედურას, რაც წარმოადგენს მოპასუხის უფლებების დაცვის და ამით კი, თანაზომადობის უზრუნველყოფის დამატებით გარანტიას.<sup>157</sup>

სარჩელის უზრუნველყოფა უკავშირდება მოპასუხის უფლებების შეზღუდვას, რამაც, როგორც შედეგი, შესაძლოა ამ უკანასკნელის ინტერესების დაზიანებაც გამოიწვიოს. საუბარია შესაძლო ზიანზე. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედება, თუ მოპასუხე მეწარმეა. სასამართლოს მიერ გამოყენებულმა უზრუნველყოფის ღონისძიებამ არ უნდა შეაფერხოს ამგვარი სუბიექტის ნორმალური სამეწარმეო საქმიანობა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებითა და მხარეთა საპროცესო თანასწორობის პრინციპის საფუძველზე ითვალისწინებს კანონი მოპასუხის ინტერესების დაცვის გარანტიებს. ამ გზით ბალანსდება სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის პრინციპი.<sup>158</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 62-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ყველა (მოცემული კვლევის მიზნებისთვის მოსარჩელე და მოპასუხე) თანასწორია სამართლის წინაშე, რაშიც სასამართლოს წინაშე თანასწორობაც იგულისხმება, თუმცა კი, კონსტიტუციაში სასამართლოს წინაშე მხარეთა თანასწორობის

---

<sup>156</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი II. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023, გვ. 82.

<sup>157</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე N ას-1609-2019.

<sup>158</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე N ას-1165-1095-2015.

თაობაზე პირდაპირი დანაწესი ასახული არ არის,<sup>159</sup> რაც მისი ერთგვარი ნაკლია. საკუთრივ დავის საგნად ქცეული საკითხების სასამართლოში გადაწყვეტა კი, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საწყისებზე ხორციელდება.<sup>160</sup> სწორედ კონსტიტუციური და საერთაშორისო ნორმები აღჭურავენ სასამართლოსადმი მიმართვის თანაბარი უფლებით როგორც მოსარჩელეს, ისე მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის წესთან მიმართებით. ეს ნიშნავს, რომ მოპასუხეს, როგორც მოსარჩელის თანასწორუფლებიან მხარეს, სამოქალაქო პროცესში უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შემთხვევაში გარანტირებული უნდა ჰქონდეს თავისი უფლებების დაცვის შესაძლებლობა. სხვა შემთხვევაში, ანუ თუკი მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფის დაუსაბუთებელი ღონისძიების წინააღმდეგ დაცვის შესაძლებლობა არ ექნება, ის მოსარჩელესთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება, შესაბამისად, ზიანი მიადგება ჯერ კიდევ დავის საგანზე მოსარჩელის უფლების სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებამდე, რამეთუ მოპასუხის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღება უკავშირდება მატერიალურ-სამართლებრივი შეზღუდვების დაწესებას და ამით, ზიანის მიყენების შესაძლებლობას. სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის შემოღებით კანონმდებელი მართალია უფლების ლეგიტიმურად შეზღუდვას ისახავს მიზნად, მაგრამ ეს გარემოება თავისთავად არ ნიშნავს, რომ უფლებაში ჩარევა ყოველთვის გამართლებულია. შეზღუდვა უნდა პასუხობდეს თანაზომადობის სტანდარტებს.<sup>161</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის სტადიაზე შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენება აიხსნება იმით, რომ აღნიშნულ სტადიაზე ჯერ არ არის გარკვეული საქმის პერსპექტივა და არ არის ცნობილი, ნამდვილად დასაბუთებულია თუ არა მოსარჩელის

---

<sup>159</sup> საქართველოს კონსტიტუცია, 1995 - მე-11 და 62-ე მუხლები.

<sup>160</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი 1. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2014, გვ. 60.

<sup>161</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-48.

მოთხოვნა.<sup>162</sup> ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა სასამართლოს არა ვალდებულება, არამედ უფლებაა.<sup>163</sup> უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე.<sup>164</sup>

აღნიშნული უფლება სასამართლოს მიერ გამოიყენება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან ერთად.<sup>165</sup> თუ სასამართლო არ გამოიყენებს ამ დისკრეციულ უფლებამოსილებას, მაშინ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნის წარდგენა მოპასუხეს შეუძლია.<sup>166</sup> ორივე შემთხვევაში ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში მოსარჩელე ვერ აანაზღაურებს მიყენებულ ზიანს.<sup>167</sup> ამრიგად, ზარალის ანაზღაურება (ანაზღაურების უზრუნველყოფა) შეიძლება განხორციელდეს, როგორც სარჩელის უზრუნველყოფასთან ერთად, ისე მის შემდეგაც.<sup>168</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი ერთნაირად იცავს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინტერესებს. შესაბამისად, თუ სარჩელის უზრუნველსაყოფად დაშვებული ღონისძიებები გაუმართლებელი გამოდგა იმის გამო, რომ მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, ანდა იმის გამო, რომ

---

<sup>162</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-1135-1082-2013.

<sup>163</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-958-923-2016; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე N ას-832-884-2011.

<sup>164</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 199, პირველი ნაწილი.

<sup>165</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 352.

<sup>166</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე N ას-759-718-2015.

<sup>167</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინება საქმეზე N ას-450-422-2017.

<sup>168</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 351.



სასამართლომ 192-ე მუხლის მეორე ნაწილის ან 363<sup>30</sup>-ე მუხლის მეორე ნაწილის<sup>169</sup> შესაბამისად გააუქმა სარჩელის აღძვრამდე მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, მოპასუხეს უფლება აქვს მოსარჩელისაგან მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გატარებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება (199-ე მუხლის მე-3 ნაწილი). კანონი იმპერატიულად არ მოითხოვს სასამართლოსაგან მოსთხოვოს მოსარჩელეს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა.<sup>170</sup> სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მოთხოვნა დამოკიდებულია სასამართლოს შეხედულებაზე.<sup>171</sup> უფრო მართებული იქნება, თუკი სასამართლოს თავისი ინიციატივით საერთოდ არ ექნება შემხვედრი უზრუნველყოფის განხორციელების ვალდებულების მოსარჩელისათვის დაკისრების უფლება. საქმე ის არის, რომ მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა ფაქტობრივად არის „იმ სარჩელის უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება აღძრას მოპასუხემ მოსარჩელის წინააღმდეგ, რომლის სარჩელის უზრუნველყოფის გამო მას მიადგა ზიანი“.<sup>172</sup> აღძრავს თუ არა სარჩელს და მოითხოვს თუ არა ზარალის ან ზიანის ანაზღაურებას, მთლიანად მომავალ მოსარჩელეზეა დამოკიდებული. მაშასადამე, სასამართლოს ინიციატივით შემხვედრი უზრუნველყოფის დაწესების შესაძლებლობა, ეწინააღმდეგება დისპოზიციურობის პრინციპს. კვლევას მოითხოვს ის საკითხიც, მოპასუხე ვალდებულია თუ არა ამტკიცოს, თუ რა სავარაუდო ზარალი შეიძლება მიადგეს უზრუნველყოფის გატარებით. ამ საკითხს კანონმდებელი გვერდს უვლის. იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფა ეფუძნება სავარაუდო ფაქტებს და იმდენად, რამდენადაც საუბარია მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფაზე, ამგვარი სავარაუდო ზარალის

<sup>169</sup> სამედიაციო მორიგების უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემთხვევა.

<sup>170</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება საქმეზე N ას-956-921-2016.

<sup>171</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე N ას-832-884-2011.

<sup>172</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 355.

უზრუნველყოფის მოთხოვნის ეტაპზე, მხარეთა თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს არ უნდა დაეკისროს ჯერ არარსებული ზარალის მტკიცების ტვირთი. რეალურად დამდგარი ზარალის მტკიცება სამომავლოდ უნდა განხორციელდეს. სარჩელის უზრუნველყოფის ეტაპზე კი ზარალის მტკიცება მოპასუხის დისპოზიციური უფლებაა.<sup>173</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების დროს არ არის სავალდებულო სსსკ 57-ე მუხლის შესაბამისად მეორე მხარის მიერ თავისი მოთხოვნის ფულადი თანხით ან ფასიანი ქაღალდით უზრუნველყოფა.<sup>174</sup> ნორმაში მითითებული უზრუნველყოფის ამ სახით განხორციელება მხოლოდ მაშინ იქნება აუცილებელი, თუკი სასამართლო, სსსკ 199-ე მუხლის 1 ნაწილის შესაბამისად, საჭიროდ მიიჩნევს მეორე მხარისაგან უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას.<sup>175</sup>

შემხვედრი უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების პრობლემა კვეთაშია მოსარჩელის მიერ მატერიალური და საპროცესო უფლებების კეთილსინდისიერად გამოყენების პრობლემასთან. როგორც გერმანულ დოქტრინაშია აღნიშნული, პროცესში არაკეთილსინდისიერებას, ანუ სარჩელისა და ნებისმიერი სხვა საპროცესო უფლების ბოროტად გამოყენებას ადგილი აქვს უფლებით აღჭურვილი პირის მიერ დასახული მიზნების კანონით მინიჭებული უფლების მიზნებთან (რომლებიც სამოქალაქო პროცესის მიზნებს შეესაბამება) შეუსაბამობის შემთხვევაში.<sup>176</sup> იგივე აზრია გატარებული ქართულ

---

<sup>173</sup> აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში არასწორად განმარტავს: „ზიანის დადგომის აღბათობა შეიძლება გამომდინარეობდეს, როგორც უშუალოდ საქმის მასალებიდან, ისე მოპასუხის მითითებით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოპასუხე, სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურება“ - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე N ას-832-884-2011.

<sup>174</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 351.

<sup>175</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 351.

<sup>176</sup> Konzen H. Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Studien zur Wechselwirkung von Zivil- und Prozeßrecht bei der Bewertung und den Rechtsfolgen prozeßerheblichen Parteiverhaltens. Berlin: Duncker & Humblot, 1976, გვ. 270.

იურიდიულ ლიტერატურაშიც.<sup>177</sup> შედარებისათვის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალშიც არ მოიპოვება საპროცესო უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულების დამდგენი ზოგადი ნორმა, რის გამოც გერმანულ დოქტრინაში გვხვდება აზრი, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 242-ე პარაგრაფი<sup>178</sup> (რომლის ანალოგიურია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლი<sup>179</sup>) გერმანიის საპროცესო სამართალში ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული.<sup>180</sup> კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი ზოგადსამართლებრივი პრინციპია. მართალია იგი საქართველოს კონსტიტუციაში პირდაპირ ნახსენები არ არის, მაგრამ კონსტიტუციის 34-ე მუხლი ფაქტობრივად მას განამტკიცებს.<sup>181</sup> აღნიშნული პრინციპი, თავისი უნივერსალური ხასიათის გამო, საფუძვლად უდევს მთელს მართლწესრიგს, მათ შორის, სამოქალაქო საპროცესო სამართალს. შესაბამისად, ის სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპია და მაშასადამე, დაუშვებელია დარგთაშორისი ანალოგიის წესებით მისი გამოყენება, რამეთუ სამოქალაქო პროცესისთვისაც დამახასიათებელია ეს პრინციპი.<sup>182</sup> გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, უფლების ბოტორად გამოყენების ცხადი ნიშანია ზიანის მიყენების განზრახვა (საპროცესო შიკანისთვის<sup>183</sup> დამახასიათებელი ნიშანი), აგრეთვე უფლების უმიზნოდ, ფუჭად, ან უღირსი მიზნების მისაღწევად განხორციელება.<sup>184</sup>

---

<sup>177</sup> საყვარელიძე ვ. მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021.

<sup>178</sup> Das Bürgerliche Gesetzbuch (BGB), 1900.

<sup>179</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.

<sup>180</sup> Stichelbrock B. Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess. Köln, O. Schmidt Verlag, 2002, გვ. 280; Paulus C.G. Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung und Europäisches Zivilprozessrecht, 6. Auflage. Berlin, Springer, 2016, გვ. 130.

<sup>181</sup> ხუნაშვილი ნ. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში. თბილისი, გამომცემლობა ბონა კაუზა, 2016, გვ. 43.

<sup>182</sup> Baumgärtel G. Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZZP. 1956, გვ. 181; Taruffo M. Abuse of Procedural Rights: Comparative Standards of Procedural. Hague, Kluwer law international, 1999, გვ. 153.

<sup>183</sup> Taruffo M. Abuse of Procedural Rights: Comparative Standards of Procedural. Hague, Kluwer law international, 1999, გვ. 153.

<sup>184</sup> Bundesgerichtshof (BGH) Beschluss, 9.07.2007, II 95/06.

შემხვედრი უზრუნველყოფის განხორციელების საკითხის კეთილსინდისიერების პრინციპის პრიზმაში განხილვისას აუცილებელია მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსება.<sup>185</sup> შემხვედრი უზრუნველყოფის სახით მოსარჩელისათვის მოთხოვნილი თანხა შესაძლოა უმნიშვნელო იყოს ამ სუბიექტისათვის მისი აქტივების გათვალისწინებით, ხოლო მაგალითად ფულად სახსრებზე ყადაღის ფორმით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება შესაძლოა უკიდურესად შემზღვედავი იყოს მეორე სუბიექტისათვის (მოპასუხისათვის), განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს სუბიექტი მეწარმეა/სამეურნეო სუბიექტია. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებამ შესაძლოა მოპასუხის სამეურნეო საქმიანობის ფაქტობრივი პარალიზება გამოიწვიოს. ზოგჯერ, მოსარჩელის მხრიდან შესაძლოა ადგილი ჰქონდეს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას, მაგალითად, ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის მოპოვების მიზნით, ისეთი მოპასუხის აქტივების დაყადაღებით, რომელსაც მცირე წილი აქვს ბაზარზე. საინტერესოა შემდეგი საკითხი: ეკისრება თუ არა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების უპირობოდ გამოყენების ვალდებულება, თუკი მოსარჩელე წარმოადგენს შეგებულ უზრუნველყოფას? ამ შეკითხვაზე პირდაპირ პასუხს კანონი არ იძლევა.

სსსკ-ის 199-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმის დანაწესი შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის დადგენა შეიძლებოდეს მხოლოდ სასამართლოს ინიციატივით ან მოპასუხის შუამდგომლობით. სინამდვილეში კი, არ გამოირიცხება მოსარჩელის მიერ უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენა. ე.ი. მოსარჩელეს შეუძლია არ დაელოდოს სასამართლოს, რომელსაც ყოველთვის შეუძლია მოსარჩელეს თავისი ინიციატივით მოსთხოვოს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა (შეგებულ უზრუნველყოფა). აღნიშნული დასკვნის გამოტანა კანონის გონივრული განმარტებიდან

---

<sup>185</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე N ას-28-25-2017; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე N ას-929-879-2015.

გამომდინარეობს. პრაქტიკაში მოსარჩელები ამას არ ახდენენ, ვინაიდან არ გააჩნიათ უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენის ინტერესი, რამეთუ სასამართლოები ამის გარეშეც უზრუნველყოფენ სარჩელს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დანაწესებისა და სასამართლო პრაქტიკის<sup>186</sup> ანალიზის საფუძველზე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გამოტანა: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე უარის თქმა დასაშვებია, თუნდაც სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის აღმძვრელმა შეგებებული უზრუნველყოფა თავისი ინიციატივით წინასწარ (თავიდანვე) წარადგინოს.

შეგებებული უზრუნველყოფის წარდგენის შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ ევალება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება,<sup>187</sup> რაც ქართული კანონმდებლობის მიერ საკითხის პროგრესული გადაწყვეტაა. საქმე ის არის, რომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, როდესაც მოსარჩელე მიზნად ისახავს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის არაკეთილსინდისიერ გამოყენებას, მის სამეურნეო საქმიანობას (თუნდაც უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების შუამდგომლობასთან ერთად წარადგინოს შემხვედრი უზრუნველყოფა), პრაქტიკულად არავითარი ზიანი არ ადგება, ხოლო თუკი სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის უპირობოდ გამოსაყენებლად საკმარისი იქნებოდა შემხვედრი უზრუნველყოფის წინასწარ დადგენა, სასამართლო იძულებული იქნებოდა სიტყვასიტყვით და უპირობოდ გამოეყენებინა კანონი, რითაც კეთილსინდისიერი მოპასუხე ფაქტობრივად შესაძლოა გაკოტრების ზღვარზე დამდგარიყო. ზემოაღნიშნულის მსგავსი ვალდებულების არარსებობის პირობებში, ქართული კანონმდებლობა სასამართლოს მეტ თავისუფლებას ანიჭებს და მაშინაც კი, როდესაც მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია შემხვედრი უზრუნველყოფა, არ ზღუდავს უზრუნველყოფის გამოყენების საკითხი გადაწყვეტილს

---

<sup>186</sup> სასამართლო პრაქტიკაში ყოველთვის ესმება ხაზი იმას, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება ზღუდავს მოპასუხის უფლებებს, რის გამოც საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული მოპასუხისათვის ზარალის მიყენება.

<sup>187</sup> მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა წარმოადგენს სასამართლოს უფლებას და არა ვალდებულებას - ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 344.

კეთილსინდისიერებისა და მხარეთა ინტერესების დაბალანსების პრინციპის საფუძველზე.

შემხვედრი უზრუნველყოფის არსის სწორი გაგების საწყისი ზარალისა და ზიანის კატეგორიების ურთიერთგამიჯვნაშიც უნდა ვეძიოთ. გარდა ამისა, აღნიშნულ კატეგორიათა გამიჯვნა შესაძლებლობას იძლევა სწორად განისაზღვროს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ფარგლები (მოცულობა) და კრიტერიუმი. კანონში საუბარია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე და არა ზარალის თუ ზიანის წინასწარ ანაზღაურებაზე, რამეთუ უნდა ანაზღაურდეს თუ არა ზარალი, საქმის შედეგზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მოსარჩელისაგან ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მოპასუხეს იმ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აქვს, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.<sup>188</sup> ასეთი მოთხოვნის უფლება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაშიც წარმოიშობა: მოპასუხეს უფლება ექნება მოითხოვოს სარჩელის იმ ნაწილის თანაზომადი ზიანის ანაზღაურება, რომელიც არ დააკმაყოფილა სასამართლომ. თუ მოპასუხე მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფას მოითხოვს თავის სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, რომელიც არ არის ძალაში შესული, აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის წესით და გამოიხატოს მინიმუმ იმ ხარჯებში, რომლებიც ეკისრება მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ.

როგორც აღინიშნა, საპროცესო კოდექსი ადგენს მოსალოდნელი ზარალის და არა ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის შესაძლებლობას, ვინაიდან წინასწარ შეუძლებელია მიყენებული ზარალის მოცულობის განსაზღვრა. ამგვარი ზარალის განსაზღვრა, შეუძლებელთან ერთად, არამართებულიც იქნება, რამეთუ დამდგარ ზარალთან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზეზობრივი

---

<sup>188</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 355.

კავშირის განსაზღვრა რელევანტური შეიძლება იყოს მხოლოდ უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობის შემთხვევაში, რაც სასამართლოს მიერ სარჩელის უარყოფაში ან უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაში გამოიხატება. ასეთი შედეგი კი, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით და მაშასადამე, მას შემდეგ უნდა განისაზღვროს, რაც საქმე საბოლოოდ დამთავრდება. ამიტომ დაუშვებელია მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ოდენობა და კრიტერიუმი, საქმის მიმდინარეობის პროცესში, დამდგარი ზარალის ანაზღაურების სტანდარტით გავზომოთ.

შემთხვევითი არ არის, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში საუბარია მოსალოდნელი ანუ სამომავლო ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფაზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება გამოტანილი იქნეს დასკვნა, რომ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების დაკისრება და დასაკისრებელი ანაზღაურების მოცულობა მხოლოდ სასამართლოს დისკრეციაზეა დამოკიდებული.

ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი იძლევა. მასში არ არის და არც უნდა იყოს ასახული სპეციალური ნორმა (ნორმები), მოპასუხისთვის მიყენებული ზარალის ხასიათის და ანაზღაურების ფარგლების/მოცულობის განსაზღვრის შესახებ. დამდგარი ზარალის ხასიათი და მოცულობა/ოდენობა წინასწარ ვერ დამტკიცდება.<sup>189</sup> მისი დამტკიცება შესაბამისი საერთო წესით უნდა განხორციელდეს საქმის დამთავრების შემდეგ და არა სარჩელის უზრუნველყოფის სტადიაზე, ან შებრუნებული, შემხვედრი უზრუნველყოფის მოთხოვნის სტადიაზე. აქედან გამომდინარე, მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისა და მისი მოსარჩელისათვის დაკისრებისას არ

---

<sup>189</sup> მაგალითისათვის, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხემ სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს, მასვე ეკისრება დამდგარი ზიანის და მისი ოდენობის მტკიცების ტვირთი - ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 355.

იქნება მართებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლთან სისტემურ კავშირში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე - 415-ე მუხლების გამოყენება.

სსსკ-ის 199-ე მუხლის შინაარსის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ იგულისხმება უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა სსსკ-ის 272-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში.

ამავდროულად, სამოქალაქო სამართალწარმოებაში დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორუფლებიანობის პრინციპების მოქმედებიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესი საქმის შეწყვეტის შემთხვევაშიც უნდა იქნეს გამოყენებული. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას განაპირობებს მოსარჩელის მიერ არამართლზომიერად გამოვლენილი ნება, სარჩელის უსაფუძვლოდ აღძვრასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება ზარალს და არა ზიანს, რომელთაც ხშირად არ მიჯნავენ ერთიმეორისაგან, ზარალში არ იგულისხმება უფლების დროებით შეზღუდვით გამოწვეული ზარალი, ვინაიდან უზრუნველყოფის ღონისძიების დანიშნულება თავისთავად უფლების დროებითი შეზღუდვაა.<sup>190</sup> მოსალოდნელ ზარალში იგულისხმება სავარაუდო როგორც ფაქტობრივი ხარჯები (ადვოკატის ხარჯი, საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები), ისე მიუღებელი შემოსავალიც. ზიანის ცნება მოიცავს მხოლოდ ფაქტობრივ დანაკარგს.<sup>191</sup> ვერ დავეთანხმებით ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმადაც, ქართულ კანონმდებლობაში, კონკრეტულად, სამოქალაქო კოდექსში ზარალი და ზიანი ერთი შინაარსის გამომხატველი ცნებებია.<sup>192</sup>

<sup>190</sup> თითბერიძე გ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი. თბილისი, გამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2017, გვ. 81.

<sup>191</sup> სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2016, გვ; 166.

<sup>192</sup> ზოიძე ბ. ქართული სამოქალაქო კოდექსის ენა. ადამიანი და კონსტიტუცია (3), 2003, გვ. 58.



ამრიგად, ზარალი უფრო ფართო ცნებაა და შემთხვევითი არ არის, რომ საპროცესო კანონმდებლობა აქცენტს აკეთებს ზარალის და თანაც, მხოლოდ მოსალოდნელი ზარალის კატეგორიაზე. ამიტომ, როდესაც დადებითად წყდება მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის საკითხი, დაუშვებელია ზარალის ცნებისათვის იმგვარი შინაარსის მიცემა და ისეთი გარანტიის მოთხოვნა მოსარჩელისათვის, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვება მას და შეუძლებელს გახდის გარანტიის წარდგენას მოსარჩელის მიერ, რამეთუ ასეთ შემთხვევაში გაუქმებული იქნება უზრუნველყოფის ღონისძიება, რითიც ის დაკარგავს პრაქტიკულ მნიშვნელობას.

თავის მხრივ, ზარალის ანაზღაურების შესახებ სარჩელის აღძვრის ეტაპზე მოპასუხის ინტერესების სრულ დაკმაყოფილებაზე<sup>193</sup> გავლენას ვერ მოახდენს მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ფარგლები. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მოპასუხეს აუნაზღაურდება სრული ზარალი, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით, რომლის დადგომასაც დაამტკიცებს და არა მხოლოდ საპროცესო უზრუნველყოფის ფარგლებში დაწესებული თანხა. მითუმეტეს, არა მხოლოდ თანხით, არამედ სხვა სახითაც ხორციელდება საპროცესო უზრუნველყოფა.

ზარალის ცნება რომ ზიანის ცნების ტოლფასი არ არის, შემდეგი ასპექტიდანაც ვლინდება: სარჩელის უზრუნველყოფა მიიღება სასამართლოს განჩინებით.<sup>194</sup> მხარეები ერთმანეთთან საპროცესო ურთიერთობაში არ იმყოფებიან. უფრო რომ დავაზუსტოთ, საპროცესო ურთიერთობა არ წარმოიშობა მხარეებს შორის. მხარეები ერთმანეთთან მხოლოდ მატერიალურ ურთიერთობაში იმყოფებიან. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება ადასტურებს საპროცესო ურთიერთობის წარმოშობას მოსარჩელესა და სასამართლოს შორის. მაშასადამე, სასამართლო განჩინების მიღება ვერავითარ შემთხვევაში ვერ წარმოშობს მოპასუხის ზარალს, რომელიც მოსარჩელის ქმედებით დამდგარად შეიძლება ჩაითვალოს, რამეთუ მხარეები ასეთ დროს ერთმანეთთან

<sup>193</sup> რაშიც იგულისხმება ზიანის სრული ანაზღაურება.

<sup>194</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 194.

საპროცესო ურთიერთობაში არ იმყოფებიან. მატერიალურ სამართალში ზარალი ან ზიანი შეიძლება წარმოშვას ხელშეკრულების დარღვევამ ან დელიქტმა.<sup>195</sup> ნებისმიერ შემთხვევაში ზარალი/ზიანი მოვალის მოქმედებამ უნდა გამოიწვიოს. სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების სახით სასამართლო აქტის მიღება კი, არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის ზიანის მიყენებად.

მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მექანიზმს ამა თუ იმ ფორმით ყველა ქვეყნის კანონმდებლობა აწესებს. შედარებისათვის, გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 945-ე პარაგრაფი, მსგავსად ქართული კანონმდებლობისა, მოიცავს ზარალის ანაზღაურების ისეთ შემთხვევებს, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება დაუსაბუთებელი აღმოჩნდება ან მომავალში გაუქმდება. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში განმარტავს, რომ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფისას საპროცესო კოდექსის 945-ე პარაგრაფი წარმოშობს სწორედ რისკთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას იმ პირისათვის, ვინც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით მიმართა სასამართლოს.<sup>196</sup> გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს განსაზღვრებით, ზიანის დადგომა სამართალდარღვევის შედეგია, რა დროსაც სახეზეა პირის ბრალეულობა, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების სტადიაზე კი, ბრალეულობის დამტკიცება გამართლებული ვერ იქნება.<sup>197</sup> აღნიშნული კანონის დებულება ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნი პირისაგან მხოლოდ მოსალოდნელი ზარალის რისკის აღების ვალდებულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მომთხოვნმა უნდა უზრუნველყოს იმ ქმედებების რისკი, რომელიც შემდგომში შესაძლოა გაუმართლებელი აღმოჩნდეს.<sup>198</sup>

---

<sup>195</sup> ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, წიგნი I. თბილისი, 2017, გვ. 43.

<sup>196</sup> Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 13.10.2016 - IX ZR 149/15.

<sup>197</sup> Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 21.12.2005 - X ZR 72/04.

<sup>198</sup> Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 02.11.1995 - IX ZR 141/94.

გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მოსარჩელისათვის დასაკისრებლად საკმარისია მხოლოდ იმის მტკიცება, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების აღსრულებამ შესაძლოა/სავარაუდოა მოპასუხეს მიაყენოს ზარალი<sup>199</sup> (რა დროსაც მოპასუხემ თავისი უფლება ბოროტად არ უნდა გამოიყენოს), აღნიშნული არ ეხება იმ სამომავლო ზარალის მტკიცების ტვირთს, რომელსაც შემდგომში გამოიწვევს აგვარი ღონისძიება.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა აქცენტს აკეთებს უკვე წარმოქმნილ ზარალზე და განმარტავს, რომ მოვალეს, რომლის მიმართაც იქნა მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, შეუძლია მოითხოვოს აღსრულების ზომების პროპორციული ღონისძიებების გამოყენება.<sup>200</sup> მას შეუძლია სასამართლოს წარუდგინოს მოთხოვნა, რათა მოსარჩელეს დაეკისროს მისთვის ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულება უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაუმართლებელი დამცავი ღონისძიებით მოპასუხეს მიადგება ზიანი, მოსარჩელეს დაევალება აღნიშნული ზიანის გამოსწორება.<sup>201</sup>

ინგლისის საპროცესო სამართლის მიხედვით, როდესაც მიიღება დროებითი ბრძანება<sup>202</sup> (სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება), პირს, რომელიც მიმართავს სასამართლოს, მოეთხოვება კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულებაც, თუ მოგვიანებით სასამართლო დაადგენს, რომ ღონისძიება არასწორად გაიცა და ამით მოპასუხე დაზარალდა.<sup>203</sup> ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ კომპენსაციის ანაზღაურების ვალდებულება გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენას უკვე დამდგარ ზიანსა და გაუმართლებელი სარჩელის

---

<sup>199</sup> Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 10.07.2014 - I 249/12.

<sup>200</sup> Cour de cassation, civile, Chambre civile, 15 mai 2014, pourvoi N 13-16016, BICC N 809 du 15 octobre 2014 et Legifrance.

<sup>201</sup> Cour de cassation, civile, Chambre civile, 29 janvier 2004, BICC nN 596 du 15 avril 2004.

<sup>202</sup> Practise Direction 25A – Interim Injunctions, Para. 5.1. Ministry of Justice. [https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd\\_part25a](https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd_part25a) [30.05.24].

<sup>203</sup> The Court of Appeal, Hunt v Ubhi [2023] EWCA Civ 417.

უზრუნველყოფის ღონისძიებას შორის.<sup>204</sup> ინგლისის სამართალში ზემოაღნიშნული კომპენსაციის წესი უფრო პრევენციულ ხასიათს ატარებს, რათა მოსარჩელემ არ აღძრას გაუმართლებელი სარჩელი, ან ბოროტად არ გაოიყენოს დროებითი ბრძანება მოპასუხის წინააღმდეგ.

### 3.3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ჩანაცვლების ან უზრუნველყოფის საგნის შეცვლის უფლება

კანონი დასაშვებად მიიჩნევს მხარეთა თხოვნით, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლას, ან უზრუნველყოფის საგნის შეცვლას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხის განხილვა (გადაწყვეტა) დასაშვებია ნებისმიერ სტადიაზე (საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე). სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს შეუწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში საკითხის განხილვის დროისა და სხდომის ადგილის შესახებ ეცნობებათ მხარეებს, თუმცა მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს აღნიშნული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.<sup>205</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორით შეცვლა აუცილებელი და დასაშვები უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუ თავდაპირველად შერჩეული უზრუნველყოფის სახე უსაფუძვლოდ ზღუდავს მოპასუხის უფლებებს. ერთ-ერთ საქმეზე სსსკ-ის 196-ე მუხლის დანაწესის გამოყენების კრიტერიუმად მიჩნეულ იქნა

<sup>204</sup> The Court of Appeal, SCF Tankers Ltd v Privalov & ors [2018] 1 WLR 5623.

<sup>205</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 196.

მოპასუხის ინტერესებსა და იმ პირის ინტერესებს შორის დისპროპორციულობა, ვის სასარგებლოდაც დადგინდა უზრუნველყოფის ღონისძიება.<sup>206</sup>

თავის მხრივ, მოსარჩელესაც შეუძლია დააყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის საკითხი იმ შემთხვევაში, როცა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომელიც სულ პირველად (თავდაპირველად) განსაზღვრა სასამართლომ, საკმარისი არ არის ან კიდევ გაუმართლებელია. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როცა დაყადაღებულმა ქონებამ დაკარგა პირვანდელი ღირებულება და ამიტომ ეს ქონება ვეღარ შეასრულებს ძირითად დანიშნულებას, რამეთუ ის ვეღარ იქნება შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულების გარანტია. ამასთან, კანონში საუბარია როგორც უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორეთი შეცვლაზე, ისე ერთი საგნის მეორეთი შეცვლაზე. მაგალითად, მოვალე მოითხოვს ერთი დაყადაღებული ქონების ნაცვლად ყადაღის გამოყენებას სხვა ქონებაზე. ეს შესაძლებელია მხოლოდ მოსარჩელის თანხმობით.

საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლში სარჩელის უზრუნველყოფის განსაკუთრებული სახეა გათვალისწინებული. მასში აღნიშნულია, რომ ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ სარჩელის უზრუნველყოფის დროს მოპასუხეს შეუძლია მიღებულ უზრუნველყოფის ღონისძიებათა ნაცვლად მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე. იმდენად, რამდენადაც კანონში საუბარია მოპასუხის უფლებაზე და არა ვალდებულებაზე, სასამართლოს არა აქვს უფლება დაავალდებულოს მოპასუხე, რომ მან მოთხოვნილი თანხა შეიტანოს სასამართლოს დეპოზიტზე (სადეპოზიტო ანგარიშზე). თუმცა, თუ მოპასუხე ამ საფუძვლით მოითხოვს დაყადაღებული ქონების გამოთავისუფლებას, მან თანხა

---

<sup>206</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე N ას-28-25-2017.

წინასწარ უნდა განათავსოს დეპოზიტზე. არ არის საკმარისი მოპასუხემ მხოლოდ თანხის შეტანის შესაძლებლობაზე მითითებით დაასაბუთოს თავისი შუამდგომლობა.<sup>207</sup>

საინტერესოა შემდეგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა: რამდენად სწორი იქნება შეგებებული ფულადი უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის/დავის საგანი ემთხვევა უზრუნველყოფილ ქონებას? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ქონების ნატურით მიკუთვნების შესახებ სარჩელის აღძვრისას, მოსარჩელე, როგორც წესი, ითხოვს აღნიშნული ქონების დაყადაღებას, რა დროსაც ერთმანეთს ემთხვევა სარჩელისა და ყადაღის საგანი. ცხადია, ფულის განთავსება სასამართლოს სადეპოზიტო ანგარიშზე, ქონების ნატურით მიკუთვნების შესახებ სარჩელზე შესაძლოა იყოს და არის კიდევ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება (სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლები),<sup>208</sup> მაგრამ იგი წარმოადგენს მხოლოდ მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების საპროცესო საშუალებას. სსსკ-ის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილი კი, გულისხმობს უზრუნველყოფის ისეთ ღონისძიებას, რომლითაც ხდება არა მოპასუხის, არამედ მოსარჩელის დაზღვევა ზარალისაგან. თანაც, ფულის დეპოზიტზე განთავსებით ხორციელდება უზრუნველყოფის საგნის გამოთავისუფლება, რაც დაუშვებელია ქონების ნატურით მიკუთვნებისას, ვინაიდან მოსარჩელის ინტერესი მიმართულია აღნიშნულ ქონებაზე, რომელმაც სამომავლოდ შესაძლოა აღარ იარსებოს მასზე გამოყენებული უზრუნველყოფის გაუქმების შემთხვევაში, რამეთუ არაკეთილსინდისიერმა მოპასუხემ შესაძლოა განკარგოს იგი.

---

<sup>207</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე N 498-478-2016.

<sup>208</sup> საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის მომწესრიგებელი მოცემული ნორმების არსი დეტალურად არის კომენტირებული ნაშრომში - ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. წიგნი 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ. 340-350 - რომელშიც აღნიშნულია, რომ საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების საჭიროება მარტოდენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას როდი წარმოიშობა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სსსკ-ის 57-ე მუხლი ფართო მნიშვნელობისაა ...; Zöller R. Zivilprozessordnung, 33. Auflage. Dr. Otto Schmidt Verlag, 2020, §108, 109.

აღნიშნული ერთდაერთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. კერძოდ, თუკი ამაზე თანახმა იქნება მოსარჩელე. ასეთი დასკვნის გამოტანას განაპირობებს დისპოზიციურობის პრინციპის მოქმედება სამოქალაქო პროცესში. ამიტომ სასამართლომ უნდა გამოარკვიოს მოსარჩელის პოზიცია.

აქედან გამომდინარე, ფულადი ხასიათის შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენება უფრო რელევანტურია იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გამოყენებულია ფულის გადახდევინების შესახებ სარჩელთან დაკავშირებით. მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია ერთმანეთს ემთხვეოდეს სარჩელის (და არა სარჩელის უზრუნველყოფის) საგანი და შემხვედრი უზრუნველყოფის გამოყენების (შეთავაზების) შესახებ შუამდგომლობის საგანი.

უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორით შეცვლის საფუძველია იმ გარემოებათა შეცვლა, რომელთა არსებობაც, თავის დროზე, საფუძველად დაედო უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. კერძოდ, უზრუნველყოფის ერთი ღონისძიების მეორით შეცვლა იმ შემთხვევაში ხორციელდება, როდესაც თავდაპირველად (უზრუნველყოფის შეცვლამდე) დადგენილი უზრუნველყოფის ღონისძიება ვეღარ ასრულებს თავის მიზანს - ვეღარ იცავს მოსარჩელის უფლებებს და ვეღარ ხდის გარანტირებულს გადაწყვეტილების აღსრულებას ან როდესაც აღნიშნული ღონისძიება გაუმართლებლად ლახავს მოპასუხის უფლებებს. მაშასადამე, უზრუნველყოფის ღონისძიების შეცვლის საკითხი შესაძლოა ნებისმიერმა მხარემ დააყენოს. როგორც აღნიშნული საკითხის, ისე ზოგადად სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების განხილვის წესი არ ითვალისწინებს და არ გულისხმობს აღნიშნული დანაწესების თვითნებურად გამოყენების შესაძლებლობას. ამ დანაწესთა მიზანია სასამართლოსადმი მიმართვის უფლების (უფლების სასამართლო წესით დაცვის უფლების) განხორციელების პირობების შექმნა.

სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება უქმდება, წყდება, მაგრამ უზრუნველყოფის ღონისძიება ძალას ინარჩუნებს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე. სარჩელის დაკმაყოფილებისას კი, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შენარჩუნებულია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

დასახელებული დანაწესის არსიდან გამომდინარე, სასამართლო ვალდებულია სარჩელის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიება გააუქმოს, როდესაც მოისპობა უზრუნველყოფის ამ ღონისძიების შენარჩუნების აუცილებლობა ანდა ზოგადად/საერთოდ სარჩელის უზრუნველყოფის აუცილებლობა. საკითხის ამგვარ გადაწყვეტას განაპირობებს უზრუნველყოფის გამოყენების მიზანი და ის, რომ საქმის წარმოების პროცესში შესაძლოა შეიცვალოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძვლად თავის დროზე გამოყენებული გარემოებები.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის საგნის შეცვლას, ამ მიზნით მოპასუხეს შეუძლია სასამართლოს სარჩელის ფასის ტოლფასი სხვა ქონება შესთავაზოს.<sup>209</sup>

სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით გამოტანილი ნებისმიერი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. აღნიშნული წესი საქმის მონაწილეთა უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებაზე შეტანილი საჩივარი არ აჩერებს განჩინების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან ერთი ღონისძიების მეორით შეცვლის თუ სარჩელის საგნის შეცვლის განჩინებაზე საჩივრის შეტანა აჩერებს სასამართლო განჩინების აღსრულებას.

---

<sup>209</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმეზე N 2/21251-20.



### 3.4. საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის იურიდიული ბუნება

საპროცესო უზრუნველყოფის მექანიზმი ერთ-ერთ საპროცესო გარანტიად უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც სრულიად თავსდება შეჯიბრებითობის პრინციპით ნაგულისხმებ და თანასწორობის საფუძველზე დაწესებულ გარანტიებში, რამეთუ, აღნიშნული საპროცესო გარანტიების გამოყენების შესაძლებლობა ორივე მხარის უფლების უზრუნველყოფის არსენალში მოაზრება. სწორედ ასეთი ფართო გაგებით არის გაანალიზებული კვლევაშიც საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტი. მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის უზრუნველსაყოფად მისი გამოყენება საპროცესო უზრუნველყოფის მექანიზმის ამოქმედების მხოლოდ ერთ-ერთ კერძო შემთხვევად თუ შეიძლება ჩაითვალოს.<sup>210</sup> თავის მხრივ, შეჯიბრებითობის პრინციპი ეფუძნება მხარეთა თანაბარ შესაძლებლობას, აღიჭურვონ სათანადო საპროცესო ინსტრუმენტებით და გამოიყენონ ისინი თავიანთი ინტერესების შესაბამისად.<sup>211</sup>

შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში მხარეს უნდა ჰქონდეს საქმისწარმოებაზე სამართლებრივი გავლენის მოხდენის და საკუთარი ინტერესების დაცვის გონივრული შესაძლებლობა, რომელიც არ აყენებს მას მოწინააღმდეგე მხარესთან შედარებით არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში.<sup>212</sup> მხარეთა შორის მითითებული ბალანსი მოიცავს სამოქალაქო სამართლის პროცესში საპროცესო მოქმედებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ თანასწორობას საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, უფრო კონკრეტულად კი, საპროცესო უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების შესახებ

<sup>210</sup> მისი გამოყენების სხვადასხვა შემთხვევები გაანალიზებულია ნაშრომის 1.2, 3.2 და 3.5 ქვეთავებში.

<sup>211</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N 1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

<sup>212</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N 1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

გადაწყვეტილების სასამართლოს ჩაურევლად მიღებასა და სამართალწარმოებაში მონაწილეობას დამოუკიდებლად განსაზღვრულ სტრატეგიაზე დაყრდნობით.

საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსი და დანიშნულება მოწესრიგებულია სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლებით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, მან ასეთი უზრუნველყოფა უნდა განახორციელოს ფულადი თანხის ან ფასიანი ქაღალდების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე შეტანის გზით, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

დასახელებული ნორმა ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტად ცალსახად მიუთითებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შედეგად მოპასუხისთვის მიყენებული ან მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურებაზე. მოპასუხისთვის აღნიშნული უფლებრივი ინსტიტუტი გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიადგეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე. სადავო ნორმის პირველი ნაწილი კი ცალსახად მიუთითებს, რომ მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს

შეიძლება მიადგეს ზიანი, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ ასეთი მოთხოვნით. მან, იმავდროულად, უნდა შესთავაზოს სასამართლოს გარანტია, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს ამ საპროცესო მოქმედების შესრულებით, მაგ., სარჩელის უზრუნველყოფით. მხარე, რომელიც მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, ვალდებულია, მიუთითოს, თუ რას სთავაზობს იგი სასამართლოს მოწინააღმდეგე მხარის იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ უკანასკნელმა შესაძლებელია, განიცადოს. თუ მხარე ამ მოვალეობას არ ასრულებს, მისი მოთხოვნა საპროცესო მოქმედების შესრულებაზე სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.<sup>213</sup>

შესაბამისად, აშკარაა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი საპროცესო უზრუნველყოფას განსაზღვრავს როგორც სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების აღსრულების მექანიზმს. აუცილებელია, რომ სადავო ნორმა სისტემურად იქნეს განმარტებული მის მეორე ნაწილთან ერთად, რომლის თანახმად, სასამართლომ შეიძლება შეღავათიანი პირობებით დაუშვას უზრუნველყოფის სხვა საშუალება, კერძოდ, რომელიმე საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული თავდებობა. სადავო ნორმის შემადგენლობა ასეთია: თუ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეს დაეკისრა იმ ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რომელიც შეიძლება განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით, კანონმდებელი ბლანკეტურად განსაზღვრავს სამ სამართლებრივ მოცემულობას, რომლის არსებობის ფარგლებში შესაძლოა გამოყენებული იქნეს საპროცესო უზრუნველყოფა: 1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან; 2. სასამართლოს მიერ შეღავათიანი პირობებით დაშვებული სხვა საშუალება, კერძოდ, რომელიმე საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული გარანტია და; 3. ფულადი თანხა ან ფასიანი ქაღალდები, რომლებიც მხარემ უნდა შეიტანოს

---

<sup>213</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განჩინება საქმეზე N ა-4265-ბ-15-2015.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, მისაღებია გარანტიის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი არ ითვალისწინებს გარდა ამ მუხლში ჩამოთვლილი საშუალებებისა, უზრუნველყოფის ისეთ საშუალებას, როგორცაა ქონება (სხვა უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც შესაძლოა დაიტვირთოს იპოთეკის ან/და გირავნობის ვალდებულებით. შესაბამისად, სადავო ნორმას გააჩნია ის გამომრიცხველი ნორმატიული შინაარსი, რომლითაც შეზღუდულია მოპასუხე მხარე და სასამართლო, თავისი ინიციატივის ფარგლებში, საპროცესო უზრუნველყოფის საშუალების ობიექტად გამოიყენონ სადავო ნორმით გათვალისწინებული საშუალებების მიღმა მოსარჩელის სხვა ქონება, რომელიც შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკის ან/და გირავნობის ვალდებულებით.

ერთ-ერთი საკონსტიტუციო სარჩელით სადავო გახდა საპროცესო უზრუნველყოფის მომწესრიგებელ დებულებათა ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც არ ითვალისწინებს საპროცესო უზრუნველყოფის სახით იპოთეკის ან გირავნობის, როგორც სანივთო უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებას.<sup>214</sup> მოცემულ სარჩელზე სსსკ-ის 57-ე მუხლთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა: იპოთეკა დაუშვებელია გამოყენებული იქნეს საპროცესო უზრუნველყოფის გარანტიად. იპოთეკა თავისი ბუნებით არის სახელშეკრულებო ურთიერთობის სფერო, რომელშიც მონაწილეობენ მხარეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დამოუკიდებლად იღებენ ვალდებულებებსა და კისრულობენ პასუხისმგებლობებს იმ რისკებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, რომლებიც ქონების სარეალიზაციოდ გატანას შეიძლება მოჰყვეს. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ იპოთეკის, როგორც საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობა კანონმდებლობაში იმპერატიულად

---

<sup>214</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე N1/3/1377.

იარსებებდა და ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება დამოკიდებული იქნებოდა სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მისაღებ გადაწყვეტილებაზე (ისევე, როგორც დღეს მოქმედი სადავო ნორმის თანახმად, არსებობს ფულადი თანხის/ფასიანი ქაღალდების, მხარეთა შეთანხმებისა თუ შეღავათიანი პირობებით საბანკო გარანტიის გამოყენების შესაძლებლობა), აღნიშნული შეეწინააღმდეგებოდა კერძო-სამართლებრივი ურთიერთობების ფუძემდებლურ - ნების ავტონომიის პრინციპს და მისი უგულვებელყოფით კანონმდებელი საბოლოოდ შექმნიდა ისეთ ქაოსურ სამართლებრივ გარემოს, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა სამართლებრივი და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფას. აღნიშნულის მოწესრიგება კი მნიშვნელოვან სამართლებრივ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საშუალებათა გამოყენება წარმოადგენს ამ ნორმის ლეგიტიმური მიზნისა და სამოქალაქო საქმეზე მიმდინარე დავის მხარეთა შორის გონივრული ბალანსის დაცვის სამართლიან გზას, კერძოდ, ემსახურება მხარეთა პროცესუალური თანასწორუფლებიანობისა და გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფას.

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების არქიტექტურის გათვალისწინებით, საპროცესო უზრუნველყოფის მექანიზმის მიზანია მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა.

სსსკ-ის 57-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი არ ზღუდავს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებას, არამედ ჩარევას ახდენს გადაწყვეტილების ეფექტიანი აღსრულების უზრუნველყოფისა და მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის უფლებრივ კომპონენტებში.

### 3.5. სასამართლო აქტის აღსრულების შეჩერება მისი გასაჩივრებისას უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენის პირობით

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია როგორც ძალაში შეუსვლელი გადაწყვეტილებების/სასამართლო აქტების, ისე ძალაში შესული სასამართლო აქტების გასაჩივრება. კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო აქტების გასაჩივრება ერთდროულად ორ მიზანს ისახავს: გასაჩივრებული აქტის კანონიერი ძალის შეჩერებას - ცხადია, იგულისხმება, რომ საჩივარი ვადაში არის შეტანილი და საქმეზე დამდგარი შედეგის შეცვლას ზემდგომი სასამართლოს მეშვეობით. რაც შეეხება კანონიერ ძალაში შესული აქტის გასაჩივრებას, მისი მიზანი უწინარეს ყოვლისა არის ფაქტობრივი, არასამართლებრივი ხასიათის შეცდომების გამოსწორება. იშვიათ შემთხვევაში, საქმის განახლებას შეიძლება საფუძვლად დაედოს სამართლებრივი ხასიათის შეცდომაც. ეს ხდება ცალკეულ შემთხვევაში. ერთ-ერთი ასეთია ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის დარღვევის დადგენა, როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება აღნიშნულ დარღვევას ეფუძნება. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მარტოდენ ძალაში შესული გადაწყვეტილებების აღსრულებას როდი უშვებს. აღსრულება გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია ძალაში შეუსვლელი აქტების მიმართაც დადგინდეს. არამართლობიერმა აღსრულებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს აღსრულების მოვალეს. ამ უკანასკნელს უნდა გააჩნდეს არამართლობიერი აღსრულების თავიდან აცილების მექანიზმი. მეორე მხრივ, აღსრულების შეფერხებით შეილახება კრედიტორის ინტერესები. საჭიროა ამ ორი ინტერესის დაბალანსება. მნიშვნელოვანია გამოკვლეული იქნეს აღნიშნული პრობლემა, ის, თუ როგორ არის დაბალანსებული მხარეთა ინტერესები სასამართლო აქტების გასაჩივრებისას აღსრულების შეჩერების და უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების ასპექტით.

ამ პრობლემის ანალიზი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ სასამართლო პრაქტიკაში არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი მიდგომა უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების საკითხისადმი.

კვლევის საგანთან დაკავშირებით შესაბამისი დანაწესები გვხვდება როგორც კერძო საჩივრის, ისე აპელაციის, კასაციის და საქმის განახლების მომწესრიგებელ ნორმებში (სსსკ-ის 418-ე, 375-ე, 402-ე და 432-ე მუხლები). უზრუნველყოფის გარანტიებზე კი საუბარია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე და 58-ე მუხლებში.

კანონიერ ძალაში შეუსვლელი სასამართლო აქტის გასაჩივრება სამართლებრივი შედეგის სახით ყოველთვის იწვევს მისი კანონიერი ძალის შეჩერებას, მაგრამ ყოველთვის როდი იწვევს ასეთი აქტის აღსრულების შეჩერებას. მაშასადამე, კანონიერი ძალის შეჩერება უნდა განვასხვავოთ აღსრულების შეჩერებისაგან. სასამართლო აქტის კანონიერი ძალის შეჩერებით, აღსრულების დაწყების პროცესიც სამომავლოდ გადაიწვეს, რამეთუ სსსკ-ის 267-ე მუხლის შესაბამისად, აღსრულება დასაშვებია სასამართლო აქტის მხოლოდ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მაგრამ ეს არ ეხება შემთხვევებს, როცა გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.<sup>215</sup> გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შეჩერების ფარგლები განისაზღვრება სააპელაციო საჩივრის/კერძო საჩივრის თუ საჩივრის ფარგლებით.

დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების აღსრულება, როგორც წესი, არ შეჩერდება. დაუყოვნებლივ აღსრულება არ დაიშვება მხოლოდ მაშინ, როდესაც დადასტურდება, რომ არსებობს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევაზე უარის თქმის და მაშასადამე, აღსრულების შეჩერების მნიშვნელოვანი საფუძველი. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც მოსალოდნელია საქმის შედეგის შეცვლა. ასეთ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს (ზოგადად, ზემდგომ სასამართლოს) შეუძლია აღსასრულებლად მიქცეული აქტების მხოლოდ დროებითი შეჩერება და ასეთ გადაწყვეტილებათა

---

<sup>215</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - 195-ე, 268-ე, 270-ე მუხლები.

აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმება.<sup>216</sup> ამასთან, არსებული წესის (სსსკ-ის 375-ე და 402-ე მუხლები - შესაბამისად, 418-ე მუხლიც) თანახმად, აღნიშნულის განხორციელება ზემდგომ სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოფის შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

საინტერესოა, დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ყველა გადაწყვეტილების მიმართ არის თუ არა საჭირო ამგვარი გარანტიების გამოყენება მათი აღსრულების პრევენციისთვის? ანალიზს მოითხოვს ის საკითხიც, თუ რას გულისხმობს კანონი „გარანტიების გამოყენებაში“ - სასამართლოს ინიციატივით მათ გამოყენებას თუ მხარის მიერ გარანტიების შეთავაზებას? საინტერესოა, რა იგულისხმება დასახელებული ღონისძიებების გაუქმებაში? ან შეუძლია თუ არა სასამართლოს საჩივრის ფარგლებში გააუქმოს ეს ღონისძიებები? საჩივრის ფარგლებში შეუძლებელია სასამართლომ იმსჯელოს აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმების შესახებ. მითუმეტეს, ისინი აღსრულების შეჩერებამდე კანონიერად განხორციელებულად ითვლებიან. თუკი აღსასრულებლად მიქცეული გადაწყვეტილება გაუქმდება, ამის შემდეგ აღმასრულებელი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის 34-ე მუხლის საფუძველზე შეწყვეტს აღსრულებას, თვითონ გააუქმებს აღსრულების ფარგლებში მიღებულ ღონისძიებებს და საქმეს გადასცემს შესაბამის არქივს.<sup>217</sup> აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმება სხვა შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული სარჩელის საფუძველზე.

სსსკ-ის 375-ე და 402-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები არ გულისხმობენ არც სარჩელის უზრუნველყოფის მსგავს ღონისძიებას, რამეთუ სარჩელი დაკმაყოფილებულია და გადაწყვეტილება მოსარჩელის სასარგებლოდ მიქცეულია

---

<sup>216</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 643, 712-713.

<sup>217</sup> საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999 - მუხლი 34; ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა დანი, 2018, გვ.18.



დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. თუმცა, აშკარაა, რომ დასახელებულ ნორმებში საუბარია აღსრულების შეჩერებაზე და მაშასადამე, ამით, მოვალის უფლებათა უზრუნველყოფაზე. ხოლო ვინაიდან აღსრულების დაყოვნების გზით მოვალის უფლების უზრუნველყოფა გავლენას ახდენს მოსარჩელის (უფრო სწორად კი, აღსრულების კრედიტორის) უფლებაზე, რომლის სასარგებლოდაც გამოტანილია დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება, გარანტიის მოთხოვნა ფაქტობრივად გულისხმობს მოვალის მიერ საპასუხო უზრუნველყოფის განხორციელების ვალდებულებას. საყურადღებოა, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლი, რომლის შესაბამისადაც, აღსრულების შეჩერების საფუძვლები არ არის ამომწურავი.<sup>218</sup>

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დასახელებულ ნორმებში საუბარია როგორც აღსრულების დროებით შეჩერებაზე, ისე ზოგადად, აღსრულების შეჩერებაზე. სიტყვები: „დროებით შეჩერება“, ნორმაში არასწორად არის გამოყენებული, ვინაიდან აღსრულების შეჩერება, ისევე როგორც პროცესის (საქმის) შეჩერება, შეუძლებელია განისაზღვროს კონკრეტული დროის მონაკვეთით, ან კალენდარული თარიღით, მითუმეტეს, ამავე ნორმის დანაწესის შესაბამისად, აღსრულების შეჩერება დამოკიდებულია გარანტიათა მექანიზმის გამოყენებაზე და მაშასადამე, აღსრულება შეჩერდება დავის არსებითად გადაწყვეტამდე, საქმის დასრულებამდე. თუ საქმე დასრულდება მოვალის სასარგებლოდ, მაშინ აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც გაუქმდება. ამრიგად, აღსრულების დროებითი შეჩერების ტერმინი არავითარი დატვირთვის მატარებელი არ არის შედეგობრივი თვალსაზრისით. ნებისმიერ შემთხვევაში საუბარია აღსრულების შეჩერებაზე, რომელიც გარანტიის მოთხოვნის და გამოყენების საფუძველია, თუმცა გარანტიის წარდგენა/მოთხოვნა წინ უსწრებს აღსრულების შეჩერებას. აღნიშნული წესი შეიძლება შედარებული იქნეს მოსარჩელისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ წესთან. უკანასკნელ

---

<sup>218</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 07 მარტის განჩინება N ბს-727-711(კ-12).

შემთხვევაში მოსარჩელის სასარგებლოდ განხორციელებული სარჩელის უზრუნველყოფა მხოლოდ მაშინ უქმდება, თუ იგი შემხვედრ უზრუნველყოფას არ განახორციელებს (სსსკ-ის 199-ე მუხლი), მაშინ, როდესაც სსსკ-ის 375-ე, 402-ე, 432-ე მუხლების დანაწესების გამოყენების წინაპირობა გარანტიის წინასწარ წარდგენაა.

დაბოლოს, არასწორი იქნებოდა, თუკი აღსრულების გაუქმების ან შეჩერების წესის გამოყენება მოხდებოდა დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმართ. საქმე ის არის, რომ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი ესა თუ ის გადაწყვეტილება სოციალურად ყველაზე მნიშვნელოვან საქმეზე მიიღება. მაგალითად, დაუყოვნებლივ აღსრულებას ექვემდებარება ალიმენტის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებაც, რომელიც მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე ყოველთვის უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. ამიტომ გაუმართლებელი იქნება, თუკი სასამართლო აღსრულებას შეაჩერებს ან გააუქმებს იმ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებიც უპირობოდ ექვემდებარებიან დაუყოვნებლივ აღსრულებას.<sup>219</sup>

ამასთან დაკავშირებით ყურადღება უნდა მიექცეს სსსკ-ის 375-ე და 402-ე მუხლების დანაწესში გამოყენებულ ტერმინს. კერძოდ, ამ ნორმათა თანახმად აღსრულების გაგრძელების საკითხი იმის მიხედვით, იძლევა თუ არა აღსრულების შეჩერების მომთხოვნი პირი „შესაბამის გარანტიებს“. ტერმინი „შესაბამისი გარანტიები“ სწორედ იმის მაუწყებელია, რომ გარანტია აღსასრულებელი მოთხოვნის შესაბამისი უნდა იყოს. ამიტომ, თუკი მოთხოვნა არ საჭიროებს გარანტიების წარდგენას, ვერც ამგვარი გარანტია დაუდგინდება აღსრულების შეჩერების მომთხოვნს. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს სავინდიკაციო სარჩელზე<sup>220</sup> მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც აღსრულდება დაუყოვნებლივ. ასეთ სარჩელებზე მიღებული გადაწყვეტილების

<sup>219</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა - ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმეები.

<sup>220</sup> ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, მეცნიერება, 2003, გვ. 97-98.

აღსრულების შესაჩერებლად არაგონივრული იქნება მოვალეს მოეთხოვოს გარანტიის წარდგენა, რამეთუ ვინდიკაციის განხორციელება არ უკავშირდება ქონებრივი ხასიათის გადასახდელს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ დაუყოვნებლივ აღსასრულებელი სხვა გადაწყვეტილებები უკავშირდებიან ქონებრივ გადასახდელს. სავინდიკაციო სარჩელზე მიღებულ გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივ აღსრულების წესი შემოღებული იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ამავე კოდექსის 375-ე და 402-ე მუხლები კი, არ შეცვლილა. დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულებაზე უარის თქმა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში არის დასაშვები. ასეთი განსაკუთრებული შემთხვევა მოცემულია მაშინ, როდესაც სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, მოსალოდნელია საქმეზე შედეგის შეცვლა და მაშასადამე, აღსრულების შეჩერებით კრედიტორის უფლებები არსებითად არ შეილახება. ხოლო თუ სხვა საქმეზე დადგენილი დაუყოვნებლივ აღსრულება<sup>221</sup>, მაშინ დასაშვებია სსსკ-ის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენება. მაშასადამე, 375-ე მუხლის შინაარსი, ამ ასპექტით, არ შეიძლება განიმარტოს სიტყვასიტყვით, მიესადაგოს დაუყოვნებლივ აღსრულების ყველა შემთხვევას და მაშასადამე, მას უფრო ვიწრო მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

რაც შეეხება გარანტიებს, რომელზეც საუბარია 375-ე და 402-ე მუხლებში, მათში მოიაზრება სსსკ-ის 199-ე მუხლის, 57-ე და 58-ე მუხლების დანაწესების გამოყენება.

აღსასრულებელი ღონისძიებების გაუქმებით, აღსრულების შეჩერებით, ან პირიქით, აღსრულების გაგრძელებით შესაძლოა ზიანი განიცადოს ამათუიმ მხარემ, არსებითად შეილახოს მხარის უფლებები. ამიტომ სასამართლო უფლებამოსილია აღნიშნული ზიანის უზრუნველსაყოფად<sup>222</sup> სათანადო გარანტიების წარმოდგენა მოსთხოვოს იმ მხარეს, რომლის სასარგებლოდაც დროებით უქმდება, ჩერდება ან გრძელდება

<sup>221</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

<sup>222</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - 375-ე მუხლის მე-2 ნაწილში და 402-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებულ უზრუნველყოფაში იგულისხმება სწორედ მოსალოდნელი ზიანის უზრუნველყოფა.

აღსრულება. მამასადამე, უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენება ფართოდ უნდა იქნეს გაგებული, რომელიც უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს მხარის ვალდებულებას, წარადგინოს ამგვარი გარანტიები, ასევე სასამართლოს უფლებას (უფრო კი - ვალდებულებას), თუკი აჩერებს აღსრულებას, გარანტიების წარდგენა მოსთხოვოს იმას, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება აღსრულების შეჩერება. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა სსსკ-ის 57-ე მუხლის დანაწესი, რომელიც აქცენტს მოსარჩელეზე ან მოპასუხეზე კი არ აკეთებს, არამედ, ზოგადად მხარეზე. ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება: „მოცემული და ასევე 58-ე მუხლი ვრცელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ შესრულებულ საპროცესო მოქმედებებზე, სასამართლოს მიერ დადგენილ საპროცესო უზრუნველყოფის საშუალებებზე. საპროცესო უზრუნველყოფის გამოყენების საჭიროება მართოდენ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისას როდი წარმოიშობა. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ სსსკ-ის 57-ე მუხლი ფართო მნიშვნელობისაა და მიუთითებს შესაბამის საპროცესო მოქმედებებზე, რომელთა შესრულებითაც შეიძლება მოწინააღმდეგე მხარემ ზარალი განიცადოს. შესაბამისად, ასეთი საპროცესო მოქმედებები, რომელთა შესრულებამაც შესაძლოა წარმოუშვას ზარალი მოწინააღმდეგე მხარეს, გათვალისწინებულია არა მარტო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავით (სარჩელის უზრუნველყოფა), არამედ აგრეთვე სსსკ-ის 268-ე, 271-ე, 432-ე და სხვა მუხლებით. ამ დანაწესების მიზანია მოწინააღმდეგე/მეორე მხარის მოთხოვნების უზრუნველყოფა და არა სასამართლო ხარჯების გადახდაზე სახელმწიფო ხაზინის/ბიუჯეტის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, უზრუნველყოფის გარანტია შეიძლება დადგინდეს როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის სასარგებლოდ“.<sup>223</sup> დასახელებული მოსაზრება მართებულია, თუმცა უნდა დაზუსტდეს, რომ უზრუნველყოფის გარანტია არა მხოლოდ მოსარჩელის და/ან მოპასუხის

---

<sup>223</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. წიგნი 1, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ. 256.

სასარგებლოდ შეიძლება დადგინდეს. მისი დადგენა დასაშვებია კრედიტორისა და მოვალის მიმართაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამახვილდეს უზრუნველყოფის გარანტიის დამდგენ ნორმაზე, რომელიც ასახულია სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტში. კერძოდ, ეს არის სსსკ-ის 199-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფას.<sup>224</sup> მისი ფორმულირება ზედმეტად გამოიყურება სსსკ-ის 57-ე მუხლის დანაწესის არსებობის პირობებში. ეს უკანასკნელი ისედაც გულისხმობს და უფრო ზუსტადაც ასახავს უზრუნველყოფის ინსტიტუტის არსს და ფართო გარანტიებს აწესებს ორივე მხარისათვის და არა მხოლოდ რომელიმე ერთი სუბიექტისათვის. მისგან განსხვავებით სსსკ-ის 199-ე მუხლის გამოყენება დამოკიდებულია პროცესში მონაწილის სტატუსზე - უზრუნველყოფის გარანტია დგინდება მოპასუხის სასარგებლოდ.<sup>225</sup> მეორე ის, რომ სარჩელის უზრუნველყოფისას დაწესებული მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის გარანტიისაგან განსხვავებით, სასამართლო აქტების გასაჩივრების ეტაპზე გამოყენებული უზრუნველყოფის გარანტიის (და საერთოდ, სსსკ-ის 57-ე მუხლით ნაგულისხმები გარანტიის) დადგენა კი ხდება არამართო პროცესის მხარეთა სასარგებლოდ, არამედ სააღსრულებო წარმოების მონაწილეთა სასარგებლოდ. სააღსრულებო წარმოების მონაწილე მხარე არის კრედიტორი და მოვალე. აღსრულების კრედიტორი და მოვალე შეიძლება სრულებითაც არ ემთხვეოდეს სამოქალაქო პროცესში მონაწილე მოსარჩელესა და მოპასუხეს. ამასთან, სააღსრულებო წარმოება სამოქალაქო პროცესის გაგრძელებაა. აქედან გამომდინარე, სსსკ-ის 57-ე მუხლი, როგორც ფართო

---

<sup>224</sup> ლილუაშვილი თ. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2005, გვ. 220.

<sup>225</sup> ბოელინგი ჰ. ჰანტურია, ლ. სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, ჯისიაი, 2004, გვ. 142; Yeazell S., Schwartz J. Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer, 2019, გვ. 316.

გამოყენების ნორმა, შესაძლოა გამოყენებული იქნეს და გამოიყენება კიდევ სააღსრულებო წარმოების მხარეების მიმართაც.

უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების საჭიროება შეიძლება დადგეს სასამართლო განჩინებათა გასაჩივრების დროსაც. აღნიშნულ საკითხს გარკვეულწილად აწესრიგებს სსსკ-ის 418-ე მუხლი. მართალია მოცემულ ნორმაში საუბარია კერძო საჩივრის შეტანის შედეგებზე, მაგრამ ნორმის დანაწესები თანაბრად ვრცელდება განჩინებაზე შეტანილ საჩივარზეც. მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულდება, თანახმად სსსკ-ის 195-ე მუხლისა. სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების საჩივრით გასაჩივრებისას, უზრუნველყოფის განჩინება ავტომატურად როდი შეჩერდება. მოცემული მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია სასამართლოს. იგულისხმება განჩინების გამომტანი სასამართლო, როცა ცალკეულ შემთხვევაში (როგორც ეს სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრებისას ხდება) სწორედ აღნიშნული სასამართლო მსჯელობს განჩინების კანონიერებაზე.

რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულების შეჩერებას, მოპასუხეს შეუძლია როგორც აღსრულების შეჩერების საკითხის დასმა, ისე უფლება აქვს მოსარჩელისაგან მოითხოვოს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც ცხადია უკავშირდება შესაბამისი გარანტიების გამოყენებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ამოქმედების დასაწყის ეტაპზე თვითონ განჩინების გამომტანი სასამართლო იყო უფლებამოსილი კერძო საჩივრის შეტანისას მის საფუძველზე განეხორციელებინა თავისი განჩინების კორექტირება, თუკი საჩივარს საფუძვლიანად ჩათვლიდა. მოგვიანებით, საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების შედეგად, კერძო საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილი გახდა ზემდგომი სასამართლო. მაშასადამე, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც განჩინების გამომტან სასამართლოს

თვითონ ეძლევა მისი კორექტირების საშუალება, უკავშირდება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არსებულ სხვადასხვა განჩინებას. სხვა შემთხვევებში კი, განჩინებაზე შეტანილ კერძო საჩივარს იხილავს ზემდგომი სასამართლო. სწორედ ზემდგომ სასამართლოს ეგზავნება განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივარი. მაგალითად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება დგინდება განჩინებით, რომელიც ექვემდებარება კერძო საჩივრით გასაჩივრებას. განსახილველი მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადების დანაწესი, ზემდგომ სასამართლოს ანიჭებს გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერების შესაძლებლობას. შესაბამისად, გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, აღსრულების შეჩერების თაობაზე იმსჯელებს ზემდგომი სასამართლო.<sup>226</sup> რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შეჩერების ფორმას, ეს არის განჩინება. სასამართლო/ზემდგომი სასამართლო განჩინებით აჩერებს შესაბამის საპროცესო მოქმედებას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს შესაბამისი გარანტიების გამოყენების საკითხი (სსსკ-ის 420-ე, 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის<sup>227</sup>, 57-ე და 58-ე მუხლების დანაწესები და სხვა ნორმები).<sup>228</sup> საქმე იმაშია, რომ ზემდგომი სასამართლო კერძო საჩივარს იხილავს შესაბამისი ინსტანციისთვის დადგენილი წესების მიხედვით. ამიტომ, მართალია საკუთრივ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 418-ე მუხლი არ ითვალისწინებს ამავე კოდექსის 375-ე და 402-ე მუხლებით დადგენილი წესების პირდაპირ გამოყენებას, მაგრამ ეს არ აბრკოლებს კერძო საჩივრის განმხილველ

---

<sup>226</sup> სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას სასამართლო ადგენს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით და არა განჩინებით, თუმცა სარეზოლუციო ნაწილის ის პუნქტი, რომლითაც დადგინდა დაუყოვნებლივ აღსრულება, საჩივრდება კერძო საჩივრით, ხოლო დანარჩენი პუნქტები, ანუ გადაწყვეტილება - სააპელაციო ან საკასაციო საჩივრით, იმის მიხედვით თუ რომელი სასამართლოს აქტი საჩივრდება.

<sup>227</sup> ამ ნორმაზე აქცენტირება რელევანტურია, რამეთუ უშვებს მიღებული უზრუნველყოფის ნაცვლად დეპოზიტზე თანხის შეტანის შესაძლებლობას.

<sup>228</sup> მაგალითად ისინი, რომლებიც აღსრულების შეჩერების და სააღსრულებო მოქმედებათა გაუქმების შესაძლებლობას ითვალისწინებენ შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

სასამართლოს გარანტიების გამოყენების ან მხარისათვის მათი წარდგენის მოთხოვნის საკითხში.

უზრუნველყოფის გარანტიების გამოყენების საკითხი აქტუალურია სასამართლო აქტის გასაჩივრების საგამონაკლისო მექანიზმის გამოყენების დროსაც, რაშიც იგულისხმება საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა.

საქმის განახლების განცხადების შეტანას კანონმდებელი სასამართლო აქტის გასაჩივრებას უწოდებს, თუმცა ეს არ არის ზუსტი ფორმულირება.<sup>229</sup> სახელდობრ, სსსკ-ის 423-ე მუხლის პირველი ნაწილი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების მოთხოვნით წარდგენილ განცხადებას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჩივრებად მიიჩნევს. ნორმაში ნათქვამია: „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო“. საქმის განახლებისას ხდება არა გასაჩივრება, არამედ საქმის ხელახლა განხილვის საფუძვლების შემოწმება იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც არსებითად განიხილა საქმე, ან რომლის აქტივაც დამთავრდა საქმის საბოლოო განხილვა. საყურადღებოა ისიც, რომ საქმის განახლების მიზნით შეტანილი საპროცესო დოკუმენტი, განცხადებად იწოდება და არა საჩივრად. თუმცა რადგან კანონი იყენებს გასაჩივრების ტერმინს, წინამდებარე ნაშრომშიც ამ სახით არის წარმოდგენილი აღნიშნული აქტების გასაჩივრების მექანიზმი.

საქმის განახლების განცხადების შეტანას არ აქვს აღსრულების შემაჩერებელი ეფექტი.<sup>230</sup> განცხადების შეტანას გააჩნია გადასასინჯ გადაწყვეტილებაზე სამომავლო გავლენის მომხდენი ეფექტი და ისიც, გადაწყვეტილების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელ ნაწილშიც განცხადება გამოიწვევს საქმის გადასინჯვას ფაქტობრივი და სამართლებრივი

<sup>229</sup> ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ., ცეციტიშვილი, მ., ახალაძე, კუბლაშვილი, მ., ქურდაძე, გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ. 256.

<sup>230</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 432; ლილუაშვილი ა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმეების წარმოების განახლება. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010, გვ. 155.



ასპექტით. საქმის განახლების ინსტიტუტი წარმოადგენს სასამართლო აქტის გასაჩივრების რესტრუქციულ მექანიზმს.<sup>231</sup> საქმის განახლების მიზანია მარტოოდენ ის, რომ ფაქტობრივი, არასამართლებრივი და ზოგჯერ კი, სამართლებრივი შეცდომის გამოც, გადაისინჯოს სასამართლო აქტი და საქმე ხელახლა განიხილოს ამ აქტის გამომტანმა სასამართლომ.

თუ გადასასინჯი გადაწყვეტილება ჯერ არ არის აღსრულებული, მაშინ ეს განცხადება ვერ შეაჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულებას. ამასთან, სასამართლოს უფლება აქვს განჩინებით დროებით შეაჩეროს გასაჩივრებული გადაწყვეტილების აღსრულება.<sup>232</sup> გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება (როგორც ნორმაშია „სისრულეში მოყვანა“) ასეთ შემთხვევაში იმაზე იქნება დამოკიდებული, იძლევა თუ არა საქმის წარმოების განახლების მომთხოვნის<sup>233</sup> პირი შესაბამის გარანტიებს (სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლები).

გარანტიების მოთხოვნის საჭიროება განპირობებულია მოსალოდნელი ზიანით, რომელიც შესაძლოა განიცადოს მოწინააღმდეგე მხარემ. ამასთან, მოწინააღმდეგე მხარემ შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებით ყოველთვის როდი შეიძლება განიცადოს ზარალი. მაგალითად, თუკი აღსრულება ხორციელდება და აღსრულების ფარგლებში მოვალის (საქმის განახლების მომთხოვნი პირი) მიმართ უკვე

---

<sup>231</sup> ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ., ცქიტიშვილი, კუბლაშვილი, მ, ქურდაძე, გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (კერძო საჩივარი, აპელაცია, კასაცია, საქმის განახლება), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2024, გვ. 286.

<sup>232</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - 432-ე მუხლი აღსრულების შეჩერებაში, ფართო გაგებით, კრედიტორის სასარგებლოდ ნებისმიერი სააღსრულებო მოქმედების შეჩერებას გულისხმობს. მაგალითად, თუკი მოვალის კუთვნილი ნივთი უკვე გაყიდულია, მაგრამ ამონაგები თანხა ჯერ არ გადასცემია კრედიტორს, შეჩერდება ამონაგები თანხის კრედიტორისათვის გადაცემა.

<sup>233</sup> ნორმაში საუბარია საქმის წარმოების მომთხოვნი პირის მიერ შესაბამისი გარანტიების მიცემაზე. ჯერ ერთი, უფრო მართებული იქნებოდა, თუკი სიტყვები: „იძლევა თუ არა ... გარანტიებს“, შეცვლილიყო სიტყვებით: „წარადგენს თუ არა ... გარანტიებს“. მეორე ის, რომ ნორმაში საუბარი უნდა იყოს არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირის გარანტიებზე, არამედ საქმის წარმოების განახლების მომთხოვნი პირის მიერ გარანტიების წარდგენაზე, რადგან საქმის წარმოების მომთხოვნი არის სააღსრულებო საქმის წარმოების მომთხოვნი პირიც. რეალურად კი, სწორედ ამ უკანასკნელის საზიანოდ ჩერდება აღსრულება და მაშასადამე, არალოგიკურია მას რაიმე გარანტიის წარდგენა მოეთხოვოს.

გამოყენებულია შესაბამისი შეზღუდვები (მოვალის ქონებაზე ყადაღის დადება და სხვა), მაშინ დამატებითი გარანტიების წარმოდგენა აღარ შეიძლება მოეთხოვოს საქმის განახლების მომთხოვნს, ან ყოველ შემთხვევაში, სხვადასხვა გარემოების მხედველობაში მიღებით (დაყადაყებული ქონების ღირებულება და აღსასრულებელ მოთხოვნასთან მისი თანაფარდობა და სხვა), გარანტიის ოდენობა უფრო დაბალი იქნება.

საქმე იმაშია, რომ სსსკ-ის 432-ე მუხლში საუბარი დამატებით ანუ ცალკე გარანტიებზე კი არ არის, არამედ შესაბამის გარანტიებზე. მაშასადამე, მასში მაინცდამაინც სსსკ-ის 57-ე მუხლში მითითებული გარანტიების წარმოდგენა როდი იგულისხმება, არამედ ზოგადად, უზრუნველყოფა, გარანტირებულობა იგულისხმება. ხოლო თუ აღსრულების ფარგლებში მიღებული ღონისძიებები საკმარისი არ არის აღსრულებაზე კრედიტორის უფლების განსახორციელებლად, მაშინ მოვალეს მოეთხოვება დამატებითი გარანტიების წარმოდგენა. შესაბამისად, არსებული აღსრულების ფარგლებში გამოყენებული უზრუნველყოფა რომ საკმარისია, აღნიშნულის მტკიცების ტვირთი მოვალეს აკისრია.

უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება გარდაუვალად უკავშირდება იმ საკითხს, თუ უზრუნველყოფის გარანტიის რომელი სახე შეიძლება იქნეს წარდგენილი. ასევე მნიშვნელოვანია უზრუნველყოფის მოცულობის საკითხი.

უზრუნველყოფის სახე საპროცესო კანონით არ არის ამომწურავად განსაზღვრული.<sup>234</sup> მხოლოდ მისი სანიმუშო სახეებია დადგენილი. ნორმის თანახმად, სასამართლოს შეუძლია შეღავათიანი პირობებით დაუშვას უზრუნველყოფის სხვა საშუალებაც, რომელიც არ არის პირდაპირ მითითებული 57-ე მუხლში. რაც შეეხება უზრუნველყოფის ოდენობას, აღნიშნულზე საერთოდ არაფერია ნათქვამი მოცემულ ნორმაში. ამრიგად, უზრუნველყოფის გარანტიის სახეს და ოდენობას განსაზღვრავს

---

<sup>234</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 107.

საქმის განმხილველი ის სასამართლო, რომელმაც დაადგინა უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება (ან ასეთ გარანტიას წარადგენს დაინტერესებული პირი, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, რამდენად ადეკვატურია წარდგენილი გარანტია). ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი ინსტანციის სასამართლო. აღსრულების დროებით შეჩერებისას (მაგალითად, სსსკ-ის 432-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში), ის სასამართლო დაადგენს უზრუნველყოფას, რომელმაც დროებით შეაჩერა აღსრულება. ასეთ დროს იძულებითი აღსრულების ღონისძიებები უნდა გაუქმდეს.

უზრუნველყოფის ოდენობა, სასამართლომ უნდა გამოხატოს/განსაზღვროს ფულში თავისუფალი შეხედულებისამებრ. ამგვარი დისკრეციის საფუძველზე მოსამართლის მოქმედება კეთილსინდისიერად უნდა შესრულდეს. როგორც საპროცესო უზრუნველყოფის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზი ცხადყოფს, საპროცესო უზრუნველყოფის ინსტიტუტის შერჩევის საკითხში სასამართლო დისკრეცია არ ექვემდებარება კონტროლს/გადამოწმებას<sup>235</sup> ზემდგომი სასამართლოს მიერ, რაც კანონის ერთგვარი ხარვეზია.

უზრუნველყოფის სახის შერჩევის დროსაც თავისუფალია სასამართლო. ამასთან, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სასამართლოს მიერ დადგენილი უზრუნველყოფის სახე და ოდენობა, ნებისმიერ დროს შეიძლება შეიცვალოს. თუ მხარეთა შეთანხმება სასამართლო აქტში ჯერ გათვალისწინებული არ არის, შეიძლება შეთანხმების გათვალისწინებით განცხადების საფუძველზე მოთხოვნილი იქნეს უკვე გამოყენებული უზრუნველყოფის გარანტიის სახისა და ოდენობის შეცვლა, რის თაობაზეც სასამართლო გამოიტანს შესაბამის განჩინებას.

---

<sup>235</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-612-949-07.

მეცნიერული განმარტების<sup>236</sup> თანახმად, რომელიც გაზიარებულია სასამართლო პრაქტიკაშიც<sup>237</sup> სსსკ-ის 57-ე მუხლი თანასწორობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა. საჭიროა ორივე ურთიერთდაპირისპირებული მხარის ინტერესების თანაბრად გათვალისწინება ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების შესრულების დროს.<sup>238</sup>

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უზრუნველყოფის ოდენობის დადგენისას სასამართლოსათვის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ უზრუნველყოფის ოდენობა საჭირო უნდა იყოს იმ პირის ინტერესების დასაცავად და შესაძლო რისკების პრევენციისათვის, ვის სასარგებლოდაც ხორციელდება უზრუნველყოფა. პრაქტიკულად ეს არის ხოლმე აღსასრულებელი ძირითადი/მთავარი მოთხოვნის ფაქტობრივი ღირებულება, რომელსაც ემატება პროცენტები და ხარჯები.

დასაშვებია ნაწილობრივი უზრუნველყოფა, თუკი აღსრულება მთლიანი გადასახდელი თანხის მხოლოდ ერთი გარკვეული ნაწილის გადახდით (მაგალითად, მხოლოდ პროცენტის, ან ხარჯების გადახდით) უნდა განხორციელდეს. გადასახდელი თანხის ოდენობა განსაზღვრავს უზრუნველყოფის ოდენობასაც.

საინტერესოა განიმარტოს, როგორ უნდა გავიგოთ სსსკ-ის 57-ე მუხლის 1-ლ ნაწილში ასახული დებულება: „თუ ... მხარეს დაეკისრა ... ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა“ ... ამასთან დაკავშირებით ორი საკითხის გარკვევაა მნიშვნელოვანი. პირველი ის, თუ როგორ უნდა გავიგოთ დასახელებული დებულება სასამართლოსა და

---

<sup>236</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, 432-ე მუხლის კომენტარი.

<sup>237</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე N ას 800-800-2018.

<sup>238</sup> European Court of Human Rights. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights – Right to a Fair Trial (Civil Limb). Council of Europe/European Court of Human Rights, 2022, გვ. 90 <https://rm.coe.int/court-5282162-v33-case-law-guide-article-6-civil-gts-english-update-31/1680ac8bed> [30.05.24]; European Court of Human Rights, Case of Feldbrugge v. the Netherlands, 29 May 1986, Series A no. 99; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები). ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017, გვ. 122. <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/konvenciis-me6-muxli.pdf> [30.05.24].

მხარეებს შორის წარმოშობილი საპროცესო ურთიერთობის ასპექტით. მეორე ის, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა დაეკისროს თუ არა მხარეს (მოვალეს) გარანტიის წარმოდგენა, როდესაც ის ითხოვს აღსრულების შეჩერებას და მოვალის კუთვნილ აღსრულების საგანზე გამოყენებულია ყადაღა. შევხვით თითოეულ საკითხს ცალ-ცალკე:

სარჩელის უზრუნველყოფისაგან განსხვავებით, სასამართლოს ყოველთვის განჩინება როდი გამოაქვს. უმთავრესად სასამართლო კი არ ადგენს საპროცესო უზრუნველყოფის ღონისძიებას, არამედ სასამართლო უშვებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, ნებას რთავს მხარეს ან თვითონ აძლევს წინადადებას, წარმოადგინოს უზრუნველყოფის გარანტია.<sup>239</sup> განცხადების თუ სარჩელის შემტან მხარეს, მისივე თანხმობით სასამართლო დააკისრებს საპროცესო უზრუნველყოფის მიზნით გარკვეული ფულადი თანხის თუ ფასიანი ქაღალდის დეპოზიტზე შეტანას, რასაც მხარე ასრულებს ნებაყოფლობით.<sup>240</sup> სასამართლო პრაქტიკაშიც მხარის აქტიურობაზე კეთდება აქცენტი:<sup>241</sup> მხარე, რომელიც შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე ისეთი საპროცესო მოქმედების შესრულების თაობაზე, რომლითაც მოწინააღმდეგე მხარეს შეიძლება მიადგეს ზიანი, არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ საპროცესო მოქმედების შესრულების მოთხოვნით. მან იმავდროულად უნდა შესთავაზოს სასამართლოს გარანტია, რომელიც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც მოწინააღმდეგე მხარემ შეიძლება განიცადოს ამ საპროცესო მოქმედების შესრულებით, ვთქვათ - სარჩელის უზრუნველყოფით. მხარე, რომელიც მოითხოვს, მაგალითად, სარჩელის უზრუნველყოფას, ვალდებულია მიუთითოს, თუ რას სთავაზობს იგი სასამართლოს

---

<sup>239</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის 1-ლ ნაწილში დაშვებულია შეცდომა. მის 1-ლ ნაწილში საუბარია სამოქალაქო კოდექსით მისაღები გარანტიის უზრუნველყოფაზე, მაშინ როცა საუბარი უნდა იყოს უზრუნველყოფისათვის ვარგის ანუ მისაღებ გარანტიაზე. გარანტია უზრუნველყოფის საშუალებაა. ამიტომ გარანტია კი არ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, არამედ მხარემ უნდა უზრუნველყოს გარანტიის წარმოდგენა.

<sup>240</sup> კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი, საქართველოს მაცნე, 2003, გვ. 274.

<sup>241</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განჩინება საქმეზე N ა-4265-ბ-15-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე N ას 800-800-2018.

მოწინააღმდეგე მხარის იმ ზარალის უზრუნველსაყოფად, რომელიც ამ უკანასკნელმა შესაძლებელია განიცადოს. თუ მხარე ამ მოვალეობას არ ასრულებს, მისი მოთხოვნა, საპროცესო მოქმედების შესრულებაზე, სასამართლომ არ უნდა დააკმაყოფილოს.

პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ მხარემ თვითონ უნდა დაურთოს განცხადებას უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების დამადასტურებელი მტკიცებულება.

## თავი 4. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე უფლებამოსილებათა განხორციელების გავლენა სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმზე

### 4.1. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება საქმის მორიგებით დამთავრებისას

სამოქალაქო საპროცესო სამართლისათვის ცნობილია საქმის დამთავრების ორი ფორმა: საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანით და საქმის დამთავრება გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე.<sup>242</sup> თავის მხრივ, ეს უკანასკნელი მოიცავს გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე საქმის დამთავრების ორ შემთხვევას. ესენია: სარჩელის განუხილველად დატოვება და საქმის წარმოების შეწყვეტა.<sup>243</sup> თითოეულ მათგანს თავისი საფუძველი გააჩნია. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანი რეალურად გულისხმობს იმას, რომ სამომავლოდ შეიქმნას სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების სამართლებრივი გარანტიები.<sup>244</sup> შესაბამისად, თუ არ არსებობს ამ ღონისძიების შენარჩუნების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, იგი უნდა გაუქმდეს.

სწორ მეცნიერულ ანალიზს საჭიროებს სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლის იმ დებულების არსი, რომლის თანახმადაც, თუ მხარეებმა მორიგების დადებისას არ განსაზღვრეს უზრუნველყოფის ბედის საკითხი, სასამართლო აუქმებს გამოყენებული

<sup>242</sup> ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ., ცეციტიშვილი, მ., ახალაძე, კუბლაშვილი, მ, ქურდაძე, გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ. 585.

<sup>243</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 272 - საქმის წარმოების შეწყვეტა, მუხლი 275 - სარჩელის განუხილველად დატოვება.

<sup>244</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 341; Kramer X. Harmonisation of Provisional and Protective Measures in Europe. Procedural Laws in Europe: Towards Harmonisation. Maklu: Antwerpen/Apeldoorn, გვ. 305.

უზრუნველყოფის ღონისძიებას.<sup>245</sup> ამ საკითხის თაობაზე სწორი ხედვის ჩამოყალიბებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მხარეთა საპროცესო უფლებების დაცვისა და მართლმსაჯულების მიზნების სწორად განსაზღვრის საკითხისათვის.

ერთ-ერთ საქმეზე,<sup>246</sup> სასამართლომ შეწყვიტა საქმის წარმოება მხარეთა მორიგების გამო. ამავე განჩინებით გააუქმა სარჩელზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიებაც. სასამართლოს აღნიშნულ მოქმედებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მორიგების ტექსტში მხარეებმა არ ასახეს თავიანთი ნება იმის თაობაზე, თუ რა ბედი ეწეოდა უზრუნველყოფის ღონისძიებას - ყადაღას, რომელიც ამ დავის ფარგლებში სასამართლომ გამოიყენა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების მიმართ. აქვე, ვიდრე დასახელებულ პრაქტიკას გავაანალიზებთ, უნდა დაზუსტდეს შემდეგი საკითხი: მართალია უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ განჩინების გაუქმების თაობაზე შეიტანება საჩივარი, როდესაც ის დამოუკიდებლად საჩივრდება,<sup>247</sup> მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან საუბარია ერთიან განჩინებაზე (ეს არის განჩინება მორიგების დამტკიცების შესახებ, რომლითაც სასამართლომ გააუქმა მანამდე თავის მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება), მსგავს შემთხვევებში შეიტანება კერძო საჩივარი,<sup>248</sup> რომელიც იმავდროულად წარმოადგენს უზრუნველყოფის გაუქმებასთან დაკავშირებულ საჩივარსაც.

ზემოაღნიშნულ საქმეზე, მორიგების აქტში არ იქნა ასახული მხარეთა ნება, უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით. მართალია მხარეთა მიერ უშუალოდ ხელმოწერილ მორიგების აქტში

---

<sup>245</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 199<sup>1</sup>.

<sup>246</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კლევის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N2/20671-18.

<sup>247</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 197; ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 646.

<sup>248</sup> „საჩივარს, რომლის მეშვეობითაც ცალკე, გადაწყვეტილებისგან დამოუკიდებლად, საჩივრდება განჩინება, სააპელაციო და საკასაციო საჩივრისგან განსხვავებით კერძო საჩივარი ეწოდება“ - ლილუაშვილი თ. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2005, გვ. 389.



უზრუნველყოფის საკითხზე ცალკე მსჯელობა არ ყოფილა, მაგრამ მოსარჩელეს არასდროს უთქვამს უარი უზრუნველყოფის ღონისძიებაზე, პირიქით, უზრუნველყოფის ღონისძიებას მიიჩნევდა მოთხოვნის აღსრულების საშუალებად. ამ მიზნით უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ განჩინებაც კი გაასაჩივრა მან. მოსამართლეს მხარეებისათვის არ განუმარტავს მორიგების შედეგები,<sup>249</sup> შეკითხვაც კი არ დაუსვამს, რა პოზიცია ჰქონდათ მათ უზრუნველყოფის ღონისძიებასთან მიმართებაში, ისე დაამტკიცა მორიგების განჩინება და გააუქმა მოსარჩელის სასარგებლოდ გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება.

ცხადია, მორიგების დამტკიცება ამგვარი შინაარსით, ეწინააღმდეგება მოსარჩელის ინტერესებს. სასამართლოს არ გამოუყენებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე და 222-ე მუხლები, არ დაუსვამს შეკითხვა მხარეებისთვის, რა პოზიცია ჰქონდათ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, არ განუმარტავს, რომ მაგალითად, აპირებდა უზრუნველყოფის გაუქმებას ან მაგალითად, არ განუმარტავს, რომ მორიგების აქტის დამტკიცება გამოიწვევდა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას. მოსამართლე ჯერ უნდა დარწმუნდეს მხარეთა მორიგების შინაარსში, განუმარტოს მათ შედეგები, ჰკითხოს მხარეებს, შეესაბამება თუ არა იგი მხარეთა ნებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცოს მორიგება. მხარეთა სრული ნების გამოკვლევის გარშე კი, დაუშვებელი იყო მორიგების განჩინების იმ შინაარსით მიღება, რაც სასამართლომ მიიღო.

შეკითხვების ინსტიტუტი იმდენად ფართოა, რომ მათი ნებისმიერ ეტაპზე არა თუ დასმის უფლება, არამედ ვალდებულებაც გააჩნია სასამართლოს.<sup>250</sup> მაგალითისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ცნობილი განმარტება, რომელიც გადმოსცა უზენაესმა

---

<sup>249</sup> მოსამართლის ვალდებულებაა მხარეებს განუმარტოს მორიგების შედეგები - მამაიაშვილი თ. მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017, გვ. 239.

<sup>250</sup> ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ., ცეციტიშვილი, მ., ახალაძე, კუბლაშვილი, მ, ქურდაძე, გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ. 659.

სასამართლომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სარჩელის გამოხმობის წესს კოდექსი არ ითვალისწინებდა და ეს წესი ანალოგიით გამოიყენა უზენაესმა სასამართლომ.<sup>251</sup> აღნიშნულ საქმეზე მხარემ მოითხოვა სარჩელის მოხსნა სასამართლოს წარმოებიდან, რაც ქვედა ინსტანციის სასამართლომ სარჩელზე უარის თქმად დააკვალიფიცირა. უზენაესმა სასამართლომ ამგვარი მიდგომა ჩათვალა მხარის ინტერესების შელახვად და უფლებების უხეშ დარღვევად, ვინაიდან სარჩელზე უარის თქმას და სარჩელის გამოხმობას სხვადასხვა შედეგი უკავშირდება.<sup>252</sup> ამ ცნობილ ქეისში მთავარი მომენტი, რომელიც საკვლევო პრობლემის განხილვისას არის გასათვალისწინებელი, არის ის რომ, უზენაესი სასამართლოს სწორი მიდგომის თანახმად, სასამართლოს ევალუა დასვას შეკითხვები და ამ გზით ზუსტად გამოარკვიოს მხარის ნება ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომისადმი. ყველაფერთან ერთად სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მორიგების ინსტიტუტისადმი კანონმდებლის მიდგომა, რომელიც შეცვლილია ადრინდელ მიდგომასთან შედარებით. დღეს მორიგების საკითხში სასამართლო არის უფრო აქტიური, რასაც ადასტურებს სსსკ-ის 218-ე მუხლის ფორმულირების ახლებური ჩამოყალიბება, რომლის თანახმადაც მოსამართლე არა თუ სთავაზობს მხარეებს მორიგებას, არამედ მორიგების პირობებიც კი შეუძლია ჩამოაყალიბოს.<sup>253</sup> ეს დანაწესიც არ გაითვალისწინა სასამართლომ. უნდა აღინიშნოს, რომ მორიგების განჩინება სასამართლო გადაწყვეტილების სუროგატია. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებით კმაყოფილდება სარჩელი, უზრუნველყოფის ღონისძიება ნარჩუნდება. მოცემულ შემთხვევაში, მორიგებით მხარემ გადასახდელად იკისრა სარჩელით მოთხოვნილი მთლიანი თანხა, ასეთ ვითარებაში უზრუნველყოფის გაუქმება დაუშვებელი იყო.

---

<sup>251</sup> ქურდაძე, შ., ხუნაშვილი, ნ., ცქიტიშვილი, მ., ახალაძე, კუბლაშვილი, მ, ქურდაძე, გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022, გვ.165-166.

<sup>252</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 3; მუხლი 83<sup>1</sup>.

<sup>253</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 218, ნაწილი 2.

მორიგება სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებაა, ხელშეკრულებაა, ასეა ის განმარტებული პრაქტიკაში.<sup>254</sup> იგი უნდა ასახავდეს მხარის რეალურ ნებას, რაშიც სასამართლო უნდა დარწმუნდეს მორიგების დამტკიცებამდე.<sup>255</sup> შესაბამისად, რადგან მორიგება არ ასახავდა მოსარჩელის ნებას, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ავტომატურად გაუქმების ნაწილში იგი უკანონო განჩინებას წარმოადგენს.

სასამართლომ არასწორად განმარტა და გამოიყენა სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლის ბოლო წინადადება.<sup>256</sup> ნორმის შესაბამისად მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. ამ ნორმის სიტყვა–სიტყვით გაგება დაუშვებელია, აღნიშნული დანაწესი არ გულისხმობს მოსამართლის ვალდებულებას, უპირობოდ და ნებისმიერ შემთხვევაში გააუქმოს უზრუნველყოფის ღონისძიება. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რას გულისხმობს სიტყვები „მორიგების შემთხვევაში“ – გულისხმობს მორიგებას, როგორც საპროცესო სამართლებრივ აქტს თავისთავად, თუ მხარეთა შეთანხმების მნიშვნელობით არის ტერმინი მორიგება გამოყენებული. ცხადია, კანონი მხარეთა ნებაზე დამოკიდებულს ხდის უზრუნველყოფის შენარჩუნება-არშენარჩუნების საკითხს.<sup>257</sup> შესაბამისად, ნორმა გულისხმობს არა უბრალოდ საქმის შედეგს – მორიგების მიღწევას, არამედ მორიგების საფუძველს – მხარეთა შეთანხმებულ ნებას. თავის მხრივ ეს ნიშნავს, რომ თუკი მხარე სხვდასხვა შემთხვევით ფაქტორთა გამო არ აფიქსირებს უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხს და არც მოსამართლე არკვევს მის ნებას, დაუშვებელია უზრუნველყოფის გაუქმება ავტომატურ რეჟიმში და იგი უნდა შენარჩუნდეს. თავის დროზე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა მხარის მიერ, ცხადად

<sup>254</sup> თბილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე N 28/4963-14.

<sup>255</sup> ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007, გვ. 273; Hollander B. Just Negotiation. Washington, Washington University Law Review, Volume 88, Issue 2, 2010, გვ. 405-406.

<sup>256</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კლევის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 2/20671-18.

<sup>257</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 199<sup>1</sup> - ბოლო წინადადება.

აჩვენებს მხარის ინტერესს უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნებისადმი, რის გამოც მხარეს აშკარად ჰქონდა უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნების მოლოდინი. საყურადღებოა, რომ მოცემულ საქმეზე თავად მოპასუხესაც არასდროს გაუპროტესტებია გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება, მათ შორის, არც მორიგების ეტაპზე.

სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლის ბოლო წინადადების შინაარსი იმის თაობაზე, რომ მორიგების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, გულისხმობს ჯერ ერთი სასამართლოს დამორჩილებას მხარის ნებისადმი, მეორე გულისხმობს ვიწრო შინაარს – მორიგება მხოლოდ მაშინ იწვევს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, თუკი უზრუნველყოფა აღარ არის კავშირში მორიგების საგანთან.<sup>258</sup> მაგალითად: აღარ არის საჭირო მისი გამოყენება, რადგან მხარეებმა ფაქტობრივად შეასრულეს მორიგება. ფაქტობრივი შესრულებისას უზრუნველყოფის ღონისძიებაც აზრს მოკლებული ხდება. მაგრამ ისეთ პირობებში, როდესაც ვალდებულება სამომავლოდ უნდა შესრულდეს, უზრუნველყოფა შენარჩუნებული უნდა იყოს.<sup>259</sup>

ევროსასამართლოს არაერთი გადაწყვეტილების თანახმად, სასამართლოზე უფლება გულისხმობს არა მხოლოდ პროცესის ინიცირების, არამედ აღსრულების უფლებასა და შესაძლებლობასაც, რის გარეშეც მართლმსაჯულების აქტი აზრს მოკლებულია.<sup>260</sup> აღუსრულებლობა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასია, რაც შიდა კანონმდებლობითაც აკრძალულია.<sup>261</sup> სწორედ კანონის ეფექტურობის

---

<sup>258</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 352.

<sup>259</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 352-353.

<sup>260</sup> European Court of Human Rights, HORNSBY v. GREECE, Application no. 18357/91, Chamber, 19.03.1997; European Court of Human Rights, "IZA" LTD AND MAKRAKHIDZE v. GEORGIA, Application no. 28537/02, (Second Section), 27.12.2005.

<sup>261</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 - მუხლი 10; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის განჩინება საქმეზე N ას-375-356-2015; ქურდაძე შ.,

უზრუნველყოფა საჭიროებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას.<sup>262</sup> სასამართლომ უზრუნველყოფის თვითნებური გაუქმებით არა უნდა შექმნას სასამართლო აქტის აღუსრულებლობის რეალური საფრთხე. შესაბამისად, ეს ყოველივე აჩვენებს, რომ არასწორი პრაქტიკაა დანერგული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით. ნათელია, რომ ზემოაღნიშნულ საქმეზე, უზრუნველყოფის ღონისძიების უპირობო გაუქმებით სასამართლომ დაარღვია ევროკონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული უფლება სამართლიან სასამართლოზე.

სამართალწარმოების მიზანი პირის დარღვეული უფლების დაცვა და აღდგენაა, რაც მოიცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესს.<sup>263</sup> გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებაც კი ვერ დაკმაყოფილდება მისი სამართლებრივი ინტერესი. გადაწყვეტილების აღსრულების გზაზე მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომელიც გადაწყვეტილების აღსრულებას პერსპექტიულს ხდის, სამართალწარმოების პროცესში მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებათა გამოყენებაა, რომლის მეშვეობით გარანტირებული და უზრუნველყოფილია/დაკმაყოფილებულია სასამართლოს მიერ დადასტურებული მოთხოვნის აღსრულება ან თავიდანაა აცილებული აღსრულების გაძნელება. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის შენარჩუნების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი აღარ არსებობს, ის უნდა გაუქმდეს.

---

ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა დანი, 2018, გვ.18.

<sup>262</sup> Sierra S. Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right of Effective Court Protection, A Comparative Approach. *European Law Journal*, Vol. 10, January 2004, გვ. 42-60.

<sup>263</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე N ას-685-656-2016.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვყალიბოთ ის კრიტერიუმები, რომელთა არსებობის დროსაც სასამართლოს შეუძლია ავტომატურად გააუქმოს საქმეზე გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიება. სხვა შემთხვევაში, უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება, თუნდაც მხარეებმა მორიგების აქტში საერთოდ არაფერი მიუთითეს მისი შენარჩუნება-არშენარჩინების თაობაზე, დაუშვებელია. საქმის სამართლიანი განხილვის უფლების განმსაზღვრელ დანაწესებთან სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლის სისტემური ანალიზის და საკუთრივ, დასახელებული ნორმის არსის სწორი მეცნიერული და პრაქტიკული გაგებიდან გამომდინარე, შეიძლება განზოგადებული სახით ჩამოყალიბდეს და კაზუსტურად დასახელდეს მხარეთა მორიგებით საქმის დამთავრებისას, სასამართლოს ინიციატივით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შემთხვევები და კრიტერიუმები. სახელდობრ, ნორმით ნაგულისხმები უნდა იყოს შემთხვევები, როდესაც:

ა) უზრუნველყოფის საგანი მორიგების საფუძველზე გადაეცა კრედიტორს;

ბ) მხარეთა მორიგების საგნიდან გამომდინარე, აზრი დაკარგა უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნებამ. მაგალითად, მხარეები მორიგდნენ ისეთ საკითხებზე, რომელთა გამოც აღსრულება ვერ განხორციელდება უზრუნველყოფის საგანზე;

გ) მხარეთა მორიგების გამო კრედიტორმა იმდენად შეამცირა მოთხოვნის მოცულობა, რომ ირღვევა უზრუნველყოფის ღონისძიებასა და კრედიტორის მოთხოვნას შორის თანაზომადობის პრინციპი;<sup>264</sup>

დ) უზრუნველყოფის საგანი აღარ არსებობს.

---

<sup>264</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინება საქმეზე Nას-859-825-2016 – „მხარის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიება ამ მოთხოვნის პროპორციული (ადეკვატური) უნდა იყოს და აშკარა შეუსაბამობა არ უნდა იკვეთებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, უზრუნველყოფის გამოყენება ვერ გაამართლებს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის მიზანს“.

შესაძლოა პრაქტიკამ სხვა შემთხვევებშიც უკარნახოს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აუცილებლობაზე.

#### 4.2. სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობასთან დაკავშირებით გამოტანილი განჩინების გასაჩივრების თავისებურება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოტანილი იქნეს შემდეგი დასკვნა: სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე გამოტანილი ყველა განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. სასამართლოს განჩინებაში, მათ შორის, ცხადია, უზრუნველყოფის შუამდგომლობის ირგვლივ გამოტანილ განჩინებაში, ისევე, როგორც გადაწყვეტილებაში, მოცემული უნდა იყოს მისი როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული დასაბუთება.<sup>265</sup> აღნიშნულს ცხადყოფს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე, 284-ე და 285-ე მუხლების დანაწესი. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის თანახმად კი, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს, როცა მისი დასაბუთება იმდენად არასრულყოფილია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

პროცედურულ საკითხებზე გამოტანილი განჩინების ცალკე/დამოუკიდებლად გასაჩივრება მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, შესაძლებელია: კერძო საჩივრით<sup>266</sup> და საჩივრით. ერთადერთი გამონაკლისი, როცა საჩივრით (და არა კერძო საჩივრით) საჩივრდება განჩინება, დადგენილია სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის განხილვის შედეგად გამოტანილ განჩინებათა მიმართ (სსსკ-ის 194-ე

<sup>265</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე: N 2/26988-20.

<sup>266</sup> წიქვაძე მ. კერძო საჩივარი და მისი გადაწყვეტის ზოგადი პრინციპები. თენგის ლილუაშვილის 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2003, გვ. 223.

და 197-ე მუხლები). საჩივრის რეკვიზიტები ამომწურავი სახით არის განსაზღვრული.<sup>267</sup> ამ საჩივრის განხილვის სპეციფიკა ის არის, რომ თვითონ გასაჩივრებული განჩინების გამომტან სასამართლოს ეძლევა მისი კორექტირების შესაძლებლობა, ანუ თვითონ მსჯელობს მის დასაშვებობასა და დასაბუთებულობაზე (სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლი) და თუ დასაშვებად და დასაბუთებულად მიიჩნევს, აკმაყოფილებს მას. სხვა შემთხვევაში საჩივარს საქმის მასალებთან ერთად გზავნის ზემდგომ სასამართლოში,<sup>268</sup> რომელიც საჩივარს განიხილავს კერძო საჩივრისათვის სსსკ-ის 419-420-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამიტომ, კერძო საჩივრის გვერდით საჩივარიც უნდა იქნეს მოაზრებული მისი სპეციფიკის გათვალისწინებით.

განცხადების დაუკმაყოფილებლობის, ანუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლოსთვის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში (ცხადია, იგულისხმება შემთხვევა, როდესაც უარის თქმის განჩინება ძალაშია შესული) მიიღება განჩინება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ, რაც საჩივრდება საჩივრით (სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

სსსკ-ის 194-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინება<sup>269</sup> უნდა პასუხობდეს განჩინებისათვის სსსკ-ის 285-ე

---

<sup>267</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/6888-19.

<sup>268</sup> პრაქტიკაში გვხვდება შემთხვევები, როდესაც განჩინების სარეზოლუციო ნაწილში სასამართლო საჩივრის დაუკმაყოფილებაზე უარის თქმის მიუთითებლად ადგენს, საჩივრის დაუსაბუთებლობის გამო საქმის გადაგზავნას ზემდგომი სასამართლოსთვის, თუმცა კანონის დებულება, რომლის თანახმადაც საჩივრის დაუსაბუთებლად მიჩნევის შემთხვევაში ის იგზავნება ზემდგომ სასამართლოში, არ ნიშნავს, რომ სასამართლომ სარეზოლუციო ნაწილში არ იმსჯელოს საჩივრის დაუკმაყოფილებლობის შესახებ - თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/7797-20.

<sup>269</sup> სსსკ-ის 194-ე მუხლის მე-5 ნაწილთან აღნიშნული დებულების სისტემურ კავშირში განხილვის შედეგად შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე მიღებული განჩინება ფართო გაგებით უნდა იქნეს აღქმული და მასში უნდა იქნეს მოაზრებული არა მხოლოდ საკუთრივ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, არამედ მის გამოყენებაზე უარის თქმის, მისი გაუქმების თუ გაუქმებაზე უარის თქმის განჩინება. ასევე, უზრუნველყოფის შუამდგომლობასთან დაკავშირებული ნებისმიერი განჩინება.



მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. აღნიშნულ ნორმაში მართალია პირდაპირ არ არის მითითებული, რომ დასაშვებია სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრება, მაგრამ ამ დებულების შინაარსის ზუსტი განმარტებიდან გამომდინარე შეიძლება გამოტანილ იქნეს შემდეგი დასკვნა: ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინება უნდა პასუხობდეს სსსკ-ის 285-ე მუხლის მოთხოვნებს, ამ მუხლის შესაბამისად, მასში უნდა მიეთითოს განჩინების გასაჩივრების თაობაზე. შესაბამისად, სსსკ-ის 197-ე მუხლი რომც არ არსებულებოდა, რომელიც ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრებას, სსსკ-ის 194-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე დასაშვებად უნდა მიჩნეულიყო სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის განჩინების გასაჩივრება.

საინტერესოა, საჩივრის შეტანის შედეგების განსაზღვრა სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის თაობაზე მიღებულ განჩინებებზე. ამგვარი სამართლებრივი შედეგი სხვადასხვაგვარია იმის მიხედვით, თუ რომელი განჩინებაა საქმეზე მიღებული. ამასთან, მართალია სსსკ-ის 418-ე მუხლში საუბარია კერძო საჩივრის შეტანის შედეგებზე, მაგრამ ნორმის დანაწესები თანაბრად ვრცელდება განჩინებაზე შეტანილ საჩივარზეც. მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება, რომელიც დაუყოვნებლივ აღსრულდება, თანახმად სსსკ-ის 195-ე მუხლისა. სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების საჩივრით გასაჩივრებისას, უზრუნველყოფის განჩინება ავტომატურად როდი შეჩერდება. მოცემული მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების შეჩერება შეუძლია სასამართლოს. იგულისხმება განჩინების გამომტანი სასამართლო, როცა ცალკეულ შემთხვევაში (როგორც ეს სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრებისას ხდება) სწორედ აღნიშნული სასამართლო მსჯელობს განჩინების კანონიერებაზე. რაც შეეხება გასაჩივრებული განჩინებით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედების შეჩერების ფორმას, ეს არის განჩინება. სასამართლო/ზემდგომი სასამართლო განჩინებით აჩერებს შესაბამის საპროცესო

მოქმედებას. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს შესაბამისი გარანტიების გამოყენების საკითხი (სსსკ-ის 420-ე, 196-ე მუხლის მე-3 ნაწილის,<sup>270</sup> 57-ე და 58-ე მუხლების დანაწესები და სხვა ნორმები).<sup>271</sup>

ამრიგად, საჩივრის შეტანა არ შეაჩერებს უზრუნველყოფის შესახებ განჩინების აღსრულებას, ვინაიდან სარჩელის უზრუნველყოფის განჩინება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს, მის კანონიერ ძალაში შესვლამდე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორით შეცვლის შესახებ გამოტანილი განჩინება, რომლის აღსრულებაც ჩერდება საჩივრის შეტანით (სსსკ-ის 197-ე მუხლის მეორე ნაწილი). ეს ნიშნავს, რომ საჩივრის გადაწყვეტამდე იმოქმედებს სასამართლოს მიერ ადრე მიღებული უზრუნველყოფის ღონისძიება (თავდაპირველად მიღებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები მოქმედებს მანამდე, ვიდრე სასამართლო უცვლელად არ დატოვებს ახალ განჩინებას). სსსკ-ის 197-ე მუხლით დადგენილი აღნიშნული წესის არსებობა ნაკარნახევია მხარეთა ინტერესების დაცვით, იმდენად, რამდენადაც სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების ან სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის განჩინებით შეიძლება დაირღვეს მხარეთა ინტერესები. სარჩელის უზრუნველყოფის სახის შეცვლის შესახებ განჩინების ძალაში შესვლის მომენტიდან, თავდაპირველი განჩინება კარგავს ძალას და აღსრულდება ახალი განჩინება.

სსსკ-ის 417-ე და 419-ე მუხლებით დადგენილია კერძო საჩივრის მხოლოდ ზემდგომ სასამართლოებში განხილვის წესი. კერძო საჩივრის განხილვას განჩინების გამომტან სასამართლოში კანონი არ ითვალისწინებს. გამონაკლისია სწორედ სარჩელის უზრუნველყოფის განჩინებაზე შეტანილი საჩივარი (სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლი). ამასთან, კანონი არ ადგენს ამგვარი საჩივრის განხილვის რაიმე განსაკუთრებულ წესს. აქედან

---

<sup>270</sup> ამ ნორმაზე აქცენტირება რელევანტურია, რამეთუ უშვებს მიღებული უზრუნველყოფის ნაცვლად დეპოზიტზე თანხის შეტანის შესაძლებლობას.

<sup>271</sup> მაგალითად ისინი, რომლებიც აღსრულების შეჩერების და სააღსრულებო მოქმედებათა გაუქმების შესაძლებლობას ითვალისწინებენ შესაბამისი გარანტიების გამოყენებით.

გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფის განჩინების გამომტან სასამართლოში საჩივარი განიხილება ზეპირი მოსმენის, ანუ მხარეთა პროცესზე (სხდომაზე) მოწვევის გარეშე. ერთადერთი მნიშვნელოვანი ვალდებულება და წესი, რაც კანონმა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე გამოტანილი განჩინების მიმართ წარდგენილი საჩივრის განხილვისას განუსაზღვრა სასამართლოს, არის სსსკ-ის 197<sup>1</sup>-ე მუხლით დადგენილი დებულება: სასამართლოს მიერ საჩივრის წარმოებაში მიღება ხდება შესაბამისი ინსტანციის სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესების მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ საჩივრის დასაშვებობა სარჩელის უზრუნველყოფის განცხადების დასაშვებობის მსგავსად უნდა შემოწმდეს.

საჩივრის დასაშვებობაში, სხვა საკითხებთან ერთად, ისიც იგულისხმება, გადახდილია თუ არა სახელმწიფო ბაჟი. მაშასადამე, საჩივარი დასაშვებად რომ იქნეს მიჩნეული, აუცილებელია სახელმწიფო ბაჟის წინასწარ შეტანა (როგორც ამას ითხოვს სსსკ-ის 52-ე მუხლი).

#### **4.3. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების საფუძველზე გაუქმებაზე უარის განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა**

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება დასაშვებია როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებით, როდესაც სარჩელი არ დაკმაყოფილდება, ისე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, მხარის

განცხადებით, როდესაც უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება ქონებაზე უსაგნო ხდება.<sup>272</sup>

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების განცხადების საფუძველზე გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს სსსკ-ის მე-2 და 79-ე მუხლების დანაწესებზე. დასახელებული ნორმების თანახმად, განმცხადებელი იურიდიულად დაინტერესებულ პირს უნდა წარმოადგენდეს.<sup>273</sup> ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვის აუცილებლობა მითითებულია სასამართლო პრაქტიკაშიც. ერთ-ერთ საქმეზე<sup>274</sup> მიღებული გადაწყვეტილება აღსრულებული იყო. მხარე ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, რადგან მისი შენარჩუნება გადაწყვეტილების აღსრულების შემდეგ აზრს მოკლებული იქნებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი დაინტერესებულ პირს წარმოადგენდა, რამეთუ გარდაცვლილი მესაკუთრის მეუღლე და მამასადამე მემკვიდრე იყო, რომელმაც მიმართა სასამართლოს თავისი სამემკვიდრეო უფლების განხორციელების მიზნით. იმდენად, რამდენადაც სამკვიდროში შესული ქონება დაყადაღებული იყო, ნოტარიუსი უზრუნველყოფის გაუქმების გარეშე მოკლებული იყო შესაძლებლობას მემკვიდრის სახელზე გაეცა სამკვიდრო მოწმობა. ამასთა, დაინტერესებულ პირად ყოფნა ავტომატურად როდი ავალდებულებს სასამართლოს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას. ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა არ არსებობდეს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების წინაპირობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებაც განჩინება მიიღება.

როგორც კვლევამ აჩვენა, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია სარჩელის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული შემდეგი

---

<sup>272</sup> ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015, გვ. 352.

<sup>273</sup> ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი 1. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2014, გვ. 88.

<sup>274</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/12591-06.

განჩინებების დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლება: სარჩელის უზრუნველყოფის, სარჩელის უზრუნველყოფაზე უარის თქმის, სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმების, სარჩელის უზრუნველყოფის ერთი სახის მეორეთი შეცვლის და სარჩელის საგნის შეცვლის განჩინების დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლება და შესაძლებლობა. რაც შეეხება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე უარის თქმის განჩინებას, სსსკ-ის XXIII-ე თავის დანაწესები არ განსაზღვრავენ სარჩელის უზრუნველყოფის გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს განჩინების გასაჩივრების წესს, რაც კანონის მნიშვნელოვანი ხარვეზია. თუმცა, დაუშვებელია, დაინტერესებულ პირს წაერთვას ამგვარი განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა. დასახელებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კონსტიტუციის 31-ე მუხლის საფუძველზე და სსსკ-ის 197-ე მუხლის ანალოგიით (სსსკ-ის მე-7 მუხლი). კანონი შემთხვევით როდი უშვებს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხებზე მიღებული ყველა განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას, რამეთუ ისინი შეეხება მხარეთა არსებით მატერიალურ ინტერესებს. თითოეულმა მათგანმა შეიძლება ზარალი განიცადოს არადროული ან სასამართლოს არამართლზომიერი მოქმედებისაგან სარჩელის უზრუნველყოფის საკითხში. სსსკ-ის 197-ე მუხლის ანალოგიით დასახელებული განჩინების გასაჩივრება კანონის ანალოგიის პროცესში გამოყენების ერთ-ერთ კერძო შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

## დასკვნა

კვლევის და ანალიზის შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გამოტანა: სასარჩელო წარმოება არ არის სამოქალაქო ბრუნვის დამაბრკოლებელი, ან შემზღვეველი ფაქტორი. უზრუნველყოფის გარანტიების სისტემის ამოქმედება კი, თანაბარ შესაძლებლობებს უნდა ქმნიდეს მხარეებისათვის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მის აღსრულებაზე მოქმედი ობიექტური რისკფაქტორებისაგან მათ დასაცავად.

სამართლის სუბიექტისადმი უფლების კუთვნილება საჭიროებს მისი დაცვის ეფექტიანი მექანიზმების და გარანტიების არსებობას. სარჩელის უზრუნველყოფის სახელწოდებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXIII თავის დასათაურება ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს კანონმდებელი მხოლოდ მოსარჩელის უფლებათა უზრუნველყოფას ითვალისწინებდეს. სარჩელის უზრუნველყოფა მხოლოდ ერთ-ერთ საპროცესო მოქმედებას წარმოადგენს უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემაში.

იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი სარჩელის მიზანი კანონით გათავალისწინებული რომელიმე საშუალებით უფლების ან ინტერესის დაცვაა, სარჩელის უზრუნველყოფა ნიშნავს ამგვარი უფლების ან ინტერესის რეალურად დაცვის უზრუნველყოფას სამომავლოდ და არა მხოლოდ ქაღალდზე დაცვას სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების სახით. ამგვარი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას იძლევა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების განმსაზღვრელ ნორმათა სისტემური ანალიზი. აქედან გამომდინარეობს მორიგი დასკვნა: სარჩელის უზრუნველყოფის მექანიზმის დადგენით კანონმდებელს სინამდვილეში მხედველობაში აქვს სასამართლოს გადაწყვეტილების უზრუნველყოფა და არა მოპასუხის მიმართ მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უზრუნველყოფა, რამეთუ სწორედ სასამართლო გადაწყვეტილებაშია

ასახული საბოლოო დასკვნა უფლების თუ ინტერესის ამა თუ იმ ფორმით დაცვის შესახებ. უზრუნველყოფის მექანიზმის ამგვარი იურიდიული ბუნება მისი ფართო გაგების და უნივერსალური გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, რომლის დანაწესები უზრუნველყოფენ არა მხოლოდ მოსარჩელის, არამედ აგრეთვე, მოპასუხის, კრედიტორისა და მოვალის უფლებებს. შესაბამისად, ერთი რომელიმე მხარის ინტერესების უზრუნველყოფა არ ხდება სხვა სუბიექტების ინტერესების გაუთვალისწინებლად და სათანადო გარანტიების წარდგენის გარეშე.

სამოქალაქო პროცესი საკმაოდ ხანგრძლივ პროცედურებთან არის დაკავშირებული, არსებობს რისკი, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე დავის საგანი განადგურდეს, გასხვისდეს, უფლებრივად დაიტვირთოს ან სხვაგვარად შეეშალოს ხელი საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. ამიტომ, საკუთრივ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება სწორედ ამ საფრთხეების პრევენციას ემსახურება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობების მომწესრიგებელი ნორმები, თავიანთი იურიდიული ბუნებით, განუსაზღვრელი ხასიათის დებულებებია და მაშასადამე, სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულებისას საჭიროა შეფასებითი კატეგორიებისა და მსჯელობის გამოყენება.

მოსალოდნელი ზიანის საფრთხე, როგორც უზრუნველყოფის ღონისძიები გამოყენების წინაპირობა, მოიაზრებს მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც უზრუნველყოფის საგანი და სარჩელის საგანი ერთმანეთს ემთხვევა და უზრუნველყოფის მექანიზმის პრევენციული ფუნქციის აუმოქმედებლობით, დაიკარგება დავის საგანი, რითიც დაინტერესებულ პირს წაერთმევა უზრუნველყოფის საგნის ნატურით მიკუთვნების შესაძლებლობა. სხვა დავის საგანთან მიმართებაში კი, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობა შეიძლება იყოს საქმეზე

მოსარჩელის სასარგებლოდ მისაღები/მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებლობის ან აღსრულების გართულების საფრთხე.

პროპორციულობა/თანაზომადობა უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენების ერთ-ერთ წინაპირობად და გამოყენებული მექანიზმის მართლზომიერების საზომად უნდა იქნეს მიჩნეული. უზრუნველყოფის ღონისძიებით შეზღუდული უფლება უნდა იყოს დასაცავი სამართლებრივი სიკეთის თანაზომადი. დაუშვებელია უზრუნველყოფის ღონისძიებით მოპასუხის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვა და ამ ასპექტით მხარეთა არათანაბარ პირობებში ჩაყენება.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების დროული და სწორი გამოყენება განაპირობებს სამოქალაქო სამართალწარმოების ეფექტიანობას, პროცესის მიზნების რეალურ განხორციელებას. საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება კი, რეალური, აღსრულებადი ხდება. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოპასუხის უფლებებიც. ამასთან, მოპასუხეს არ შეიძლება დაეკისროს მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ვალდებულება ისეთ შემთხვევაში, როდესაც სარჩელის საგანი ქონების ნატურით მიკუთვნებაა და მაშასადამე, როდესაც დაცული უნდა იქნეს მოსარჩელის საკუთრების უფლება უზრუნველყოფის საგანზე.

უზრუნველყოფის მექანიზმის გამოყენებისას კანონმდებელი ფართო დისკრეციით აღჭურავს სასამართლოს. შესაბამისად, მხარეთა ინტერესების სამართლიანი დაბალანსების მიზნით, გამოკვეთილია სამოსამართლო სამართლის როლი. სარჩელის უზრუნველყოფის ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების და მისი წინაპირობის განსაზღვრისას, სასამართლო საქმის კონკრეტულ გარემოებებს, მოთხოვნის მოცულობას და ხასიათს, ფაქტობრივ მოცემულობას უნდა ითვალისწინებდეს. მხარეთა ინტერესების დაბალანსების მიზნით, უზრუნველყოფის იმგვარ ღონისძიებას უნდა იყენებდეს, რომ ზედმეტად არ შეიზღუდოს, როგორც კრედიტორის, ასევე, მესამე პირთა ინტერესები. ამავე დროს, სასამართლო დისკრეცია არ შეიძლება იყოს უსაზღვრო.



სასამართლო შებოჭილია, ერთი მხრივ, კონსტიტუციური უფლებებითა და პრინციპებით, ხოლო, მეორე მხრივ, კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესუალური ნორმებით. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც უზრუნველყოფის მექანიზმი გამოიყენება იმ პირის ნებისა და სურვილის მიუხედავად, ვის მიმართაც მისი გამოყენება ხორციელდება და უკავშირდება პირადი, ქონებრივი და სხვა სახის კერძო უფლებების შევიწროვებასა და შეზღუდვას. ამიტომ, კანონი სასამართლოს უწესებს „აუცილებლობის“ ტესტით ხელმძღვანელობის ვალდებულებას.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება დასაშვებია ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომელთაც მხოლოდ ვარაუდის ხასიათი აქვთ და მაშასადამე, ამგვარი ფაქტების დასასაბუთებლად/დასამტკიცებლად საჭირო არ არის მტკიცებულებების წარდგენა. უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძვლის ამგვარი ბუნება განაპირობებს მტკიცების თავისებურებასაც დროებითი დაცვის ღონისძიების გამოყენებისას. საქმის არსებითად განხილვა, სამართალწარმოების რომელი სახის ფარგლებშიც არ უნდა ხდებოდეს ის, საჭიროებს მტკიცებით საქმიანობას. სწორედ მტკიცებითი პროცესის შედეგად უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ საქმის არსებითი, ანუ მატერიალურ-სამართლებრივი მხარე. აღნიშნულისგან განსხვავებით, სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი, პროცესუალურ-სამართლებრივია, რა დროსაც უნდა დამტკიცდეს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების წინაპირობის არსებობა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გამო აღძრული წარმოება დაჩქარებული, სწრაფი წარმოებაა. სწორედ მის ამგვარ ბუნებას შეესაბამება მტკიცების თავისებურებაც. მოსამართლის ვარაუდი რომ სარჩელი დაკმაყოფილდება ფაქტობრივად ნიშნავს ერთადერთ რამეს: სარჩელი უნდა აკმაყოფილებდეს გადაწყვეტილების მიღების მეთოდულად მიითითებულ სარჩელის ფორმალური გამართულობის მოთხოვნას.

გერმანულ სამოქალაქო საპროცესო სამართალთან შედარებამ, რომელშიც უზრუნველყოფის მექანიზმი მოაზრებულია მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობაც, აჩვენა, რომ ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში, მხარეთა შორის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა არ განისაზღვრება. ამგვარი ურთიერთობის სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ანუ წინასწარ და დროებით განსაზღვრის მექანიზმს ქართული სამართალიც იცნობს, მაგრამ ეს მექანიზმი გამოიყენება უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიღმა.

იძულებითი აღსრულების ღონისძიების გამოყენება არ აბრკოლებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებას. მაშასადამე, იძულებითი აღსრულების ღონისძიება კი არ ახდენს გავლენას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების სამართლებრივ შედეგებზე, არამედ, პირიქით, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება განაპირობებს იძულებითი აღსრულების ღონისძიების ფარგლებსა და შემდგომ სამართლებრივ ბედს.

სსსკ-ის 218-ე მუხლი არ უნდა გავიგოთ ფართოდ. ის არ უზღუდავს სასამართლოს უფლებას დაადასტუროს მხარის კანონით აღიარებული უფლებები. თუკი სხვა საქმეში გამოყენებული იქნა საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა ფულადი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ამან არ უნდა შეაფერხოს კანონით აღიარებული საკუთრების უფლების მიკუთვნება სხვა საქმეში მონაწილე მხარის სასარგებლოდ. კანონით აღიარებულ საკუთრებაში იგულისხმება მეუღლეთა თანაზიარი საკუთრება, სამკვიდრო წილი, პრივატიზებული ქონების წილი.

სსსკ-ის 199-ე მუხლის დანაწესს თვითმყოფადი, დამოუკიდებელი ხასიათი და საპროცესო მნიშვნელობა აქვს, რომელზეც გავლენას არ ახდენს მატერიალური სამოქალაქო სამართალი. უზრუნველსაყოფი მოსალოდნელი ზარალის ოდენობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

მატერიალური ნორმების ამოქმედება შესაძლებელია მარტოდენ დამდგარი ზარალის საერთო წესით ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას, ანუ თუკი ზიანის მიყენების ფაქტთან სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობის მიზეზობრივი კავშირი დადგინდება. სამომავლო ზარალის საერთო წესით ანაზღაურების შესაძლებლობა უკავშირდება უზრუნველყოფის ღონისძიების გაუმართლებლობას და არა სარჩელის უსაფუძვლობას, რაც მოქმედი კანონმდებლობის არსის არასწორი გაგების განმაპირობებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს. უსაფუძვლო სარჩელით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობის პირდაპირი ასახვა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, ფართო შესაძლებლობას გააჩენდა მოპასუხის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულების გარანტიების შექმნაზე. მარტოდენ მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა არ წარმოადგენს მოპასუხის უფლებების უზრუნველყოფის საკმარის საპროცესო გარანტიას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების არარსებობის პირობებში, ვერც მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის მექანიზმით ისარგებლებს მოპასუხე. ასეთ შესაძლებლობას ის დაკარგავს სასამართლო გადაწყვეტილების თავის სასარგებლოდ გამოტანის შემთხვევაში, თუნდაც გამოყენებული იყოს უზრუნველყოფის ღონისძიება, ვინაიდან, სარჩელის დაუკმაყოფილებლობისას უზრუნველყოფის ღონისძიებაც უქმდება. აქედან გამომდინარე, მოპასუხის უფლებების უზრუნველყოფის პრობლემის გადაჭრა სასამართლო გადაწყვეტილების უზრუნველყოფის მექანიზმის ფართო გამოყენებაში უნდა მოიძებნოს.

მოსალოდნელი ზარალის უზრუნველყოფის ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმი უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი. ერთი მხრივ, გაუმართლებლად მძიმე ტვირთი არ უნდა დააკისროს მოსარჩელეს, რისი საფრთხეც არის სწორედ იმ შემთხვევაში, თუკი აქცენტი გადატანილი არ იქნება მოსალოდნელი ზარალის კატეგორიაზე. მეორე მხრივ, მოსალოდნელი ზარალის სასამართლოს მიერ განსაზღვრულმა ოდენობამ უნდა უზრუნველყოს მოპასუხის დაცვა და გაუმართლებელი

სარჩელით ან მისი უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზიანის პრევენცია. შეგებებული უზრუნველყოფის გამოყენება დასაშვებია როგორც სასამართლოს ინიციატივით, ისე მოპასუხის შუამდგომლობითა და მოსარჩელის მიერ შეგებებული უზრუნველყოფის წინასწარ წარდგენით. ამასთან, საპროცესო შიკანის საფრთხის პრევენციის აუცილებლობიდან გამომდინარე, სასამართლომ ყოველთვის როდი უნდა გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მოსარჩელის მიერ შემხვედრი უზრუნველყოფის წინასწარ შეთავაზებისას.

სასამართლო აქტების გასაჩივრების ეტაპზე მათი აღსრულების შეჩერების მოთხოვნისას დაუშვებელი უნდა იყოს უზრუნველყოფის გარანტიების ნებისმიერ შემთხვევაში წარდგენის პირობის მოვალისათვის დაწესება. გარანტიები შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ქონებრივ დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას. არაქონებრივ დავებზე მათი გამოყენება უნდა გამოირიცხოს. გარანტიების წარდგენა ევალება მხარეს, ამასთან გარანტიის წარდგენის მოთხოვნა დასაშვებია სასამართლოს ინიციატივითაც. საჭიროების შემთხვევაში გარანტიების წარდგენის პირობით აღსრულების შეჩერება აბალანსებს როგორც კრედიტორის, ისე მოვალის ინტერესებს.

აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გაუქმება არ გულისხმობს აღმასრულებლის მოქმედებების გაუქმებას. აღნიშნული არ გულისხმობს აგრეთვე სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას ან გაბათილებას. სააღსრულებო ფურცლის ბათილად ცნობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუკი გაუქმდება აღსასრულებელი გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცელიც ძალას კარგავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლის მოქმედების არეალი გაცილებით ფართოა და არ მოიცავს მარტოოდენ სამოქალაქო პროცესის მხარეებს. უზრუნველყოფის გარანტია არ შეიძლება წარმოადგენდეს აღსასრულებელი მოთხოვნის ტოლფას ოდენობას. ამით დაირღვევა იმ პირის ინტერესები, ვის წინააღმდეგაც ხორციელდება

აღსრულება. აღსასრულებელი მოთხოვნის ტოლფასი ოდენობით გარანტიის მოთხოვნა გაუმართლებელი ტვირთის დაკისრება იქნება მოვალისათვის.

ვინაიდან, საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გულისხმობს არა მხოლოდ პროცესის ინიცირების, არამედ აღსრულების უფლებასა და შესაძლებლობასაც, შესაბამისად, არასწორი პრაქტიკაა დანერგილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, რასაც განაპირობებს ამ ნორმის დანაწესის არასრულყოფილი ფორმულირება.

**გამოტანილი დასკვნების შედეგად შემოთავაზებულია შემდეგი რეკომენდაციები:**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 57-ე მუხლი ახლებურ ფორმულირებას მოითხოვს, ვინაიდან ტოვებს შთაბეჭდილებას, თითქოს ყოველთვის იყოს საჭირო სათანადო გარანტიის წარმოდგენა. თანაც, მასში საუბარია სამოქალაქო კოდექსით მისაღები გარანტიის უზრუნველყოფაზე, მაშინ როცა საუბარი უნდა იყოს უზრუნველყოფისათვის ვარგის ანუ მისაღებ გარანტიაზე. თანაც, ნორმა წინააღმდეგობრივი სახით არის ჩამოყალიბებული. ჯერ განსაზღვრულია უზრუნველყოფის გარანტიის კონკრეტული სახე და შემდეგ ზოგადი სახით დაშვებულია გარანტიისთვის ვარგისი ნებისმიერი უზრუნველყოფის საშუალება. ამიტომ გარანტია კი არ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, არამედ მხარემ უნდა უზრუნველყოს გარანტიის წარმოდგენა, ხოლო ნორმის ფორმულირება თავისუფალი უნდა გახდეს უზრუნველყოფის გარანტიის სახეთა ჩამონათვალისაგან. შესაბამისად, ამ ნორმის ფორმულირება მიზანშეწონილია შემდეგი სახით: „თუ საპროცესო მოქმედების შესრულება გავლენას ახდენს მოწინააღმდეგე მხარის უფლებებზე, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, საპროცესო მოქმედების შესრულების მომთხოვნმა უნდა წარმოადგინოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული და მოწინააღმდეგე მხარის ზარალის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად მისაღები გარანტიის საშუალება. გარანტიის წარმოდგენა საჭირო არ არის, თუკი მოწინააღმდეგე მხარის უფლებები

გარანტირებულია სარჩელის უზრუნველყოფის ან იძულებითი აღსრულების ღონისძიებების გამოყენებით.“

მართებული იქნება თუკი სსსკ-ის 432-ე მუხლში სიტყვები: „იძლევა თუ არა ... გარანტიებს“, შეიცვლება სიტყვებით: „წარადგენს თუ არა ... გარანტიებს“. ამასთან, ნორმაში საუბარი უნდა იყოს არა საქმის წარმოების მომთხოვნი პირის გარანტიებზე, არამედ საქმის წარმოების განახლების მომთხოვნი პირის მიერ გარანტიების წარდგენაზე.

მიზანშეწონილია სსსკ-ის 199-ე მუხლის სათაურის შემდეგი სახით ჩამოყალიბება: „უსაფუძვლო სარჩელით და სარჩელის გაუმართლებელი უზრუნველყოფით მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა“. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მესამე და მეოთხე წინადადება: „მოპასუხის სასარგებლოდ მოსარჩელისათვის მოთხოვნილი გარანტიის სახე და ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს დისკრეციის საფუძველზე, მხარეთა თანასწორობის პრინციპის გათვალისწინებით. ამგვარი გარანტიის გამოყენება დასაშვებია მხარეთა შეთანხმების საფუძველზეც. მოსარჩელეს უფლება აქვს სარჩელის ან გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენისას სასამართლოს თავისი ინიციატივით შესთავაზოს მოსალოდნელი ზარალის მოპასუხისათვის უზრუნველყოფის გარანტია, რაც არ წარმოადგენს სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობის დაკმაყოფილების უპირობო საფუძველს.“

მართებულია, სსსკ-ის 375-ე მუხლის შემდეგნაირად ჩამოყალიბება: „დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილების აღსრულება სასამართლომ შეიძლება შეაჩეროს იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარაა, რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე შესაძლებელია შეიცვალოს საქმის შედეგი. ამასთან, საქმის შეჩერება უნდა განხორციელდეს გარანტიის წარდგენის პირობით. გარანტია შეიძლება წარდგენილი იქნეს როგორც მოვალის მიერ, ისე სასამართლოს მოთხოვნით ან მხარეთა ერთობლივი შეთანხმებით. სასამართლოს მიერ დადგენილი ან მოვალის მიერ შეთავაზებული

გარანტიის ოდენობა უნდა იყოს გონივრული. კრედიტორს უფლება აქვს თვითონაც წარადგინოს გარანტია და მოითხოვოს აღსრულების გაგრძელება. ასეთ შემთხვევაში გარანტიის ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ ქონების საბაზრო ღირებულებას, რომელზეც მიქცეულია გადახდევინება. აღსრულების შეჩერების ან მის შეჩერებაზე უარის თქმის განჩინებაზე დასაშვებია კერძო საჩივრის შეტანა.“

სსსკ-ის 197-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომელშიც გათვალისწინებულია უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვადასხვა განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობა, უნდა დაემატოს სიტყვები: „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებაზე უარის თქმის განჩინებაზე...“

სსსკ-ის 199<sup>1</sup>-ე მუხლის ბოლო წინადადების შინაარსი იმის თაობაზე, რომ მორიგების შემთხვევაში, სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, უნდა შეიცვალოს შემდეგი ფორმულირებით: „მორიგება მხოლოდ მაშინ იწვევს უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას, თუკი მორიგებამდე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნება მორიგების პირობებიდან გამომდინარე, აღარ არის მიზანშეწონილი. ასეთს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც:

ა) უზრუნველყოფის საგანი მორიგების საფუძველზე გადაეცა კრედიტორს;

ბ) მხარეთა მორიგების საგნიდან გამომდინარე, აზრი დაკარგა უზრუნველყოფის ღონისძიების შენარჩუნებამ;

გ) მხარეთა მორიგების გამო კრედიტორმა იმდენად შეამცირა მოთხოვნის მოცულობა, რომ ირღვევა უზრუნველყოფის ღონისძიებასა და კრედიტორის მოთხოვნას შორის თანაზომადობის პრინციპი;

დ) უზრუნველყოფის საგანი აღარ არსებობს.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შეტანილი დამატებების გათვალისწინებით, გარდაუვალია სსსკ-ის 193-ე მუხლის ფორმულირება. მიზანშეწონილია მისი შემდეგი სახით ჩამოყალიბება: „განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება თავისი ხასიათით მოითხოვს გონივრულ ვადასა და სასამართლო სხდომაზე განხილვას.“

სსსკ-ის 271-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს გადაწყვეტილების აღსრულება, როგორც მოპასუხის, ისე მოსარჩელის სასარგებლოდ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მიქცეულია დაუყოვნებლივ აღსასრულებლად“.

სსსკ-ის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ პუნქტიდან ამოღებული უნდა იქნეს სიტყვები: „გარდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 70-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.“



## ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე არსებული წყაროები:

### სამეცნიერო ლიტერატურა

ახალაძე მ. სარჩელის/გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში. საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2020.

ბოელინგი ჰ. ჭანტურია, ლ. სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბილისი, ჯისიაი, 2004.

ზოიძე ბ. ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, მეცნიერება, 2003.

თითბერიძე გ. საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“, კომენტარი. თბილისი, გამომცემლობა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, 2017.

თოდუა მ., ქურდაძე შ. ცალკეული კატეგორიის სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების თავისებურებანი. თბილისი, 2005.

კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი. თბილისი, საქართველოს მაცნე, 2003.

ლილუაშვილი თ. სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2005.

ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2007.

ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი 1. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2014.

ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, ნაწილი II. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023.

ლილუაშვილი თ. სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, პრაქტიკული სახელმძღვანელო, II გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა ჯი სი აი, 2001.

ლობჯანიძე დ. საოჯახო ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების განხილვის თავისებურებანი სამოქალაქო პროცესში. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2023.

მიგრიაული რ. შესავალი გაკოტრების სამართალში. თბილისი, გამომცემლობა შპს უფლება, 1999.

ნაჭყებია ა. სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013). თბილისი, GIZ, 2014.

სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2016.

ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი, კუბლაშვილი, მ, ქურდაძე გ. საქმეოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, წიგნი III (კერძო საჩივარი, აპელაცია, კასაცია, საქმის განახლება), გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2024.

ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ., ცქიტიშვილი მ., ახალაძე მ., კუბლაშვილი მ., ქურდაძე გ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი. წიგნი I, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2022.

ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2015.

ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ. სამოქალაქო საადსრულებო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა ბონა კაუზა, 2017.

ქურდაძე შ., ქურდაძე გ., ხუნაშვილი ნ., ჭყონია ზ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, ნაწილი I. თბილისი, გამომცემლობა დანი, 2018.

შენგელია რ., შენგელია ე. საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2019.

შენგელია რ., შენგელია ე. საბანკო სამართლის საფუძვლები. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2014.

შმიტი შ., რიჰტერი ჰ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, მოკლე შესავალი რელაციის მეთოდში სამოქალაქო კოდექსის მიხედვით შემუშავებული პრაქტიკული მაგალითებით. თბილისი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2013.

შნიტგერი ჰ., მიგრიაული რ. გადახდისუნარობის საქართველოს კანონი, დახასიათება და შედარება გაკოტრების საქართველოს კანონსა და საერთაშორისო სტანდარტებთან. თბილისი, გამომცემლობა, სიესტა, 2011.

შოთაძე თ. სანივთო სამართალი. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014.

ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისათვის. თბილისი, გამომცემლობა მერიდიანი, 2014.

ჭანტურია ლ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, წიგნი I. თბილისი, 2017.

ჭანტურია ლ. კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი. თბილისი, გამომცემლობა სამართალი, 2012.

ხუნაშვილი ნ. კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში. თბილისი, გამომცემლობა ბონა კაუზა, 2016.

ჰაგენლოხი უ., ალავიძე ბ., ბაქაქური ნ., ბერეკაშვილი დ., გასიტაშვილი ე., თოდუა მ., მესხიშვილი ქ., ქათამაძე პ., ძლიერიშვილი ზ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, რჩეული მუხლები (ელ ვერსია). თბილისი, 2020. <https://lawlibrary.info/ge/books/Civil-Procedure-Com.pdf> [30.05.24].

### სამეცნიერო სტატიები

მეფარიშვილი ქ. უფლების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენების საფუძველი სამოქალაქო პროცესში. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი N 2 (78), 2023, გვ. 95-111.

ზოიძე ბ. ქართული სამოქალაქო კოდექსის ენა. ადამიანი და კონსტიტუცია (3), 2003, გვ.56-62.

ძლიერიშვილი ზ. სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა. სამართლის ჟურნალი N1, 2018, გვ. 5-22.

ქურდაძე შ. სააღსრულებო წარმოებათა სტადიაზე წარმოშობილი დავების განხილვის თავისებურებანი. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N1, 2006, გვ. 60-76.

ქურდაძე შ. საპროცესო მოქმედების შესრულების თავისებურება სამოქალაქო სამართალწარმოებაში. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი, 2010, გვ. 218-230.

ქურდაძე შ. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებლობა, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. კრებული ადამიანის უფლებები და

კონსტიტუციური გარანტიები. გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2019, გვ. 173-177.

წიქვაძე მ. კერძო საჩივარი და მისი გადაწყვეტის ზოგადი პრინციპები. თენგიზ ლილუაშვილის 75 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კრებული. თბილისი, გამომცემლობა ჯისიაი, 2003, გვ. 223-256.

ხრუსტალი ვ. საქართველოს მართლმსაჯულებაში არსებული ზოგიერთი აქტუალური პრობლემის შესახებ. ჟურნალი სამართალი და მსოფლიო, სპეციალური გამოცემა, N 2, 2015. გვ. 42-47.

## **დისერტაციები**

საყვარელიძე ვ. მხარეთა უფლება-მოვალეობების ბოროტად გამოყენება სამოქალაქო პროცესში. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021.

ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა გამარტივებული წესით განხილვის თავისებურებანი. დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2003.

ცქიტიშვილი მ. სარჩელის პრობლემა სამოქალაქო პროცესში. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, 2021.

როყვა ი. სასამართლო ხელმისაწვდომობა. სამოქალაქო საპროცესო უფლება და მისი შეზღუდვის დასაშვები ფარგლები. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, 2023.

გოგელაშვილი ნ. კერძო სააღსრულებო სისტემა საქართველოში - გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია ავტორეფერატი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, 2024.

ლილუაშვილი ა. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმეების წარმოების განახლება. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2010.

მამაიაშვილი თ. მორიგება, როგორც სამოქალაქო საქმის წარმოების დამთავრების საფუძველი. სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2017.

## **ნორმატიული აქტები**

საქართველოს კონსტიტუცია, 1995.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997.

საქართველოს კანონი „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“, 1999.

საქართველოს კანონი „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, 1999.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948.

საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, 1950.

### **სასამართლო პრაქტიკა**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N 1/4/181,228.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის N 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-60.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N 1/8/594 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-27.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2016 წლის 30 სექტემბრის N 1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და შპს ტელეკომპანია საქართველო საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-52.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის N 3/4/550 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ნოდარ დვალი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-43.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის N3/3/600 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე კახა კუკავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-48.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N 1/1/650,699 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები ნადია ხურციძე და დიმიტრი ლომიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის საქმეზე გადაწყვეტილება საქმეზე N 1/3/1377.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება N 2/1/1481.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N 2/1/1434,1466.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე N ას-28-25-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 16 დეკემბრის განჩინება საქმეზე N ას-1609-2019.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 ნოემბრის განჩინება საქმეზე N ას-1165-1095-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-612-949-07.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინება საქმეზე N ას 800-800-2018.



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N ბს-881(კ-19).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 15 იანვრის განჩინება საქმეზე N ა-4265-ბ-15-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 6 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N ას-1135-1082-2013.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ოქტომბრის განჩინება საქმეზე Nას-958-923-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 13 ივნისის განჩინება საქმეზე N ას-832-884-2011.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე N ას-759-718-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე Nას-1549-1452-2012.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 11 აპრილის განჩინება საქმეზე N ას-450-422-2017.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 ნოემბრის განჩინება საქმეზე N ას-956-921-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე N ას-929-879-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 07 მარტის განჩინება N ბს-727-711(კ-12).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ივლისის განჩინება საქმეზე N 498-478-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 23 ივლისის განჩინება საქმეზე N ას-375-356-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 19 მარტის განჩინება საქმეზე Nას-69-63-2015.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე N ას-685-656-2016.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 28 ნოემბრის განჩინება საქმეზე Nას-859-825-2016.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2ბ/4597.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 11 იანვრის განჩინებაში საქმეზე N 2ბ/4122-21.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2ბ/4250-23.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 24 თებერვლის განჩინება საქმეზე N 28/6593-16.

თბილისი სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 17 მარტის განჩინება საქმეზე N 28/4963-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 8 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 28/3041-20.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის განჩინება საქმეზე N 28/710-22.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ივლისის განჩინება საქმეზე N 28/7207-14.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 20 იანვრის განჩინება საქმეზე N 28/5737-22.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 28 იანვრის განჩინება საქმეზე N 28/4627-21.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 1 აპრილის განჩინება საქმეზე N 28/906-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 25 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 2/158-16.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 9 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/10335-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 20 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/1510263-16.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 179552.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 9 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 2/28244-18.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 დეკემბრის განჩინება საქმეზე N 2/26988-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 19 აგვისტოს განჩინება საქმეზე N 2/883-19.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 8 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 14648-12.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/6888-19.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 2/34416-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 2/36434-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 5 ნოემბრის განჩინება საქმეზე N 2/15651-15.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 9 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/28156-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 30 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 3978503-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 აპრილის განჩინება საქმეზე N 1308833-16.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 21 ივლისის განჩინება საქმეზე N 551047-14.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე N 2/5993-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 11 თებერვლის განჩინება საქმეზე N 2/21251-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 22 დეკემბრის განჩინება საქმეზე N 2/34658-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე N 2/7643-22.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 5 ოქტომბრის განჩინება საქმეზე N 2/20671-18.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 23 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/12591-06.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 17 სექტემბრის განჩინება საქმეზე N 2/7797-20.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე N 4835924-21.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 4 მაისის განჩინება საქმეზე N 2/20980-19.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 12 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/15082-23.

თელავის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის განჩინება საქმეზე N 2/183-20.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 მარტის განჩინება საქმეზე N 85 უზრ-17.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 15 მარტის განჩინებაში საქმეზე N 85 უზრ-17.

### ელექტრონული წყაროები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. გზამკვლევი პრინციპები ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, (სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტები). ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2017. <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/pdf/adamianis-uflebata-centri/konvenciis-me6-muxli.pdf> [30.05.24].

ჟაკ ისნარი, 2006 წელს ვაშინგტონში XIX მსოფლიო კონგრესის გახსნისას წარმოთქმული შესავალი სიტყვა. კონგრესის სახელწოდება გახლდათ Harmonization of Enforcement Procedures in an Area of Justice With No Boundaries (სააღსრულებო წარმოების

ჰარმონიზაცია საზღვრების გარეშე მართლმსაჯულების სფეროში). Paris, EJT, coll, Paserelle, 2007. <https://uihj.com/archive-uihj/en/ressources/21465/68/uihj-016-19e-congres-international-washington.pdf> [30.04.24]

საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლოსთან თანამშრომლობის ჯგუფის შეხვედრა (შემაჯამებელი ოქმი), 2013. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/shexvedrisshejameba.pdf> [30.05.24].

შნიტგერი ჰ. გაუმართლებელი უზრუნველყოფის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, N.10, მოხსენება. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2020. <http://lawlibrary.info/ge/books/CLS-2020.pdf> [30.05.24].

ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, განათლება, 1989. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=index&d=3> [30.05.24].

**უცხოურ ენაზე არსებული წყაროები:**

**სამეცნიერო ლიტერატურა**

Baumbach A., Lauterbach W., Albers J., Hartmann P. Zivilprozessordnung mit Gerichtsverfassungsgesetz und anderen Nebengesetzen, Abweichender Kurztitel auf dem Buchrücken: ZPO. München, Verlag C.H. Beck, 2003.

Baumbach A., Lauterbach W., Albers J., Hartmann P. Zivilprozessordnung. München, C.H. Beck, 2002.

Baumgärtel G. Treu und Glauben, gute Sitten und Schikaneverbot im Erkenntnisverfahren, ZZP. 1956.

Baur F. Studien zum einstweiligen Rechtsschutz. Tübingen, 1967.

Blomeyer, A. Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren. Heidelberg, Springer-Verlag, 1963.

Born G.B., Rutledge P.B. International Civil Litigation in United States Courts. Aspen Publishing, 2022.

Cumming G., Freudenthal M., Janal R. Enforcement of Intellectual Property Rights in Dutch, English and German Civil Procedure. Kluwer Law International, 2008.

Dose H.J., Kraft B. Einstweiliger Rechtsschutz in Familiensachen. Berlin: Erich Schmidt Verlag, 2018.

Dunkel H., Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3. Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999.

Draguiev D. Interim Measures in Cross-Border Civil and Commercial Disputes, Interim Relief Proceedings in International Litigation and Arbitration. Springer, 2023.

Freer R.D. Civil Procedure, Aspen Student Treatise Series. New York, Wolter Kluwers, 2022.

Foerste U. Vollstreckungsvorsprung durch einstweiligen Rechtsschutz, ZZP 106, 1993.

Gleußne I. Zivilprozessrecht, 4. Auflage. Müller Jur.Vlg.C.F, 2018.

Grundlagen des einstweiligen Rechtsschutzes im Zivil. Verfassungs und Verwaltungsgerichtlichen Verfahren. München, Beck, 1971.

Hollander B. Just Negotiation. Washington, Washington University Law Review, Volume 88, Issue 2, 2010.

Jarass H.D., Pieroth B. Grundgesetz, Kommentar, 5. Auflage. München, 2000.



Jauernig, O., Der zulässige Inhalt einstweiliger Verfügungen, ZZP 79.

Konzen H. Rechtsverhältnisse zwischen Prozeßparteien, Studien zur Wechselwirkung von Zivil- und Prozeßrecht bei der Bewertung und den Rechtsfolgen prozeßerheblichen Parteiverhaltens. Berlin: Duncker & Humblot, 1976.

Le Floch, G. Requirements for the Issuance of Provisional Measures. Provisional Measures Issued by International Courts and Tribunals. The Hague: Asser Press, 2021.

Leipold D. Grundlagen des einstweiligen Rechtsschutzes im Zivil. Verfassungs und Verwaltungsgerichtlichen Verfahren. München, Beck, 1971.

Moeller D., Baur H., Feldmeier G. Handbuch des vorläufigen Rechtsschutzes. 3 Auflage, München, Verlag C.H. Beck, 1999.

NJW-Rechtsprechungs-Report. Zivilrecht, Band 16. C.H. Beck, 2001.

Oakley J., Amar V.D., American Civil Procedure: A Guide to Civil Adjudication in US Courts, Kluwer Law International, 2009.

Paulus C.G. Zivilprozessrecht, Erkenntnisverfahren und Zwangsvollstreckung. Springer Berlin, Heidelberg, 2000.

Paulus C.G. Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung und Europäisches Zivilprozessrecht, 6. Auflage. Berlin, Springer, 2016.

Partington M. Introduction to the English Legal System, 14<sup>th</sup> edition. New York, Oxford University Press, 2019.

Schilken E., Die Befriedigungsverfügung, Zulässigkeit und Stellung im System des einstweiligen Rechtsschutzes. Berlin, Duncker & Humblot, 1976.

Schuschke W., Walker W.D., Schmukle D. Vollstreckung und Vorläufiger Rechtsschutz. Kommentar zum Achten Buch der Zivilprozessordnung, §§ 916-945 ZPO. C. Heymanns, 2005.

Sorabji J. English Civil Procedure after the Woolf and Jackson Reforms: A Critical Analysis. Cambridge, Cambridge University Press, 2014.

Stein F., Jonas M. Zivilprozessordnung, Kommentar. Tübingen, 1996.

Stickelbrock B. Inhalt und Grenzen richterlichen Ermessens im Zivilprozess. Köln, O. Schmidt Verlag, 2002.

Tajti T., Iglkowski P. A Cross Border Study of Freezing Orders and Provisional Measures. Springer International Publishing, 2018.

Taruffo M. Abuse of Procedural Rights: Comparative Standards of Procedural. Hague, Kluwer law international, 1999.

Teplitzky O. Arrest und einstweilige Verfügung. JuS, 1980.

Teplitzky O. Arrest und einstweilige Verfügung. JuS, 1981.

Thomas H., Putzo H., Reichold K. Zivilprozessordnung (ZPO), Kommenter. München, C.H. Beck, 2002.

Walker W.D. Der einstweilige Rechtsschutz im Zivilprozess und im arbeitsgerichtlichen Verfahren. Tübingen, Mohr Siebeck GmbH & Co. KG, 1993.

Yeazell S., Schwartz J. Civil Procedure. Aspen casebook series, tenth edition. New York: Wolters Kluwer, 2019.

Zerres T. Bürgerliches Recht: Allgemeiner Teil, Schuldrecht, Sachenrecht, Zivilprozessrecht. Berlin, Springer-Verlag, 2019.

Zöller R. Zivilprozessordnung, Kommentar, 23. Auflage. Köln, 2002.

Zöller R. Zivilprozessordnung, 33. Auflage. Dr. Otto Schmidt Verlag, 2020.

Кулапов В.Л., Матузов, Н.И., Малько, А.В. Теория государства и права: Курс лекций. Саратов, 1995.

Мордовец А.С. Социально-юридический механизм обеспечения прав человека и гражданина. Саратов, 1996.

Тимошенко А.В. Теоретические и практические вопросы гражданского иска в предварительном расследовании. Авторефа, дисс. к.ю.н, Челябинск, 2002.

### სამეცნიერო სტატიები

Kramer X. Harmonisation of Provisional and Protective Measures in Europe. Procedural Laws in Europe: Towards Harmonisation. Maklu: Antwerpen/Apeldoorn, გვ. 305-319.

Sierra S. Provisional Court Protection in Administrative Disputes in Europe: The Constitutional Status of Interim Measures Deriving from the Right of Effective Court Protection, A Comparative Approach. European Law Journal, Vol. 10-1, 2004, გვ. 42-60.

### ნორმატიული აქტები

Das Bürgerliche Gesetzbuch (BGB), 1900.

Die deutsche Zivilprozessordnung (ZPO), 1877.

### სასამართლო პრაქტიკა

Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 13.10.2016 - IX ZR 149/15.

Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 21.12.2005 - X ZR 72/04.

Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 02.11.1995 - IX ZR 141/94.

Bundesgerichtshof (BGH) Beschluss 10.07.2014 - I 249/12.

Bundesgerichtshof (BGH) Beschluss, 9.07.2007, II 95/06.

Bundesverfassungsgericht (BverfG), Der Anspruch auf effektiven Rechtsschutz nach der Art, 19 IV GG, 2002-02-27.

Cour de cassation, civile, Chambre civile, 29 janvier 2004, BICC nN 596 du 15 avril 2004.

Cour de cassation, civile, Chambre civile, 15 mai 2014, pourvoi N 13-16016, BICC N 809 du 15 octobre 2014 et Legifrance.

The Court of Appeal, Hunt v Ubhi [2023] EWCA Civ 417.

The Court of Appeal, SCF Tankers Ltd v Privalov & ors [2018] 1 WLR 5623.

Court of Justice of European Union, Case 5/73 Balkan-Import-Export [1973] ECR 1091, 24 October 1973.

European Court of Human Rights, Micallef v. Malta, Application no. 17056/06, Grand Chamber, 15.10.2009.

European Court of Human Rights, HORNSBY v. GREECE, Application no. 18357/91, Chamber, 19.03.1997.

European Court of Human Rights, “IZA” LTD AND MAKRAKHIDZE v. GEORGIA, Application no. 28537/02, (Second Section), 27.12.2005.

European Court of Human Rights, Case of Feldbrugge v. the Netherlands, 29 May 1986, Series A no. 99.

### ელექტრონული წყაროები

European Court of Human Rights. Guide on Article 6 of the European Convention on Human Rights – Right to a Fair Trial (Civil Limb). Council of Europe/European Court of Human Rights, 2022. <https://rm.coe.int/court-5282162-v33-case-law-guide-article-6-civil-gts-english-update-31/1680ac8bed> [30.05.24];

Gomille C., Zivilprozessrecht. Universität des Saarlandes, 2021. [https://www.uni-saarland.de/fileadmin/upload/lehrstuhl/gomille/Allgemein\\_Team\\_Ver%C3%B6ffentlichungen/GOMILLE\\_ZPO\\_WS2020-2021\\_gesamt.pdf](https://www.uni-saarland.de/fileadmin/upload/lehrstuhl/gomille/Allgemein_Team_Ver%C3%B6ffentlichungen/GOMILLE_ZPO_WS2020-2021_gesamt.pdf) [30.05.24].

Practise Direction 25A – Interim Injunctions, Para. 5.1. Ministry of Justice. [https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd\\_part25a](https://www.justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd_part25a) [30.05.24].